unicef
თითოეული ბავშვისთვის

გარემო, რომელსაც უყვარს ბავშვი

როგორ შევქმნათ ბავშვზე ორიენტირებული, უსაფრთხო გარემო ადრეული და სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში

გარემო, რომელსაც უყვარს ბავშვი

როგორ შევქმნათ ბავშვზე ორიენტირებული, უსაფრთხო გარემო ადრეული და სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში

თბილისი
2019

პუბლიკაცია მომზადებულია გაეროს ბავშვთა ფონდის (იუნისეფი) ფინანსური მხარდაჭერით. პუბლიკაციაში გამოხატული მოსაზრებანი სრულიად არაა აუცილებელი ასახავდეს გაეროს ბავშვთა ფონდის ოფიციალურ თვალსაზრისს.

© გაეროს ბავშვთა ფონდი 2019

ავტორები: ნინო ალელიშვილი, ანა ჯანელიძე, ნინო ჯიჯავაძე, თამთა კუხალეიშვილი
ილუსტრატორი: ია გიგოლაშვილი

შესავალი

მოცემული სახელმძღვანელო ბავშვზე ორიენტირებული ადრეული და სკოლამდელი დაწესებულებების (შემდგომში „დაწესებულებები“ ან „საბავშვო ბაღები“) შექმნის გზამკვლევია, რომელიც მკითხველს ჩამოუყალიბებს ხედვასა და ცოდნას იმის შესახებ, თუ რა არის ბავშვზე ორიენტირებული გარემო და პრაქტიკული რჩევებით დაეხმარება ასეთი გარემოს ორგანიზებაში ადრეულ და სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებაში; აქ განხილულია ისეთი საკითხები, როგორიც არის ბავშვზე ორიენტირებული გარემოს პრინციპები და მახასიათებლები, ბავშვისა და საგანმანათლებლო პერსონალის როლი უსაფრთხო და განმავითარებელი გარემოს შექმნაში, კეთილდღეობა და ჯანსაღი ცხოვრების წესი, ბავშვის ძალადობისგან დაცვა, თანამშრომლობა ოჯახებთან, კოლეგებთან და თემთან. მისი სტრუქტურა მარტივი და ადვილად აღსაქმელია; შვიდი თავისგან შემდგარ სახელმძღვანელოს ბოლოში ერთვის გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი, რომელიც მკითხველს დაეხმარება უფრო სიღრმისეულად გაეცნოს ამ სახელმძღვანელოში განხილულ საკითხებს.

სახელმძღვანელოში მრავლადაა პრაქტიკული რჩევები კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით, რეალური მაგალითები პრაქტიკიდან, საინტერესო დიაგრამები, ახალ ტერმინთა განმარტებები, ინტერნეტმისამართები დამატებითი რესურსების მოსაძიებლად.

სახელმძღვანელო განკუთვნილია თითოეული იმ ადამიანისთვის, ვისაც აინტერესებს ადრეული და სკოლამდელი განათლების სფერო, მათ შორის, სტუდენტებისთვის, აღმზრდელებისთვის, აღმზრდელ-პედაგოგებისთვის, ადრეულ და სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სხვადასხვა პოზიციაზე მომუშავე პირთათვის (მენეჯერი, სპეცპედაგოგი, ექიმი და ა.შ.), არასამთავრობო თუ სამთავრობო სტრუქტურების მუშაკთათვის, უნივერსიტეტების და პროფესიული სასწავლებლების წარმომადგენლებისათვის, ადგილობრივი თვითმმართველობების სპეციალისტებისთვის, მშობლებისთვის, ბავშვის მეურვეთათვის და ა.შ.

სახელმძღვანელო ეყრდნობა საქართველოს კანონს „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“, ასევე, აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიულ სტანდარტს და ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სახელმძღვანელოს.

შემუშავების პროცესში ავტორები მჭიდროდ თანამშრომლობდნენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, თბილისის მერიის, ილიას უნივერსიტეტის, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. ჩატარდა ფოკუს ჯგუფები როგორც სახელმძღვანელოს სტრუქტურის, ისე პირველი სამუშაო ვერსიის განსახილველად პრაქტიკოს აღმზრდელ-პედაგოგებთან, მეთოდისტებთან, ადრეული და სკოლამდელი განათლების ექსპერტებთან, ოკუპაციური თერაპევტებთან.

სარჩევი

1 ბავშვზე ორიენტირებული გარემო ადრეულ და სკოლამდელ დაწესებულებებში: მთავარი მახასიათებლები 1

1.1. შესავალი 1
1.2 რას ნიშნავს ბავშვზე ორიენტირებული განათლება?.....3
1.3 ბავშვზე ორიენტირებული განათლების ძირითადი პრინციპები 5
1.4 ბავშვზე ორიენტირებული გარემოს შექმნა: ძირითადი სამართლებრივი აქტების მიმოხილვა.....8
ეროვნული კანონმდებლობა 8
საერთაშორისო კონვენციები 16

2 ბავშვი – საგანმანათლებლო გარემოს მთავარი მოქმედი პირი 18

2.1 შესავალი.....19
2.2 ბავშვი, როგორც პიროვნება: თითოეული ბავშვის დანახვა და პატივისცემა....19
2.3 ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება სკოლამდელი განათლების კონტექსტში.....23
2.4 ბავშვის განვითარება სკოლამდელი განათლების კონტექსტში 28
2.5 ბავშვის შეხედულებების მოსმენა და გათვალისწინება 25
ბავშვების მოსმენის სტრატეგიები და მეთოდები 34

3 კეთილდღეობა 41

3.1 შესავალი.....42
3.2 ფიზიკური გარემო კეთილდღეობისთვის 42
მკაფიოდ გამოყოფილი ფუნქციური სივრცეები 43
ბავშვზე ორიენტირებული ფიზიკური გარემოს მახასიათებლები 45
ზოგადი რეკომენდაციები ფიზიკური გარემოს მოსაწყობად 48
3.3 სოციალური გარემო და კეთილდღეობა 51
3.4 პოზიტიური დისციპლინის როლი კეთილდღეობაში 59
3.5 ბავშვების ურთიერთობა - ბულინგი და მისი პრევენცია 62
3.6 ზეიმები - მათი გავლენა ბავშვის კეთილდღეობაზე 65

4 ჯანსაღი ცხოვრება 72

4.1 შესავალი 72
4.2 ჯანსაღი ფიზიკური გარემო 73
შენობის ვენტილაცია 73
განათება 73
ხმაური 74
4.3 ბავშვის ჯანმრთელობაზე ზრუნვა 75
კვება 75
ძილი/დასვენება 76
ფიზიკური აქტივობა 76
სუფთა ჰაერი 77
ჯანსაღი ცხოვრების წესის სწავლება 77

5 ჩვენს გარშემო ძალადობის ადგილი არ არის 79

5.1 შესავალი....79
5.2 ძალადობა: რა არის და რას იწვევს? 80
5.3 საბავშვო ბაღის და მისი თანამშრომლების მოვალეობები 83
5.4 ძალადობის ამოცნობა 86
5.5 რეაბილიტაცია 89

6 მშობლებთან თანამშრომლობა 91

6.1 შესავალი....91
6.2 მშობლებთან ურთიერთობის/მუშაობის სტრატეგიები - მშობლის ჩართულობა 92
6.3 ბავშვზე მორგებული გარემო სახლში 95
ინტერვენციული სტრატეგიები 102
6.4 აღზრდის სტილი 102

7 თანამშრომლობითი გარემო ადრეული და სკოლამდელი განათლების დაწესებულებაში 105

7.1 შესავალი....105
7.2 თანამშრომლობითი გარემოს შექმნა საბავშვო ბაღში 106
7.3 თანამშრომლობა თემთან 110
გამოყენებული ლიტერატურა 115

1 ბავშვზე ორიენტირებული გარემო ადრეულ და სკოლამდელ დაწესებულებებში: მთავარი

ძირითადი ტერმინები

ადრეული განათლება - დაბადებიდან სკოლაში შესვლამდე ასაკის ბავშვისთვის ორგანიზებული საგანმანათლებლო პროგრამები/ მომსახურება მისი განვითარების ხელშესაწყობად. ეს ტერმინი საკუთარ თავში აერთიანებს საქართველოს კანონში, „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განვითარების შესახებ“, განმარტებულ ტერმინებს - „ადრეული აღზრდა და განათლება“ და „სკოლამდელი აღზრდა და განათლება“.

ჰოლისტური განვითარება - ბავშვის ემოციური, სოციალური, ფიზიკური, შემეცნებითი განვითარების ურთიერთდაკავშირებული კომპლექსური პროცესი.

ინტეგრირებული სწავლება - ბავშვის სწავლისა და განვითარების ხელშეწყობა ისეთი მეთოდებითა და სტრატეგიებით, რომლებიც ცოდნას არ ანაწევრებს საგნებად, შესაბამისად, სრულად არის ბავშვზე ფოკუსირებული და ხელს უწყობს მრავალფეროვანი კომპეტენციების, მათ შორის, საგნობრივის (მაგ.: მათემატიკის, წიგნიერების, ხელოვნების), ერთდროულად განვითარებას.

1.1 შესავალი

საბავშვო ბაღები ბავშვის სწავლასა და განვითარებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ. ბავშვის განვითარებისა და განათლების სფეროში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული არაერთი კვლევა მყარ მტკიცებულებებს გვთავაზობს, რომ ხარისხიანი სკოლამდელი განათლება:

- ხელს უწყობს ბავშვის განვითარების პოტენციალის გამოვლენას;
- ამცირებს არახელსაყრელი გარემოებების (მაგალითად, სიღარიბის) უარყოფით ზეგავლენას ბავშვის სწავლასა და განვითარებაზე;
- ხელს უწყობს სკოლაში აკადემიური და სოციალური მიღწევების გაუმჯობესებას;
- ზრდის მომავალში უმაღლესი განათლების მიღებისა და დასაქმების შესაძლებლობებს.

მიუხედავად იმისა, რომ ადრეული განათლება საქართველოში არ არის სავალდებულო, კანონმდებლობა აღიარებს ბავშვის უფლებას, მიიღოს სკოლამდელ ასაკში - 2 წლიდან სკოლაში წასვლამდე - განათლება და განსაზღვრავს სახელმწიფოს ვალდებულებას - უზრუნველყოს ამ უფლების რეალიზება. საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ქვეყნებში, სადაც საბავშვო ბაღებში საკმარისი ადგილია ყველა ბავშვისთვის, როგორც წესი, შესაბამისი ასაკის თითქმის ყველა ბავშვი იღებს ადრეულ განათლებას, მიუხედავად იმისა, რომ ეს სავალდებულო არ არის (დაწყებითი განათლებისგან განსხვავებით). სწორედ ამიტომ, საქართველოში ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების რეფორმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა ადრეული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველა სკოლამდელი ასაკის ბავშვისთვის. ამჟამად 3-5 წლის ბავშვების 30% ადრეული განათლების მიღმაა დარჩენილი. ხელმისაწვდომობა გულისხმობს ადრეული განათლების მიღების შესაძლებლობას ნებისმიერი ბარიერის გარეშე (სამართლებრივი, ფინანსური, ფიზიკური, სოციალური, ინფორმაციული და სხვ.). შესაბამისად, ადრეული განათლების უფლების ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფით გარანტირება მხოლოდ პირველი ნაბიჯია ხელმისაწვდომ განათლებამდე; საჭიროა საბავშვო ბაღებში ყველა ტიპის ბარიერისგან თავისუფალი ახალი ადგილების შექმნა და განვითარება.

1.2 რას ნიშნავს ბავშვზე ორიენტირებული განათლება?

იმისათვის, რათა ადრეული განათლება პოზიტიური შედეგების მომტანი იყოს როგორც ბავშვისთვის, ისე საზოგადოებისთვის, ის ხარისხიანი უნდა იყოს. წარმოვიდგინოთ საბავშვო ბაღი, სადაც არცერთი საბავშვო წიგნი არ არის, ან დამტვრეული და ჯანმრთელობისთვის საშიში ავეჯია, სადაც ბაღის თანამშრომლები სულ კამათობენ და ყვირიან, ან აღმზრდელები სასკოლო გაკვეთილებს მიმსგავსებულ აქტივობებს ატარებენ, რომლებიც ბავშვებს არ აინტერესებთ და ერთი სული აქვთ, როდის დამთავრდება. უხარისხო სკოლამდელი განათლება, ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა, ბავშვის სწავლისა და განვითარებისთვის უფრო მეტი ზიანის მომტანი აღმოჩნდეს, ვიდრე სარგებლის. ამიტომ, ადრეული განათლების ხელმისაწვდომობასთან ერთად, მისი ხარისხი უპირველესი საზრუნავი უნდა იყოს. ხარისხიანი ადრეული განათლების ცენტრში ბავშვია, ამიტომაც, ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის მთავარ ხედვად ხშირად „ბავშვზე ცენტრირებულ“ ან „ბავშვზე ორიენტირებულ“ განათლებას მოიხსენიებენ.

შეგვიძლია გამოვყოთ ბავშვზე ორიენტირებული ადრეული განათლების ხუთი ძირითადი მახასიათებელი:

ბავშვი - ბავშვზე ორიენტირებული ადრეული განათლება ბავშვს ხედავს, როგორც ინდივიდს უნიკალური პიროვნული მახასიათებლებით და გამოცდილებით, შესაძლებლობებით, ინტერესებით და საჭიროებებით; ბავშვზე ზრუნავენ, ამავე დროს, აღიარებენ და პატივს სცემენ როგორც დამოუკიდებელ პიროვნებას და საგანმანათლებლო პროცესის აქტიურ თანამონაწილეს.



გარემო - ბავშვზე ორიენტირებული გარემო მოიაზრებს როგორც ფიზიკურ, ისე სოციალურ განზომილებას. მასში დაცულია ბავშვის ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება; გარემო ჯანსაღი და თავისუფალია მავნე და საშიში საგნებისა და ნივთიერებებისგან, და გამოცდილებებისა და დამოკიდებულებებისგან; თითოეული ბავშვი ჯგუფის წევრად გრძნობს თავს; ბავშვზე ორიენტირებული გარემო პასუხობს ბავშვის ცნობისმოყვარეობას, სთავაზობს გამოწვევებს და ხელს უწყობს ბავშვის სწავლასა და განვითარებას.

შინაარსი - ბავშვზე ორიენტირებული ადრეული განათლების შინაარსი ითვალისწინებს ბავშვის ჰოლისტურ და მრავალმხრივ განვითარებას და ხელს უწყობს ფიზიკური, შემეცნებითი, სოციალური და ემოციური კომპეტენციების განვითარებას; ამავე დროს, შინაარსი შეესაბამება ბავშვების კულტურულ და სოციალურ კონტექსტსა და გამოცდილებას, შემოქმედებითობის, დამოუკიდებლობისა და თვითმოვლის უნარ-ჩვევების განვითარებას; თანასწორობის ღირებულების ჩამოყალიბებას და სხვ.

პროცესი - ბავშვზე ორიენტირებული ადრეული განათლების პროცესი ბავშვის სწავლისა და განვითარების შესახებ არსებულ მეცნიერულ ცოდნას ეყრდნობა: იყენებს თამაშს, როგორც სწავლისა და განვითარების ძირითად სტრატეგიას; ეფუძნება ინტეგრირებული სწავლების პრინციპებს; ბავშვს აძლევს ინიციატივისა და არჩევანის შესაძლებლობას; პასუხობს ჯგუფისა და თითოეული ბავშვის ინტერესებს. ბავშვზე ორიენტირებული პროცესი მოიაზრებს ყველა მხარის - ბავშვის, ოჯახის და საბავშვო ბაღის პერსონალის თანამშრომლობას და ჩართულობას.



შედეგი - ბავშვზე ორიენტირებული ადრეული განათლებისთვის მნიშვნელოვანია შედეგი - რის მიღწევას ვცდილობთ ბავშვებისთვის? რას ვუწყობთ ხელს, როგორ და რამდენად ეფექტიანად ვახერხებთ ამას? სწორედ ამიტომ, მიღწევებისა და გამოწვევების შეფასება, თვითშეფასება, რეფლექსია და გუნდური მუშაობა ბავშვზე ორიენტირებული განათლების განუყოფელი კომპონენტია.

წინამდებარე სახელმძღვანელოს ფოკუსია ბავშვზე ორიენტირებული გარემო, თუმცა სხვადასხვა თავში ბავშვზე ორიენტირებული განათლების სხვა მახასიათებლებსაც განვიხილავთ.

1.3 ბავშვზე ორიენტირებული განათლების ძირითადი პრინციპები

ბავშვზე ორიენტირებული განათლება შემდეგ ძირითად პრინციპებზეა აგებული:

ინკლუზიურობა

თითოეულ ბავშვს უნდა ჰქონდეს საბავშვო ბაღში სიარულის შესაძლებლობა, მიუხედავად მისი საცხოვრებელი ადგილისა, ეთნიკური წარმომავლობისა, მშობლიური ენისა, სქესისა, შესაძლებლობებისა, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და ა.შ. ამავე დროს, საგანმანათლებლო გარემო უზრუნველყოფს თითოეული ბავშვის აქტიურ ჩართულობას და მისი შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებას საგანმანათლებლო პროცესის ყველა ეტაპზე;

ფიზიკური გარემო და რესურსები ასახავს ბავშვების ჯგუფის მრავალფეროვნებას; განსხვავებულების აღიარება და სოციალური მრავალფეროვნების პატივისცემა საბავშვო ბაღის კულტურის ნაწილია.

ეფექტიანობა და რელევანტურობა



ადრეული განათლება ხელს უწყობს თითოეული ბავშვის სწავლასა და განვითარებას ბავშვისთვის ასაკობრივად და კულტურულად შესაბამისი კურიკულუმითა და სწავლების მეთოდოლოგიით; ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია კურიკულუმის შესაბამისი მრავალფეროვანი რესურსი; საგანმანათლებლო პროცესს წარმართავენ მაღალი კვალიფიკაციის მქონე აღმზრდელები, პედაგოგები, დაწესებულების ხელმძღვანელი და სხვა პასუხისმგებელი პერსონალი. საგანმანათლებლო გარემო ბავშვებს სთავაზობს შესაძლებლობებს და გამოწვევებს მათი განვითარების ხელშეწყობისთვის.

ჯანსაღი გარემო, უსაფრთხოება და დაცულობა

ჯანმრთელობის დაცვა, უსაფრთხოება და დაცულობა მნიშვნელოვანი წინაპირობაა ბავშვის სრულფასოვანი განვითარებისთვის. ჯანსაღი გარემო თავისუფალია ნებისმიერი სახის ძალადობისგან და ყველა ღონისძიებაა გამოყენებული იმისთვის, რათა ბავშვი სხვა გარემოშიც (მაგალითად, ოჯახში) უსაფრთხოდ გრძნობდეს თავს. საბავშვო ბაღში არსებული პოზიტიური სოციალური კლიმატი ხელს უწყობს ბავშვებში თვითმართვისა და თვითდისციპლინის კომპეტენციების გამომუშავებას.

გენდერული თანასწორობა



ყველა ბავშვისთვის, გოგონებისა და ბიჭებისთვის, სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია თანასწორობის პრინციპების და ღირებულების პრაქტიკაში დანერგვა. თანასწორი გარემო მოიაზრებს, რომ ყველა ბავშვს, გოგონებსა და ბიჭებს, აქვთ შესაძლებლობა, ჩაერთონ მრავალფეროვან აქტივობებში, მისდიონ საკუთარ მრავალფეროვან ინტერესებს, ითამაშონ და იმეგობრონ ერთმანეთთან.

ჩართულობა



ბავშვები, ოჯახის წევრები და საბავშვო ბაღის პერსონალი - ადრეული განათლების აქტიური მონაწილე მხარეები არიან; ბავშვისა და მშობლების მოსაზრებები მოსმენილია და გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროცესისა და გარემოს გასაუმჯობესებლად. ურთიერთობები თანამშრომლობითია და ურთიერთპატივისცემას ეფუძნება; განსხვავებულობა, სოციალური მრავალფეროვნება და თანასწორობა აღიარებულია და დაფასებული; თემის რესურსი და შესაძლებლობები ეფექტიანად არის გამოყენებული ბავშვის ინტერესების სასარგებლოდ და დაწესებულების განვითარებისთვის.

1.4 ბავშვზე ორიენტირებული გარემოს შექმნა: ძირითადი სამართლებრივი აქტების მიმოხილვა

ბავშვზე ორიენტირებული გარემოს შექმნის შესახებ უფრო კონკრეტული მსჯელობისა და პრაქტიკული რჩევების მიმოხილვამდე, მნიშვნელოვანია, გავეცნოთ სამართლებრივი ხასიათის იმ ძირითად დოკუმენტებს, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა სკოლამდელი განათლების დაწესებულებებისთვის და გვაძლევს ბავშვზე ორიენტირებული გარემოს შექმნის სამართლებრივ საფუძველს.

ეროვნული კანონმდებლობა

კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ

2016 წელს დამტკიცებული კანონი საქართველოში ადრეული განათლების სისტემის რეფორმას გვთავაზობს. კანონის მიხედვით, სკოლამდელი განათლების დაწესებულებებისთვის სავალდებულოა სახელმწიფო სტანდარტების დაცვა, რომელთა დანერგვას საჯარო დაწესებულებებში ხელი უნდა შეუწყონ ადგილობრივმა თვითმმართველობებმა (მუნიციპალიტეტებმა). სახელმწიფო სტანდარტები და ტექნიკური რეგლამენტები არეგულირებს შემდეგ მიმართულებებს:

- განათლება;
- აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული კომპეტენციები;
- ინფრასტრუქტურა, შენობა-ნაგებობები და აღჭურვილობა;
- სანიტარია და ჰიგიენა;
- კვება.

ბავშვზე ორიენტირებული გარემოს შესაქმნელად, სავალდებულო სტანდარტების გარდა, კანონი გვთავაზობს სხვა უმნიშვნელოვანეს ნორმებს, კერძოდ:

ყველა ბავშვის უფლებაა ისარგებლოს ხარისხიანი და ინკლუზიური ადრეული განათლებით 2 წლიდან სკოლაში შესვლის ასაკამდე;

მუნიციპალიტეტის ვალდებულებაა, უზრუნველყოს ხარისხიანი და ინკლუზიური ადრეული განათლების ხელმისაწვდომობა ყველა ბავშვისთვის 2 წლიდან სკოლაში შესვლის ასაკამდე;

დაწესებულებისა და მუნიციპალიტეტის ვალდებულებაა, დაიცვან სტანდარტი ჯგუფში ბავშვთა მაქსიმალური რაოდენობისა და აღმზრდელ-პედაგოგის/აღმზრდელის ბავშვებთან თანაფარდობის შესახებ:

- 2-3 წლამდე ჯგუფები - მაქსიმუმ 25 ბავშვი, თანაფარდობა 1:13;
- 3 წლიდან ზემოთ - მაქსიმუმ 30 ბავშვი, თანაფარდობა1:15;
- შერეული ასაკობრივი ჯგუფები - მაქსიმუმ 15 ბავშვი.

დაწესებულების ვალდებულებაა, უზრუნველყოს ძალადობისგან თავისუფალი გარემო, გაატაროს ღონისძიებები ძალადობის თავიდან ასაცილებლად, იმოქმედოს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების შესაბამისად, უზრუნველყოს აღზრდისა და ქცევის მართვის პოზიტიური მიდგომების დანერგვა; კანონის შესაბამისად, დაწესებულება ვალდებულია:

დაწესებულების ყველა თანამშრომელს სათანადო ინფორმაცია მიაწოდოს ძალადობის ეჭვის შემთხვევაში რეაგირების მექანიზმებზე, აგრეთვე, ძალადობის შესახებ ინფორმაციის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოსთვის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობის სამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

უზრუნველყოს, რომ დაწესებულების აღმზრდელ-პედაგოგი, აღმზრდელი და სხვა პერსონალი ფლობდნენ და იყენებდნენ არაძალადობრივი მოპყრობისა და აღზრდის მეთოდებს, აგრეთვე, ჰქონდეთ ინფორმაცია ბავშვის მიმართ ძალადობის შედეგებისა და პასუხისმგებლობის ფორმების თაობაზე. ამ მიზნით, დაწესებულების ადმინისტრაციამ უნდა გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები: ინფორმაციის მიწოდება, ტრენინგი და მხარდაჭერა, საგანმანათლებლო პროცესის მონიტორინგი;

უზრუნველყოს ბავშვზე ძალადობის თავიდან აცილება, მათ შორის, მშობლებთან მჭიდრო თანამშრომლობითა და ინფორმირებით, დაწესებულებაში პოზიტიური, პატივისცემაზე დაფუძნებული სოციალური გარემოს შექმნით, პერსონალის პროფესიული განვითარებით, თანამშრომლების ადეკვატური სამუშაო პირობების უზრუნველყოფით და სხვა შესაბამისი საშუალებებით;

- შეიმუშაოს სტრატეგია დაწესებულებაში ძალადობისგან ბავშვის დაცვასთან დაკავშირებით;
- დაწესებულებაში გამოყოს ბავშვთა მიმართ ძალადობის თავიდან აცილებასა და ბავშვთა ძალადობისგან დაცვაზე პასუხისმგებელი პირი.

ეროვნული კანონმდებლობა

კანონის მიხედვით, აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი სავალდებულო ხასიათისაა. სტანდარტი ოთხ ნაწილად არის დაყოფილი:

- აღმზრდელ-პედაგოგის საკვალიფიკაციო მოთხოვნები (განათლება, პროფესიული გადამზადება)
- აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული მახასიათებლები
- საგანმანათლებლო გარემო და პროცესი
- აღმზრდელ-პედაგოგის უწყვეტი პროფესიული განათლება და თვითგანვითარება.

სტანდარტის მეორე და მესამე ნაწილები ადგენს იმ კომპეტენციებს (ცოდნა, უნარ-ჩვევები, ღირებულებები და დამოკიდებულებები), რომელთა ფლობა აუცილებელია ადრეული და სკოლამდელი განათლების საფეხურზე საგანმანათლებლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვისთვის. აღმზრდელ-პედაგოგის სტანდარტი ეყრდნობა ბავშვზე ორიენტირებული განათლების პრინციპებს: ინკლუზიურობას, ბავშვის უფლებებს, თანასწორობას, თანაბარ ჩართულობას და მონაწილეობას.

დოკუმენტის მესამე ნაწილი - „საგანმანათლებლო გარემო და პროცესი“ - აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიულ სტანდარტებს იმ 7 ძირითადი მიმართულების მიხედვით (მუხლები) წარმოგვიდგენს, რომლებიც ფარავს ბავშვზე ორიენტირებული განათლების ყველა ასპექტს:



ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტი

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტი სავალდებულო დოკუმენტია ყველა ადრეული და სკოლამდელი დაწესებულებისთვის. სტანდარტი სამი ნაწილისგან შედგება:

ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტი - განსაზღვრავს დაბადებიდან 5 წლამდე ბავშვის ჰოლისტური განვითარებისა და სწავლის ძირითად მიმართულებებს, ანუ საგანმანათლებლო პროცესის შინაარსობრივ მხარეს. სტანდარტის ეს ნაწილი პასუხობს კითხვას: ბავშვის რა კომპეტენციების (ცოდნა, უნარები, ღირებულებები და დამოკიდებულებები) განვითარებას უნდა შევუწყოთ ხელი ადრეული და სკოლამდელი განათლების საფეხურზე? თითოეული კომპეტენციისთვის მოცემულია სამაგალითო ინდიკატორები, მაჩვენებლები, რომელთა მიხედვითაც ვლინდება კომპეტენციის ფლობა ამა თუ იმ დონეზე.

სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტი - სტანდარტის პირველი ნაწილის მსგავსად, განსაზღვრავს ბავშვის ჰოლისტური განვითარებისა და სწავლის ძირითად მიმართულებებს, ანუ საგანმანათლებლო პროცესის შინაარსობრივ მხარეს 5- 6 წლის ბავშვებისთვის.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების გარემოსა და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხარისხის სტანდარტი განსაზღვრავს იმ მინიმალურ სტანდარტებს, რომლებიც აუცილებლია ბავშვზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოსა და პროცესის უზრუნველსაყოფად. სტანდარტები წარმოდგენილია 8 მიმართულების მიხედვით:

- უსაფრთხოება და დაცულობა
- კურიკულუმი და მეთოდოლოგია
- ფიზიკური გარემო
- ურთიერთობა
- საგანმანათლებლო პროცესი
- ოჯახისა და თემის მონაწილეობა
- ინკლუზიური განათლება
- მართვა და შეფასება.

ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები

მთავრობის 2016 წელს დამტკიცებული დადგენილება განსაზღვრავს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებს. მათი მიზანია ოჯახში და მის გარეთ ბავშვის დაცვა ძალადობის ყველა ფორმისგან, რეფერირების კოორდინირებული და ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბების გზით. დოკუმენტის მიხედვით გაწერილია სხვადასხვა უწყებისა და დაწესებულების, მათ შორის, სკოლამდელი დაწესებულე-ბების ვალდებულებები ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში სავალდებულო რეაგირებასა და უფლებამოსილი უწყებების შეტყობინებასთან დაკავშირებით. საბავშვო ბაღის პერსონალი კარგად უნდა იცნობდეს ბავშვთა დაცვის რეფერირების პროცედურებს და მოქმედებდეს შესაბამისად, ბავშვის საუკეთესო ინტერესების დასაცავად, როგორც სკოლამდელი დაწესებულების გარემოში, ისე სხვაგან, სადაც ბავშვი ატარებს დროს.

ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) სისტემა მოიცავს:

- ძალადობის მსხვერპლი ბავშვის გამოვლენას;
- ბავშვის მდგომარეობის შეფასებას;
- ბავშვზე ძალადობის შემთხვევის შესახებ შესაბამისი ორგანოების ინფორმირებას;
- საჭიროების შემთხვევაში ბავშვის განცალკევებასა და განთავსებას ბავშვთა სათანადო სპეციალიზებულ დაწესებულებაში/ თავშესაფარში/მინდობით აღზრდაში, რომელიც ხელს შეუწყობს მის უსაფრთხოებასა და რეაბილიტაციას;
- ძალადობის შემთხვევაზე ზედამხედველობას.

მთავრობის დადგენილების შესაბამისად, სკოლამდელი დაწესებულება ჩართულია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) სისტემაში. კერძოდ:

საბავშვო ბაღი რეფერირების პროცედურების ფარგლებში ბავშვზე ძალადობის ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, ადგილზე გააანალიზებს შემთხვევას და

საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევაში, უზრუნველყოფს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და პოლიციის ინფორმირებას. ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში, შემთხვევის რეფერირება შესაბამის უწყებებთან სავალდებულოა. ამ ვალდებულების შეუსრულებლობისთვის კანონმდებლობა ითვალისწინებს შესაბამის სანქციებს (გაფრთხილება, დაჯარიმება) (სამოქალაქო კოდექსი (მუხლი 1198') და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი (მუხლი 172.6).

საფუძვლიანი ეჭვი შესაძლებელია წარმოიშვას, თუ არსებობს შემდეგი გარემოებები:

- ბავშვის განცხადება, რომ მასზე ხორციელდება ან განხორციელდა ძალადობა;
- ბავშვის მიერ ტრავმის მიზეზების ახსნის შეუძლებლობა;
- მოწმის განცხადება, რომ იგი შეესწრო ძალადობის ფაქტს;
- მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის/სხვა პასუხისმგებელი პირის არაადეკვატური ქცევა (ბავშვის ტრავმის სიმძიმის შეუსაბამობა ტრავმის მიღების შესახებ მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის/ სხვა პასუხისმგებელი პირის მონათხრობთან; ბავშვის ტრავმის სიმძიმის შეუსაბამობა ტრავმის მიღების შესახებ სხვადასხვა პირთა მონათხრობებს შორის; მშობლის/ კანონიერი წარმომადგენლის/სხვა პასუხისმგებელი პირის მონათხრობის დეტალების მუდმივი ცვლილება; მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის/ სხვა პასუხისმგებელი პირის არაადეკვატური რეაგირება ბავშვის ტრავმაზე; ბავშვის მიერ ტრავმის მიზეზის აუხსნელობა);
- სხვა გარემოებები, რომლებიც მაღალი ალბათობით ქმნის საფუძველს ვარაუდისათვის, რომ ბავშვზე განხორციელდა ძალადობა.

მთავრობის დადგენილება *N437 (12.09.16)*, მუხლი *5*, პუნქტი *13.*

- სკოლამდელი დაწესებულება ვალდებულია, სოციალური მომსახურების სააგენტოსთან თანამშრომლობით, მისი კომპეტენციის ფარგლებში, ზედამხედველობა გაუწიოს ძალადობის მსხვერპლი ბავშვის მდგომარეობას. სააგენტოსთან შეთანხმებით, დაწესებულება ვალდებულია, თვალყური ადევნოს ბავშვის მდგომარეობას და რეგულარულად მიაწოდოს სააგენტოს სოციალურ მუშაკს წერილობითი ანგარიში ბავშვის მიმდინარე მდგომარეობის შესახებ. ანგარიში უნდა მოიცავდეს: ბავშვის საგანმანათლებლო პროცესში მონაწილეობას/დასწრებას; ბავშვის განვითარების მაჩვენებლებს (ინდიკატორებს); ბავშვის ქცევებზე ჩანაწერებს; ბავშვის ჯანმრთელობის, საჭიროების შემთხვევაში, ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას (თუ ბაღში არის შესაბამისი კომპეტენციის პროფესიონალი); მონაცემებს სხვა აქტივობებში ჩართვის შესახებ. იმ შემთხვევაში, როდესაც გამოწერილია შემაკავებელი ან დამცავი ორდერები და საბავშვო ბაღის პერსონალი გახდა მოძალადის მიერ ბავშვთან კავშირის დამყარების მცდელობის მოწმე, დაწესებულება აგრეთვე ვალდებულია, პოლიციას მიაწოდოს ინფორმაცია მოძალადის მცდელობის შესახებ.

- მთავრობის დადგენილების მიხედვით, ადრეული და სკოლამდელი დაწესებულება ვალდებულია დაამტკიცოს ბავშვზე ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქციები, რომელშიც დეტალურად იქნება გაწერილი რეფერირებასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხები. შიდა ინსტრუქციების შემუშავების პროცესში, რეკომენდებულია, მონაწილეობდნენ მუნიციპალიტეტის მერიის/გამგეობის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლები, რათა დაწესებულების შიდა ინსტრუქციები შეესაბამებოდეს მუნიციპალიტეტის დამტკიცებულ შიდა ინსტრუქციებს.

- დაწესებულება ვალდებულია დაიცვას ძალადობის მსხვერპლი ბავშვის ვინაობის, მისი ჯანმრთელობისა და ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესახებ მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალობა, რომლის გამჟღავნება შესაძლებელია მხოლოდ რეფერირების პროცედურებში ჩართული სუბიექტების შესაბამის უფლებამოსილ თანამშრომლებს შორის, სამსახურებრივი საქმიანობის შესრულებისას.

წინამდებარე სახელმძღვანელოს მე-5 თავი დეტალურად მიმოიხილავს ძალადობის სახეებს და ნიშნებს, პრევენციულ სტრატეგიებს არაძალადობრივი, ბავშვზე ორიენტირებული გარემოს შესაქმნელად.

საერთაშორისო კონვენციები

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია

ბავშვის უფლებათა კონვენცია გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1989 წელს დაამტკიცა, საქართველომ კი მისი რატიფიცირება 1994 წელს მოახდინა, შესაბამისად, ჩვენს ქვეყანაში ის სავალდებულო სამართლებრივი დოკუმენტია. კონვენცია 54 მუხლისგან შედგება და მოიცავს სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ, დაცვის, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, აგრეთვე, ხელმომწერ სახელმწიფოთა ვალდებულებებს ამ უფლებების რეალიზებისთვის. კონვენცია ოთხ ზოგად პრინციპს ეფუძნება, რომელთა გათვალისწინება მნიშვნელოვანია ყველა სხვა უფლების რეალიზების პროცესში:

- ყველა ბავშვი უფლებების მქონე სუბიექტია და დაუშვებელია ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაცია;
- ბავშვის საუკეთესო ინტერესი გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას;
- ბავშვს აქვს სიცოცხლისა და განვითარების უფლება;
- ბავშვს აქვს მონაწილეობის უფლება, საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება ისეთ საკითხებზე, რომლებიც მას ეხება.

ზემოაღნიშნულ პრინციპულ უფლებებთან ერთად, კონვენციით გათვალისწინებული ზოგიერთი უფლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვზე ორიენტირებული სკოლამდელი განათლების უზრუნველსაყოფად, რომლებსაც დეტალურად სახელმძღვანელოს სხვადასხვა თავში შევეხებით. ბავშვის უფლებების კონვენცია სამართლებრივი ჩარჩო დოკუმენტია სახელმწიფოებისთვის ბავშვებთან დაკავშირებული ეროვნული კანონმდებლობის შექმნის პროცესში. კონვენციამ, რომლის რატიფიცირება მოახდინა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანამ (აშშ-ის გარდა), გარდატეხა შემოიტანა ბავშვის მიმართ დამოკიდებულებაში: ბავშვი არ არის მხოლოდ ზრუნვისა და დაცვის ობიექტი, არამედ ის აღიარებულია, როგორც უფლებების მატარებელი სუბიექტი, რომლის მოსმენა და გათვალისწინება ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოების ვალდებულებაა.

ვინაიდან ბავშვის უფლებათა კონვენციის მუხლები ხშირად ზოგად ფორმულირებას გვთავაზობს, ზოგიერთ მუხლთან დაკავშირებით შემუშავებულია კონვენციის რამდენიმე „ზოგადი კომენტარი“. მათ შორისაა „ბავშვის უფლებათა კონვენციის ზოგადი კომენტარი №7 - ბავშვის უფლებათა განხორციელება ადრეულ ასაკში“ (2005 წ.), რომელიც კონვენციასთან ერთად მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო დოკუმენტია ადრეული ასაკის ბავშვებისთვის ბავშვზე ორიენტირებული სერვისების, მათ შორის, სკოლამდელი დაწესებულებების შექმნისა და ფუნქციონირებისთვის.

საერთაშორისო კონვენციები

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია 2006 წელს დამტკიცდა, ხოლო საქართველომ მისი რატიფიცირება 2014 წელს მოახდინა. კონვენციის მიღება იმით იყო განპირობებული, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მათ შორის ბავშვები, სხვადასხვა სოციალური და ფიზიკური ბარიერის გამო ვერ ახდენენ საყოველთაო ადამიანის უფლებების სრულფასოვნად რეალიზებას, საზოგადოებრივი სტიგმისა და უარყოფითი დამოკიდებულებების გამო ხშირად არიან გარიყულნი საზოგადოებრივი ცხოვრებიდან და ვერ სარგებლობენ სიცოცხლისა და განვითარებისთვის მნიშვნელოვანი სერვისებით. კონვენციით განსაზღვრული უფლებები და სახელმწიფოთა ვალდებულებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ნებისმიერი ასაკის პირზე ვრცელდება, თუმცა ზოგიერთი უფლება განსაკუთრებით გამოყოფს ბავშვებს და ყურადღებას ამახვილებს ამა თუ იმ უფლების რეალიზების მნიშვნელობასა და სპეციფიკაზე ბავშვებთან მიმართებით. მე-7 მუხლი გამოყოფს სახელმწიფოთა ვალდებულებებს, უზრუნველყონ, რომ:

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებმა ისარგებლონ ყველა უფლებითა და ძირითადი თავისუფლებით სხვა ბავშვების თანასწორად;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან დაკავშირებით, უპირველესად გაითვალისწინონ ბავშვის საუკეთესო ინტერესები;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს ჰქონდეთ აზრის თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობა, მათთვის მნიშვნელოვან ყველა საკითხზე; ამისათვის კი „ისინი უზრუნველყოფილი უნდა იქნენ შეზღუდულობისა და ასაკის შესაბამისი დახმარებით“.

სკოლამდელი განათლების კონტექსტში აგრეთვე მნიშვნელოვანია კონვენციის 24-ე მუხლი, რომელიც „განათლებას“ ეხება და კონვენციის „ზოგადი კომენტარი №4 - ინკლუზიური განათლების უფლების შესახებ“ (2016). კონვენციის ამ და სხვა რელევანტურ საკითხებს მომდევნო თავებში თემატურად შეხვდებით როგორც თეორიული მიმოხილვის, ისე პრაქტიკული რეკომენდაციების სახით.

2 ბავშვი – საგანმანათლებლო გარემოს მთავარი მოქმედი პირი

ძირითადი ტერმინები

ბავშვის საუკეთესო ინტერესები - ცნება, რომელიც მოიაზრებს ბავშვის უფლებების რეალიზებისა და მისი ჰოლისტური განვითარების უზრუნველყოფისთვის კონკრეტულ სიტუაციაში ყველაზე ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებას/გარემოებების შექმნას. ბავშვის საუკეთესო ინტერესი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ბავშვის ინდივიდუალური გარემოებებისა და საჭიროებების გათვალისწინებით განისაზღვრება.

მედეგობა - იმ დამოკიდებულებებისა და უნარების ერთობლიობა, რომელიც ადამიანს სირთულეებსა და სტრესულ გარემოებებთან გამკლავებაში ეხმარება.

2.1 შესავალი

ბავშვის საუკეთესო ინტერესები - ცნება, რომელიც მოიაზრებს ბავშვის უფლებების რეალიზებისა და მისი ჰოლისტური განვითარების უზრუნველყოფისთვის კონკრეტულ სიტუაციაში ყველაზე ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებას/გარემოებების შექმნას. ბავშვის საუკეთესო ინტერესი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ბავშვის ინდივიდუალური გარემოებებისა და საჭიროებების გათვალისწინებით განისაზღვრება.

მედეგობა - იმ დამოკიდებულებებისა და უნარების ერთობლიობა, რომელიც ადამიანს სირთულეებსა და სტრესულ გარემოებებთან გამკლავებაში ეხმარება.

- ბავშვი, როგორც პიროვნება: თითოეული ბავშვის დანახვა და პატივისცემა;
- ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება სკოლამდელი განათლების კონტექსტში;
- ბავშვის განვითარება სკოლამდელი განათლების კონტექსტში;
- ბავშვის შეხედულებების მოსმენა და გათვალისწინება.

ბავშვზე ორიენტირებული განათლება ბავშვს განათლების პროცესისა და გარემოს ცენტრალურ ფიგურად მოიაზრებს. ყველაფერი ემსახურება ბავშვს - მისი კეთილდღეობის დაცვას, განვითარებას და შესაძლებლობების რეალიზებას. სკოლამდელ დაწესებულებებს აქვთ ვალდებულება, იზრუნონ თითოეულ ბავშვზე, ხელი შეუწყონ მათ განვითარებას, დაიცვან ბავშვის საუკეთესო ინტერესები და ხელი შეუწყონ ბავშვების აქტიურ მონაწილეობას საბავშვო ბაღის ცხოვრებისა და გარემოს გაუმჯობესებასა და ბავშვებზე უკეთ მორგებაში.

2.2 ბავშვი, როგორც პიროვნება: თითოეული ბავშვის დანახვა და პატივისცემა

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ თითოეული ბავშვი განსაკუთრებული და უნიკალურია. ბავშვის ინტერესები, მიდრეკილებები, ტემპერამენტი, ხასიათი, შესაძლებლობები, ოჯახური, სოციალური, ეკონომიკური, ენობრივი, კულტურული გარემო, მისი ყოველდღიური გამოცდილებები და ურთიერთობები სხვა ბავშვებთან და უფროსებთან - ყოველივე ეს ერთიანობაში ქმნის ინდივიდუალობას, ბავშვის პიროვნებას.

ბავშვთან ურთიერთობის დროს მისი პიროვნების გათვალისწინება ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ნებისმიერ ადამიანთან ურთიერთობის დროს. უნიკალურობა და გამორჩეულობა ბავშვის პიროვნულობის, მისი იდენტობის ერთი მხარეა, მეორე მხარეს კი ის საზიარო მახასიათებლებია, რომლებიც ბავშვს სხვა ბავშვებთან და ადამიანებთან აერთიანებს - ასაკი და ასაკობრივი მახასიათებლები, სქესი, მშობლიური ენა, კულტურული ტრადიციები და წესები და სხვ. - ის, რაც ბავშვებს ამა თუ იმ სოციალური ჯგუფის წევრად აგრძნობინებს თავს.

ბავშვები ადრეული ასაკიდანვე სწავლობენ ურთიერთობებს, სხვადასხვა ჯგუფისადმი მიკუთვნებულობის განცდა მნიშვნელოვანია მათი სრულფასოვანი და მრავალმხრივი განვითარებისთვის. ბავშვის უნიკალურობა არ ნიშნავს მის გამორჩეულობას მხოლოდ რაიმე განსაკუთრებული თვალსაჩინო ნიშნით, მაგალითად, როდესაც:

- ბავშვი უმრავლესობისგან განსხვავებულ ენაზე მეტყველებს (მაგალითად, არ იცის ქართული, მისი მშობლიური ენა სომხურია);
- ბავშვს აქვს განვითარების შეფერხება (მაგალითად, მეტყველების);
- ბავშვი არ ცხოვრობს ბიოლოგიურ ოჯახში და მინდობით აღზრდაშია ან ცხოვრობს ოჯახური ტიპის ბავშვთა სახლში;
- ბავშვი სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრია;
- ბავშვი ოჯახური ძალადობის მსხვერპლია და ა.შ.

ბავშვებთან მუშაობის დროს, მეტად მნიშვნელოვანია თითოეული ბავშვის ინდივიდუალობის დანახვა, რადგან თითოეულ მათგანს აქვს საკუთარი ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები და არა მხოლოდ მათ, ვინც განსაკუთრებულ გარემოებაში იმყოფება ან განსაკუთრებული საჭიროებები აქვს. ინდივიდუალური მიდგომა თითოეულ ბავშვთან ადრეული ასაკიდანვე მნიშვნელოვანია. სწორედ ინდივიდუალური მიდგომით და თითოეული ბავშვის პიროვნულობის გათვალისწინებით არის შესაძლებელი ხელი შევუწყოთ:

- ბავშვის სწავლისა და განვითარების პოტენციალის მაქსიმალურ გამოვლენას;
- საბავშვო ბაღის მიმართ ბავშვის პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას;
- ბაღისადმი, როგორც საკუთარი სივრცისადმი, მიკუთვნებულობის გრძნობის ჩამოყალიბებას;
- ბავშვის პოზიტიურ თვითშეფასებას, მოტივაციას, კეთილდღეობის განცდას.

ბავშვის უნიკალურობასთან ერთად მნიშვნელოვანი ღირებულებითი პრინციპია - ყველა ბავშვის თანასწორობა. ყველა ბავშვი თანაბრად უნდა სარგებლობდეს იმ უფლებებით, რომლებიც კონვენციითა და ეროვნული კანონმდებლობით აქვს მინიჭებული, სკოლამდელი განათლება კი, ადრეულ ასაკში ამ უფლებების მნიშვნელოვანი ნაწილის რეალიზების საშუალება უნდა იყოს. ბავშვის ინდივიდუალობის გათვალისწინება უფლებების რეალიზების პროცესში მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ ამ გზით შეგვიძლია თითოეულ ბავშვს რეალურად მივცეთ ის, რაც მას კეთილდღეობისა და სრულფასოვანი განვითარებისთვის სჭირდება.

თანასწორობა არ გულისხმობს იგივეობას - საგანმანათლებლო პროცესი და გარემო უნდა ითვალისწინებდეს თითოეულ ბავშვს და მორგებული იყოს მასზე, ისე, რომ ყველას ჰქონდეს განვითარებისა და თანაბარი მონაწილეობის რეალური შესაძლებლობა, მაგრამ რადგან ბავშვები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მათ განსხვავებული ხელშეწყობაც სჭირდებათ. მაგალითად, სწავლების კონკრეტული მეთოდი შესაძლებელია ეფექტიანი იყოს ერთ ბავშვთან, მეორესთან კი - ნაკლებად.

ამიტომ, საგანმანათლებლო პროცესი და გარემო იმდენად მოქნილი უნდა იყოს, რომ იძლეოდეს ინდივიდუალიზების, ბავშვის შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე მორგების საშუალებას. ბავშვის ინდივიდუალური მახასიათებლებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე, პროცესისა და გარემოს მორგება სხვადასხვა დონის ჩარევას შეიძლება მოითხოვდეს. იმისათვის, რათა თითოეული ბავშვი კარგად გავიცნოთ და „არ ჩამოვრჩეთ“ მის განვითარებასა და მის ცხოვრებაში მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებს, შეგვიძლია გამოვიყენოთ შემდეგი ძირითადი სტრატეგიები:

ბავშვთან ურთიერთობა

ბავშვთან ურთიერთობა საშუალებას გვაძლევს ბავშვის თვალით დავინახოთ და შევაფასოთ მისთვის მნიშვნელოვანი მოვლენები, შესაბამისად, მის საჭიროებებსაც უკეთ მოვერგებით. ბავშვთან ურთიერთობის დროს მნიშვნელოვანია, ვიყოთ გულისხმიერები, გახსნილები, ვაფასებდეთ და პატივს ვცემდეთ მათ დამოკიდებულებებს, აზრებსა და გრძნობებს. ბავშვის პატივისცემა აუცილებლად მოიაზრებს მისი პიროვნულობის გათვალისწინებას: ზრდასრული აღიარებს ბავშვს როგორც პიროვნებას, თანაბრად ნებისმიერი სხვა ადამიანისა; ურთიერთობის პროცესში ზრდასრულისთვის ბავშვი უბრალოდ სიყვარულის ან ზრუნვის ობიექტი კი არ არის, არამედ ურთიერთობის მეორე, სრულფასოვანი მხარე. ბავშვის თვალთახედვის გაგებისა და გათვალისწინების შესახებ რეკომენდაციები დეტალურად აღწერილია მე-4 ქვეთავში. **გახსოვდეთ, ძალიან მნიშვნელოვანია, თითოეულ ბავშვთან ყოველდღიურად ვამყარებდეთ უშუალო ურთიერთობას - ვიჩენდეთ მათ მიმართ ყურადღებას, ვაგრძნობინებდეთ დაინტერესებას, ვუსმენდეთ, წავახალისებდეთ, ვეკითხებოდეთ, ვაქებდეთ და ა.შ.**

ბავშვზე დაკვირვება

ბავშვზე ობიექტური დაკვირვება საგანმანათლებლო პროცესის განუყოფელი ნაწილია; ბავშვზე დაკვირვება საშუალებას გვაძლევს უკეთ გავიცნოთ ბავშვი, მისი ინდივიდუალური მახასიათებლებით. ბავშვზე დაკვირვება არ არის ერთჯერადი პროცესი და წლის განმავლობაში უწყვეტად და საჭიროებისამებრ მიმდინარეობს. ბავშვს უნდა ვაკვირდებოდეთ მრავალფეროვან გარემოში და სხვადასხვა პროცესში, რათა მეტ-ნაკლებად სრული წარმოდგენა შეგვექმნას მის შესაძლებლობებსა და ინტერესებზე.

მშობლებთან რეგულარული კომუნიკაცია და პოზიტიური ურთიერთობის დამყარება

მშობლები და ოჯახური გარემო ადრეული ასაკის ბავშვებისთვის ძირითადი სოციალური გარემოა, ამიტომ ოჯახის გაცნობა და პოზიტიური ურთიერთობის დამყარება, ბავშვის უკეთ გასაცნობად, საჭიროებების, ოჯახური და კულტურული

ნიუანსების დასანახად და უკეთ გასათვალისწინებლად, საგანმანათლებლო პროცესში, მნიშვნელოვანია. ამასთანავე, მშობლები ყველაზე უკეთ იცნობენ თავიანთ შვილებს და ჩვენთვის ისეთი ღირებული ინფორმაციის მოწოდება შეუძლიათ, რომელსაც მხოლოდ საბავშვო ბაღის კონტექსტში ბავშვზე დაკვირვებისა და ბავშვთან ურთიერთობის საშუალებით, ვერ შევიტყობდით. ოჯახთან თანამშრომლობის სტრატეგიებსა და რეკომენდაციებს მე-7 თავში განვიხილავთ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბავშვზე ორიენტირებული განათლების ცენტრში იმყოფება თითოეული ბავშვი, როგორც უნიკალური პიროვნება.

2.3 ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება სკოლამდელი განათლების კონტექსტში

ბავშვის უფლებების პერსპექტივა ბავშვებთან მუშაობის პროცესში პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებს ბავშვის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებას. ბავშვის საუკეთესო ინტერესი მიზნად ისახავს:

- ბავშვის მიერ კონვენციით გარანტირებული ყველა უფლებით სარგებლობას;
- ბავშვის ჰოლისტურ (ფიზიკურ, გონებრივ, სულიერ, მორალურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ) განვითარებას.

მნიშვნელოვანია, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესის განსაზღვრისას, დაუშვებელია ბავშვის რომელიმე უფლების უგულებელყოფა „საუკეთესო ინტერესის“ ზრდასრულთა ინტერპრეტაციის საფუძველზე, ვინაიდან კონვენციით გათვალისწინებული ყველა უფლება თანაბრად მნიშვნელოვანია.

„ბავშვის საუკეთესო ინტერესის“ ცნება მოქნილია და მისი განმარტება დამოკიდებულია კონკრეტულ შემთხვევასა და კონტექსტში არსებულ გარემოებებსა და ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე. სკოლამდელი განათლების კონტექსტში საბავშვო ბაღის თანამშრომლებისთვის, შესაძლოა, აქტუალური იყოს როგორც კონკრეტული ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება და დაცვა, ასევე ბავშვების, როგორც ჯგუფის, საუკეთესო ინტერესების გამოკვეთა (იდენტიფიცირება) და დაცვა.

ბავშვის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინება აუცილებელია ბავშვთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას - უმრავლეს შემთხვევაში ეს შესაძლოა მარტივი და თვალსაჩინო იყოს (მაგ., დაზიანებული საქანელას შეკეთება უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ან თანამშრომლის გათავისუფლება ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში), მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში, საუკეთესო ინტერესის დასადგენად, სიტუაციის კომპლექსურ შეფასებას მოითხოვდეს. ეს ისეთი შემთხვევებია, როდესაც სასწორზე შეიძლება იდოს კონვენციით გათვალისწინებული ბავშვის სხვადასხვა უფლება - მაგალითად, ერთი მხრივ, ძალადობისგან დაცვის უფლება და მეორე მხრივ, საკუთარ ოჯახში ცხოვრების უფლება. აქედან გამომდინარე, ბავშვზე ორიენტირებული სკოლამდელი განათლების ცენტრში **ყველა უფლების მქონე ბავშვია.**

საბავშვო ბაღში, „ფერადი სოკოები“, წელს არსებულ ადგილებზე 26 ბავშვით მეტი დარეგისტრირდა. ბაღის ადმინისტრაციისთვის ნათელი იყო, რომ ისედაც სავსე ჯგუფებში დამატებით 5-6 ბავშვის გადანაწილება ცალსახად გააუარესებდა საგანმანათლებლო პროცესის ხარისხს: აღმზრდელები ვეღარ მოახერხებდნენ თითოეული ბავშვისთვის სათანადო ყურადღების დათმობას და ამის გამო ხშირად გამოიყენებდნენ სტრუქტურირებულ აქტივობებს მთელი ჯგუფისთვის. ეს კი, ბუნებრივია, ვერ უზრუნველყოფდა ბავშვების სრულფასოვან განვითარებას მათი ინდივიდუალური საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. ამასთანავე, ვინაიდან ჯგუფის სივრცე არ იყო გათვლილი ამ რაოდენობის ბავშვზე, შეუძლებელი გახდებოდა ჰიგიენური ნორმების სათანადოდ დაცვა და ამდენი ბავშვისთვის აღარც გარემო იქნებოდა უსაფრთხო გადაადგილებისა და თამაშისთვის. მეორე მხრივ, მნიშვნელოვანი იყო ყველა რეგისტრირებულ ბავშვს ჰქონოდა სკოლამდელი განათლების მიღების შესაძლებლობა. თუმცა, ვინაიდან სასწორის მეორე მხარეს ბავშვების უსაფრთხოება და განვითარების უფლება იდო, „ფერადი სოკოების“ დირექტორმა აღარ გაზარდა ბავშვების რაოდენობა ჯგუფებში, მაგრამ შუამდგომლობით მიმართა მუნიციპალიტეტს, კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად უზრუნველეყოთ ამ ბავშვებისთვის ადგილები სკოლამდელ დაწესებულებებში.

სკოლამდელი დაწესებულება, ბავშვის ოჯახთან ერთად, ის ძირითადი ადგილია, სადაც ბავშვი სწავლობს და ვითარდება. ადრეული ასაკი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვის მრავალმხრივი განვითარებისთვის და დიდ ზეგავლენას ახდენს ბავშვის სამომავლო შესაძლებლობებზე, აკადემიურ, სოციალურ და პროფ-ესიულ წარმატებაზე. ამიტომაც, სკოლამდელი განათლება მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბავშვის განვითარების ხელშეწყობაში. იმისათვის, რათა თითოეულმა ბავშვმა შეძლოს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება, მნიშვნელოვანია მათთან მუშაობდნენ კომპეტენტური პროფესიონალები: აღმზრდელები, აღმზრდელ-პედაგოგები თუ სხვა სპეციალისტები. თითოეული ბავშვის განვითარების ხელშეწყობა აუცილებლად მოითხოვს შესაბამის:

- ცოდნას (მაგალითად, როგორ სწავლობს და ვითარდება ბავშვი ადრეულ ასაკში?);
- უნარებს (მაგალითად, როგორ შევუწყოთ ხელი ბავშვის ამა თუ იმ უნარის განვითარებას; როგორ დავაკვირდეთ ბავშვს?);
- ღირებულებებსა და დამოკიდებულებებს (მაგალითად, რატომ არის ინკლუზიური განათლება მნიშვნელოვანი თითოეული ბავშვისთვის?).

ამ კომპეტენციათა ერთობლიობა ქმნის საფუძველს ბავშვზე ორიენტირებული პრაქტიკისთვის. ეს საფუძველი პროფესიული რწმენაა, რომ ყველა ბავშვს შეუძლია მიაღწიოს წარმატებას სათანადო ხელშეწყობის და მხარდაჭერის პირობებში. მეტიც, სკოლამდელ განათლებას შეუძლია შეამციროს ბავშვის ცხოვრებაში სხვა მხრივ არსებული არახელსაყრელი გარემოებების უარყოფითი ზეგავლენა ბავშვის განვი-თარებაზე. ბავშვის მედეგობის ხელშეწყობა სკოლამდელი განათლების პროფესიო-ნალების მნიშვნელოვანი მიზანია. მედეგობაში მოიაზრება პიროვნების დამოკიდე-ბულება და იმ უნარების ერთობლიობა, რომელიც ადამიანს სირთულეებთან და სტრესულ გარემოებებთან გამკლავებაში ეხმარება.

სკოლამდელი განათლების კონტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მედეგობის განვითარება იმ ბავშვებში, ვისაც ადრეულ ასაკში უწევს ისეთ უარყოფით გარემოებებთან შეხება, როგორიცაა სიღარიბე, ბავშვზე ან ოჯახის წევრებზე ძალადობა, უგულებელყოფა, ემოციური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა და ა.შ. ასეთი ფაქტორები არა მხოლოდ აწმყოში ახდენს უარყოფით ზეგავლენას ბავშვსა და მის განვითარებაზე, არამედ სამომავლოდაც აფერხებს მისი განვითარების პოტენციალს, უარყოფითად აისახება ჯანმრთელობაზე და სტრესულ სიტუაციებთან გამკლავების უნარზე.

ამიტომაც, მედეგობის ხელშესაწყობად, საბავშვო ბაღი თითოეული ბავშვისთვის უნდა იქცეს სივრცედ, სადაც:

- ზრდასრულები (აღმზრდელ-პედაგოგი, აღმზრდელი და საბავშვო ბაღის სხვა თანამშრომლები) მუდმივად იჩენენ თითოეული ბავშვის მიმართ ყურადღებასა და მზრუნველობას; ბავშვები გრძნობენ უფროსების პოზიტიურ დამოკიდებულებას და პატივისცემას მათ მიმართ; ზრდასრულები ხელს უწყობენ ბავშვის ღირსების შეგრძნებას და ქმნიან იმედით სავსე პოზიტიურ გარემოს;

- გარემო იმდენად სტაბილურია, რომ ბავშვი მშვიდად გრძნობს თავს და არ ეშინია მოულოდნელობების; გარემოს, პროცესის ამა თუ იმ ცვლილების შესახებ ბავშვებს წინასწარ ეცნობებათ ან თავად მონაწილეობენ მათ დაგეგმვაში.

- თითოეული ბავშვის აქტიურობა წახალისებული და დაფასებულია; ბავშვებს აქვთ საშუალება, აიღონ პასუხისმგებლობა, გააკეთონ არჩევანი; აქვთ კონტროლის განცდა საკუთარ გარემოზე.

- ბავშვებს აქვთ შესაძლებლობა, განივითარონ ადაპტური უნარები, ისწავლონ თვითმართვა და თვითრეგულაცია.

- გარემო ბავშვებს სთავაზობს გამოწვევებს, ისე რომ არ აფრთხობს მათ და განვითარებისკენ უბიძგებს; ბავშვებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, დაძლიონ გამოწვევები, გაუმკლავდნენ შედარებით მცირე, ადვილად მართვად სტრესს, რათა განუვითარდეთ თვითრწმენა და რთულ სიტუაციებთან გასამკლავებლად საჭირო უნარები.

ნაწყვეტი საბავშვო ბაღის სტუდენტი-პრაქტიკანტის, ქეთი ვ.-ს რეფლექსიის ჟურნალის ჩანაწერებიდან

ჯგუფში ერთი ბავშვია, კატო, სხვებთან შედარებით წყნარი და მორიდებულია. ძირითადად თავისთვის თამაშობს, თუმცა ორ გოგონასთან მეგობრობს და ხანდახან მათაც უერთდება თამაშში. მას შემდეგ, რაც შევამჩნიე, რომ ჯგუფის აღმზრდელები თითქმის არასოდეს აქცევენ მას ყურადღებას, დავინტერესდი და ნუნუ მასწავლებელს ვკითხე მის შესახებ. ნუნუ მასწავლებელმა მითხრა, რომ კატო „ცოტა ისეთი“ ოჯახიდან არის, არავის აქვს განათლება მიღებული და, შესაბამისად, კატოც დიდი ნიჭიერებით არ გამოირჩევა. მიუხედავად იმისა, რომ კატო ხშირად პასიური იყო, ასეთი შეფასება უცნაურად მეჩვენა. ამიტომ გადავწყვიტე მასთან მეთამაშა, დავკვირვებოდი შედარებით ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ნუნუ მასწავლებლის გასაკვირად აღმოვაჩინე, რომ კატოს ძალიან მოსწონდა და კარგად გამოსდიოდა რამდენიმე სამაგიდო თამაში, მეგობრებთან ერთად როლური თამაშისას ხშირად საინტერესო და ორიგინალურ მიმართულებას აძლევდა თამაშს, წიგნის კითხვის დროს კი, მიუხედავად იმისა, რომ დისკუსიის პროცესში არ აქტიურობდა, ძალიან ყურადღებით უსმენდა მასწავლებელს და ამბავსა და უამრავ დეტალს შესანიშნავად იმახსოვრებდა. გუშინ გამოველაპარაკე მის მიერ აწყობილი ფაზლის შესახებ, დღეს კი, თავად მომიტანა მეორე, უფრო რთული ფაზლი, რომელიც მისივე თქმით, ძალიან მალე ააწყო. ჩემი აზრით, აღმზრდელები კარგად არ იცნობენ კატოს. მისი ოჯახური გარემოებების და მშვიდი ხასიათ**ის** გამო მიაჩნიათ, რომ ბევრს ვერაფერს სწავლობს და ამის გამო ისინიც „ტყუილად“ აღარ ირჯებიან კატოს ხელშეწყობისთვის.

ბავშვთა უფლებების პერსპექტივიდან განათლების, მათ შორის, სკოლამდელ საფეხურზე, მიზანია ბავშვის ჰოლისტური განვითარება - რაც განვითარების ფიზიკურ, გონებრივ, სულიერ და სოციალურ-ემოციურ განზომილებებს მოიაზრებს. კონვენციის (29-ე მუხლი) თანახმად, განათლება მიმართული უნდა იყოს:

- „ბავშვის პიროვნების, ნიჭის, გონებრივი და ფიზიკური უნარების სრული განვითარებისაკენ;
- ბავშვისათვის ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებებისადმი, აგრეთვე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში გაცხადებული პრინციპებისადმი პატივისცემის გაღვივებისაკენ;

- ბავშვისათვის თავისი მშობლებისადმი, თავისი კულტურული თვითმყოფადობის, ენის და ფასეულობების პატივისცემის ჩანერგვისკენ; ბავშვის აღზრდისაკენ იმ ქვეყნის ეროვნული ფასეულობებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით, რომელშიც ის ცხოვრობს, ასევე იმ ქვეყნისა, საიდანაც იგი არის წარმოშობით; ბავშვის პატივისცემის გაღვივებისაკენ მისი საკუთარი ცივილიზაციისაგან განსხვავებული ცივილიზაციისადმი;
- თავისუფალ საზოგადოებაში ურთიერთგაგების, მშვიდობის, შემწყნარებლობის, ქალისა და მამაკაცის, ყველა ხალხის, ეთნიკური, ეროვნული და რელიგიური ჯგუფების, მათ შორის, მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენელთა მიმართ თანასწორობისა და მეგობრობის სულისკვეთებით ბავშვის შეგნებული ცხოვრებისათვის მომზადებისაკენ;
- გარემოსადმი პატივისცემის სულისკვეთებით ბავშვის აღზრდისაკენ“.

ბავშვზე ორიენტირებული სკოლამდელი განათლებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია კიდევ ერთი უფლება - თამაშის უფლება (მუხლი 31). ამ სფეროში არსებული მეცნიერული ცოდნა ცხადყოფს, რომ ადრეულ ასაკში ბავშვი სწავლობს და ვითარდება სწორედ თამაშის გზით. თამაში ამ ასაკში ბუნებრივი ქცევაა, რომლის დროსაც ვითარდება ბავშვის მრავალმხრივი უნარები. თამაშით განვითარება ეფუძნება ბავშვის შინაგან მოტივაციას შეიმეცნოს და „დაეუფლოს“ საკუთარ თავსა და გარე სამყაროს. მისთვის თამაში, ერთი მხრივ, - ბუნებრივი და სახალისოა, მეორე მხრივ კი, საკუთარი ძალების მოსინჯვის და განვითარების, ცოდნის გადამოწმებისა და გაღრმავების, სხვა ადამიანების და გარემოს შემეცნების წყაროა. აქედან გამომდინარე, ბავშვზე ორიენტირებული სკოლამდელი განათლების ცენტრში აქტიური, მოთამაშე ბავშვია, რომელსაც განვითარების და წარმატების მიღწევის ინდივიდუალური გზა აქვს.

2.4 ბავშვის შეხედულებების მოსმენა და გათვალისწინება

ბავშვზე ორიენტირებული განათლება ბავშვს პარტნიორად და განათლების პროცესის ყველა ეტაპის თანამონაწილედ მოიაზრებს. ეს ნიშნავს ბავშვის პერსპექტივის, მისი თვალთახედვის გათვალისწინებას. ბევრი ზრდასრულისთვის ბავშვების მონაწილეობის უფლებები შესაძლოა გაუგებარი, ან მიუღებელიც კი იყოს, რადგან ზრდასრულთა დიდ ნაწილს შეიძლება მიაჩნდეს, რომ ბავშვები, განსაკუთრებით ადრეულ ასაკში, ჯერ არ არიან მომწიფებულნი იმისთვის, რომ საკუთარი მოსაზრებები ჰქონდეთ და გამოხატონ.

სხვები, შესაძლოა, ფიქრობდნენ, რომ მართალია, ბავშვებს აქვთ გარკვეული მოსაზრებები (რა და როგორ ურჩევნიათ, რა მოსწონთ და ა.შ.), მაგრამ უფროსებს მათი გათვალისწინება ნამდვილად არ მართებთ, რადგან, ზრდასრულებმა თითქოს ყოველთვის უკეთ იციან, რა არის მათთვის უკეთესი. ასეთი დამოკიდებულებები ეფუძნება საზოგადოებაში მყარად გამჯდარ ასაკობრივ დაყოფას, ძალაუფლების გადანაწილებას უფროსების სასარგებლოდ, და ხშირ შემთხვევაში, მცდარ წარმოდგენებს ბავშვების შესაძლებლობების შესახებ.

ბავშვი, როგორც უნარიანი, კომპეტენტური პიროვნება, რომლის მოსაზრებები მნიშვნელოვანია მისი კეთილდღეობის უზრუნველყოფისთვის, პიროვნული განვითარებისა და მოქალაქედ ჩამოყალიბებისთვის - ეს არ არის მხოლოდ კონვენციით განსაზღვრული ბავშვის ხედვა. კომპეტენტური ბავშვის ცნება, რომელსაც შეუძლია მონაწილეობის მიღება მისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ბავშვის განვითარებისა და ადრეული განათლების კვლევებით დასტურდება და კონვენციის მიღებამდე ათწლეულებით ადრე უკვე აქტუალური იყო ბავშვის განვითარებისა და განათლებით დაინტერესებული მეცნიერებისა და მკვლევრებისთვის. სკოლამდელი განათლების მკვლევრის, გლენდა მაკნოტონის სიტყვებით, კვლევები ადასტურებს, რომ:

„ადრეულ ასაკში ბავშვები აქტიურად ქმნიან საკუთარ წარმოდგენებს გარესამყაროსა და მასში საკუთარი ადგილის შესახებ;

ბავშვების ცოდნა სამყაროს შესახებ განსხვავდება ზრდასრულთა ცოდნისგან, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ის ნაკლებად მნიშვნელოვანია;

გარესამყაროს შესახებ ბავშვების შეხედულებებსა და თვალთახედვას შეუძლია გააღრმაოს და გააუმჯობესოს ზრდასრულთა წარმოდგენები ბავშვების უშუალო გამოცდილების შესახებ“ (მაკნოტონი და სმიტი, 2009).

ბუნებრივია, ზრდასრულების ღრმად გამჯდარი დამოკიდებულების შეცვლა მარტივი არ არის. პირველი ნაბიჯი ბავშვების შესაძლებლობების, მათი, როგორც პიროვნების დანახვაა - როგორც უნიკალური თვისებების, მოსაზრებების, ემოციების და გამოცდილების მქონე ადამიანების. ბავშვების თვალთახედვის მნიშვნელობის აუღიარებლად, ბუნებრივია, გაგვიჭირდება ვისწავლოთ მათი აზრის მოსმენა, დაფასება და გათვალისწინება. თუმცა ზრდასრულების შესაბამისი ძალისხმევა ნათლად გვაჩვენებს, რომ ბავშვების მოსმენა, მათი ჩართვა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რეალურად სკოლამდელი განათლების უკეთეს პროფესიონალებად გვაქცევს. გიგი მასწავლებლის გამოცდილება დაგვეხმარება გავიაზროთ მის მიერ განვლილი ბავშვების შესახებ წარმოდგენების ტრანსფორმაციის გზა:

„ჩემთვის პატარა ბავშვები, პირველ რიგში, ძალიან საყვარელი არსებები იყვნენ, რომლებსაც განსაკუთრებული და ფრთხილი მოპყრობა სჭირდებათ, მუდმივი მეთვალყურეობა, ზრუნვა, რადგან მთლიანად ჩვენზე არიან დამოკიდებულნი. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე საბავშვო ბაღში მუშაობის დაწყება ძიძად. თუმცა პრაქტიკული გამოცდილება დამეხმარა, ნელ-ნელა სხვანაირად დამენახა ბავშვები. აღმოვაჩინე, რომ ხშირად, ყველაზე პატარებიც კი, ისე მოხერხებულად იქცევიან, საერთოდ რომ არ მოელი - გგონია, რომ ჯერ ბევრი არაფერი ესმის, მაგრამ ისე ოსტატურად გამოუვა რაღაცა, რომ გაოცებულს დაგტოვებს. ამის აღიარება არ არის მარტივი, რადგან მიჩვეული ვართ, ვიფიქროთ, რომ ბავშვი გამოუცდელია და ჯერ ბევრი რამ არ იცის. არადა, სწორედ ამ დამოკიდებულების გამო ვერ ვამჩნევთ მათ შესაძლებლობებს. როდესაც ბავშვის განვითარების შესახებ დავიწყე რაღაც-რაღაცების წაკითხვა, აღმოვაჩინე, რომ ლიტერატურაში ხშირად ბავშვი არაკომპეტენტურ არსებად არის წარმოდგენილი, რომელსაც ჯერ კიდევ არ შეუძლია ყველაფერი ის, რაც დიდებს, ჩვეულებრივ, მარტივად გამოგვდის. ბავშვებთან მუშაობამ კი დამარწმუნა, რომ განვითარების ასეთი (უფროსებთან შედარებით) ხედვა, მხოლოდ ერთი მხარეა და მათი მდიდარი სამყაროს გაგებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია ბავშვის თვალთახედვის დანახვა, მასთან, როგორც თანასწორთან ურთიერთობა“.

ბუნებრივია, ზრდასრულების ღრმად გამჯდარი დამოკიდებულების შეცვლა მარტივი არ არის. პირველი ნაბიჯი ბავშვების შესაძლებლობების, მათი, როგორც პიროვნების დანახვაა - როგორც უნიკალური თვისებების, მოსაზრებების, ემოციების და გამოცდილების მქონე ადამიანების.

ბავშვების თვალთახედვის მნიშვნელობის აუღიარებლად, ბუნებრივია, გაგვიჭირდება ვისწავლოთ მათი აზრის მოსმენა, დაფასება და გათვალისწინება. თუმცა ზრდასრულების შესაბამისი ძალისხმევა ნათლად გვაჩვენებს, რომ ბავშვების მოსმენა, მათი ჩართვა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რეალურად სკოლამდელი განათლების უკეთეს პროფესიონალებად გვაქცევს. გიგი მასწავლებლის გამოცდილება დაგვეხმარება გავიაზროთ მის მიერ განვლილი ბავშვების შესახებ წარმოდგენების ტრანსფორმაციის გზა:

როდესაც თეონა მასწავლებელი აღმოაჩენს, რომ 4 წლის ნინის აღარ მოსწონს ქვიშით თამაში, ვარაუდობს, რომ ეს წინა კვირას მომხდარ ინციდენტს უკავშირდება: ქვიშის მოედანზე თამაშის დროს გუგას ნინის საყვარელი ნიჩაბი გაუტყდა, რამაც ნინი ძალიან გაანაწყენა. მიუხედავად ამ ვარაუდისა, თეონა მასწავლებელს სურს, თავად ნინისგან შეიტყოს, თუ რატომ არ ეკარება ის ბოლო რამდენიმე დღეა მის საყვარელ საქვიშეს. მას შემდეგ, რაც პირდაპირ კითხვაზე ნინიმ მხოლოდ მხრები აიჩეჩა და სათამაშოდ საქანელასკენ გავარდა, თეონამ გადაწყვიტა, სადილის შემდეგ ბავშვების პატარა ჯგუფთან ქვიშის მოედანზე შუადღეს მიმდინარე საინტერესო თამაშზე ესაუბრა. თეონა მასწავლებელმა საუბრისთვის დრო ისე შეარჩია, რომ ნინისაც მიეღო მონაწილეობა. ლუკა და თათა აღფრთოვანებით ყვებოდნენ, როგორ გადაარჩინა დინოზავრმა პატარა ჟირაფი ქვიშის ქარიშხლისგან. უცებ ნინიმ შესძახა: ქვიშა ბინძურია, იმიტომ რომ ჭიებია შიგნით! მე ვნახე! ამის შემდეგ ბავშვებს შორის საინტერესო დისკუსია დაიწყო: სხვებს არ ჰქონდათ ნანახი იქ ჭიები; ლუკამ თქვა, რომ ჭიები მიწიდან გადმოძვრნენ და მერე ისევ დაბრუნდნენ თავიანთ სახლში, ამიტომ ქვიშა სულაც არ იყო ბინძური. თეონა მასწავლებელი და ბავშვები ერთად გავიდნენ ქვიშის დასათვალიერებლად, თან საუბრობდნენ სხვადასხვანაირ ჭიებზე. თათამ შესძახა - მე საერთოდ არ მეშინია ჭიების! თეონა მასწავლებელმა ბავშვებს ენციკლოპედიის დათვალიერება და ჭიების შესახებ საინტერესო ამბების წაკითხვა შესთავაზა, რასაც ბავშვები აღტაცებით შეხვდნენ. ნინი ცნობისმოყვარეობით უსმენდა და თეონა მასწავლებელს შინ წასვლამდე უთხრა: „ხვალ რომ ვითამაშებ ქვიშაში, ჭია თუ მოვიდა, დაგიძახებთ და ყველას ვაჩვენოთ“.

მაშ ასე, ბავშვის თვალთახედვის დასანახად და გასათვალისწინებლად, მნიშვნელოვანი ეტაპებია:

ბავშვის თვალთახედვის აღიარება და პატივისცემა: აუცილებელია პირველ რიგში ვირწმუნოთ, რომ ბავშვებს აქვთ საკუთარი აზრები და გრძნობები, რომელთა გათვალისწინება მნიშვნელოვანია მათი კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად;

ბავშვების მოსმენა: ბავშვების მოსმენა უწყვეტი პროცესია, როდესაც ზრდასრულები მზად არიან სხვადასხვა საშუალებით მოისმინონ, რას ფიქრობენ და გრძნობენ ბავშვები, ისაუბრონ და იმსჯელონ მათთან ერთად. „მოსმენა“ ამ შემთხვევაში არ გულისხმობს მხოლოდ „ყურის დაგდებას“; ბავშვები საკუთარ შეხედულებებს, გრძნობებსა და აზრებს სხვადასხვა გზით გამოხატავენ: სიტყვიერად, ჟესტებით, მიმიკებით, ქცევით, შემოქმედებით და ა.შ. შესაბამისად, მათი „მოსმენაც“ გამოხატვის ამ მრავალფეროვანი ხერხების შემჩნევას, წახალისებასა და გაგებას გულისხმობს.

ერთი მხრივ, აღმზრდელი და აღმზრდელ-პედაგოგი მუდმივად მზად არიან შეამჩნიონ და მოუსმინონ ბავშვის თვალთახედვას, მეორე მხრივ კი, ისინი თავად ეძიებენ სხვადასხვა აქტუალური საკითხის შესახებ ბავშვთა პერსპექტივას: მაგალითად, რა ჯობია შევიძინოთ ბაღისთვის - ახალი საქანელა თუ სასრიალო? სად დავდგათ გასაძრომი ბორბლები? დღეს წიგნი გარეთ ხომ არ წავიკითხოთ? რატომ არ თამაშობენ გოგოები კონსტრუქციის ცენტრში? და ა.შ. ბავშვების შეხედულებების გასაგებად მრავალფეროვანი მეთოდები არსებობს და მათი შერჩევისას ბავშვების ინდივიდუალური და ასაკობრივი თავისებურებები - კომუნიკაციის, სოციალური და კოგნიტური უნარები - უნდა გავითვალისწინოთ;

ბავშვების ჩართვა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში: ბავშვებისთვის მნიშვნელოვანია, დაინახონ, რომ მათ მოსაზრებებს ზრდასრულები უყურადღებოდ არ ტოვებენ და აქვთ რეალური შესაძლებლობა, წვლილი შეიტანონ მათთვის სასურველი გარემოს შექმნაში. რა თქმა უნდა, შეუძლებელი იქნება ყველა ბავშვის ყველა აზრის ყოველთვის გათვალისწინება (ბოლოს და ბოლოს, შესაძლოა, ურთიერთსაწინააღმდეგოც იყოს ისინი, ან ფანტასტიკურ სამყაროს უფრო შეეფერებოდეს, ვიდრე რეალურს). მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, მოსმენა არ არის ზრდასრულთა მხრიდან პასიური პროცესი; ის დიალოგის პრინციპზე დგას, სადაც განსხვავებული თვალთახედვის გაზიარება (სხვადასხვა ბავშვის, ზრდასრულის) გრძელდება კითხვების დასმით, მსჯელობითა და რიგ შემთხვევაში, დემოკრატიული გზით კონსენსუსის მიღწევით. ბავშვები საკუთარი აზრის გამოხატვას სწორედ მაშინ სწავლობენ, როდესაც გრძნობენ, რომ მათი აზრი მნიშვნელოვანია და ზრდასრულები მას პატივს სცემენ და ითვალისწინებენ.

4-5 წლიანთა აღმზრდელმა ნიკამ ბავშვებთან საუბრის შემდეგ გაარკვია, რომ მასწავლებლის მაგიდა ხელს უშლიდა ბავშვებს „დრამატული ცენტრში“ თამაშში.

- თამუნა მასწავლებელმა წაიღოს მაგიდა, - შესთავაზა ნიკა მასწავლებელს 4 წლის გუკამ.
- მაგიდაზე რომ ჩემი საბუთები და წიგნებია, სად წავიღო? ხანდახან ხომ მჭირდება ხოლმე და თამუნა მასწავლებლის ოთახში ხომ არ ვირბენ? - უპასუხა ნიკამ.
- მაშინ წიგნები და საბუთები ჩვენ წიგნებთან დავდოთ - მოიფიქრა ნენემ.
- ასე რომ დავდო, ხომ შეიძლება გაიბნეს ჩემი ფურცლები და დამეკარგოს?- იკითხა ნიკა მასწავლებელმა.
- ყუთში ჩავდოთ! აი ნახე, თაროზე დავდოთ ყუთი, - გამოსავალი მოძებნა გუკამ.

ნიკა მასწავლებელი სწორედ ასე მოიქცა: საკუთარი მაგიდა დირექტორის ოთახში გაიტანა და გაათავისუფლა სივრცე, რომ ბავშვებს მეტი ადგილი ჰქონოდათ დრამატულ ცენტრში სათამაშოდ. ხოლო მაგიდა, რომელსაც, ძირითადად, დაკვირვების სწრაფი ჩანაწერებისთვის იყენებდა, ადვილად ჩაანაცვლა წიგნიერების ცენტრის თარომ, სადაც ამ საქმეს კიდევ უფრო მოხერხებულად, ყურადღების მოდუნების გარეშე და მოკლე დროში ახერხებდა, ვიდრე მაგიდასთან დამჯდარი.

ბავშვების უკუკავშირი: ბავშვების მონაწილეობა მნიშვნელოვანია ნებისმიერ ეტაპზე. თუკი ბავშვების მოსაზრებების გაგების შემდეგ გარკვეული ცვლილებები შეგვაქვს გარემოში, მნიშვნელოვანია ბავშვების მოსაზრებები მოვისმინოთ იმის შესახებაც, თუ რას ფიქრობენ ისინი შეცვლილ გარემოზე, მიაღწია თუ არა სასურველ მიზანს? ბავშვების უწყვეტი უკუკავშირი მნიშვნელოვანია: ერთი მხრივ, გვეხმარება დავრწმუნდეთ, რომ ნამდვილად სწორად გავიგეთ ბავშვების მოსაზრებები, მეორე მხრივ, საშუალებას გვაძლევს ცვლილებები და შედეგები ბავშვის თვალთახედვით შევაფასოთ, რომელიც შესაძლებელია ჩვენი ხედვისგან სრულიად განსხვავდებოდეს.

უკუკავშირის ეტაპზე ასევე მნიშვნელოვანია, რომ ბავშვების „მოსმენისას“ დავუკვირდეთ და გავითვალისწინოთ შეხედულებების და გრძნობების გამოხატვის მრავალფეროვანი გზები. ამასთანავე, ზრდასრულთა მხრიდან ბავშვების მოსაზრებებით დაინტერესება კიდევ უფრო განამტკიცებს ბავშვების თვითრწმენასა და კომპეტენტურობის შეგრძნებას, რადგან ისინი ხედავენ, რომ ზრდასრულები სამართლიანად უნაწილებენ ბავშვებს ძალაუფლებას.

აქედან გამომდინარე, ბავშვზე ორიენტირებული სკოლამდელი განათლების ცენტრში აქტიური და პროცესის სრულუფლებიანი მონაწილე ბავშვია.

ბავშვების მოსმენის სტრატეგიები და მეთოდები

ბავშვის თვალთახედვის დასანახად და მოსასმენად შეგვიძლია გამოვიყენოთ მრავალფეროვანი სტრატეგიები ბავშვების ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. ბავშვის თვალთახედვის დასანახად, მნიშვნელოვანია, რომ მაქსიმალურად ობიექტურები ვიყოთ და ჩვენი წინასწარი ვარაუდები გვერდით გადავდოთ: ეს საშუალებას მოგვცემს, ბავშვების უნიკალური თვალთახედვა იმ კუთხით დავინახოთ, რომლის წარმოდგენაც მათი მოსმენის გარეშე ძალიან გაგვიჭირდებოდა.

სასურველია, რომ ბავშვებს საშუალება ჰქონდეთ ერთდროულად სხვადასხვა ფორმითა და გზით გამოხატონ საკუთარი თვალთახედვა. სტრატეგიების შერჩევის დროს უნდა გავითვალისწინოთ ბავშვთა განვითარების ასაკობრივი თავისებურებები: რადგან მცირე ასაკის ბავშვები ნაკლებ ვერბალურები არიან, მათი პერსპექტივის დანახვა უფრო ეფექტიანი იქნება სხვა ხერხით, ვიდრე, მაგალითად, გასაუბრებით.

თუმცა, როგორც წესი, ადრეული ასაკის ბავშვების პერსპექტივის გასაგებად გამოყენებული მეთოდები ერთმანეთს ფარავს ხოლმე და შესაძლებელია ერთდროულად ორი ან სამი მეთოდის გამოყენება გახდეს საჭირო. სტრატეგიისა და მეთოდის შერჩევისას მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ, რამდენად ნაცნობ ფორმას/რესურსს ვთავაზობთ ბავშვს აზრების გამოსახატად? მაგალითად, თუ ბავშვმა არ იცის ფოტოაპარატის/ტელეფონის გამოყენება ფოტოების გადასაღებად, ეს მეთოდი ნაკლებად ეფექტიანი იქნება, რადგან ბავშვს დრო სჭირდება ნივთის გასაცნობად, მისი დანიშნულების გასააზრებლად და გამოყენების სასწავლად.

გთავაზობთ ადრეული ასაკის ბავშვთა მოსმენის ხუთ ძირითად სტრატეგიას და შესაბამისი მეთოდების ნიმუშებს:

1. ჯგუფური დისკუსია და პირისპირ საუბარი

ინდივიდუალურად/ჯგუფურად საუბარი ბავშვებთან საშუალებას გვაძლევს შევიტყოთ მათი მოსაზრებები ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ. დაუსვით კითხვები: რას ფიქრობენ, რას გრძნობენ, წაახალისეთ, ახსნან საკუთარი მოსაზრებები, შემოგვთავაზონ ალტერნატივები. კითხვები შესაძლებელია კონკრეტული საკითხიდან გამომდინარე მომზადდეს. კითხვები მარტივი და გასაგები უნდა იყოს ბავშვებისთვის და უკავშირდებოდეს მათ უშუალო გარემოსა და გამოცდილებას. გადაწყვეტილებას ინდივიდუალური თუ ჯგუფური ინტერვიუს საჭიროების შესახებ, მასწავლებელი კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე მიიღებს. ბუნებრივია, მასწავლებელი ინდივიდუალურად ესაუბრება ბავშვს, როდესაც საქმე ეხება კონკრეტული ბავშვის თვალთახედვას (მაგალითად, მასწავლებელი ცდილობს გაარკვიოს, რატომ არიდებს თავს გიგი გოგონებთან თამაშს); იმისათვის, რათა ბავშვმა კომფორტულად იგრძნოს თავი და გასაუბრებას ფორმალური სახე არ ჰქონდეს, აღმზრდელს შეუძლია გამოიყენოს რაიმე ნივთი, თვალსაჩინოება საუბრის წამოსაწყებად, მაგალითად, შევთავაზოთ სახატავი მასალა, გამოვიყენოთ თოჯინები ბავშვების დასაინტერესებლად, ან საკითხის ირგვლივ მსჯელობა პატარა სათამაშოების გამოყენებით (მაგალითად, ცხოველების მოდელები) წამოვიწყოთ.

ჯგუფური გასაუბრების მეთოდი გამართლებულია ისეთ შემთხვევებში, როდესაც გვაინტერესებს არა ერთი კონკრეტული ბავშვის თვალთახედვა, არამედ ბავშვების ჯგუფის. ჯგუფური გასაუბრება ბავშვებს განსხვავებული აზრების მოსმენისა და მსჯელობის საშუალებას აძლევს. ჯგუფური გასაუბრება ბავშვების მცირე ჯგუფთან (3-დან 5 ბავშვამდე) უნდა წარიმართოს. თუ ისეთი საკითხის შესახებ გვსურს გავიგოთ ბავშვების მოსაზრებები, რომლებიც ჯგუფში ყველა ბავშვს ეხება, ჯგუფური გასაუბრება შესაძლებელია რამდენიმე მცირე ჯგუფთან დავგეგმოთ.

მნიშვნელოვანია, რომ გასაუბრების დროს ბავშვები კომფორტულად გრძნობდნენ თავს და არ ეშინოდეთ საკუთარი აზრების გულწრფელად გამოხატვის. ჯგუფური ინტერვიუ შედარებით ეფექტიანი მეთოდია 4 და 5 წლის ასაკის ბავშვებთან, თუმცა აღმზრდელმა ეს მეთოდი შეიძლება უფრო მცირე ასაკის ბავშვებთანაც წარმატებით გამოიყენოს.

2. სივრცითი ტურები ბავშვებთან ერთად

„სივრცითი ტური“ ეფექტიანი მეთოდია ბავშვების პერსპექტივის გასაცნობად, მათ შორის იმ ბავშვების, რომლებსაც ნაკლებად აქვთ განვითარებული მეტყველების უნარი. სივრცითი ტურის დროს ბავშვი ჩვენი გიდია: ის გვიძღვება სხვადასხვა ადგილებში, გვათვალიერებინებს ან გვიყვება სხვადასხვა ადგილზე მიღებული გამოცდილების შესახებ, პასუხობს ჩვენს კითხვებს: სად მოსწონს თამაში და სად - არა, სად თამაშობენ მისი მეგობრები, რატომ ეშინია ამ ადგილზე ყოფნის, ვისთან ერთად ითამაშა, რომელი სათამაშოები ურჩევნია და რატომ? რომელ ცენტრში ერთობა ყველაზე კარგად? და ა.შ. სივრცითი ტურები შეიძლება მოვაწყოთ ინდივიდუალურად ერთ ბავშვთან ან 2-4 ბავშვთან ერთად.

ინდივიდუალური ტურის დროს ბავშვი სრულად მართავს სიტუაციას, ხოლო ჯგუფური ტურის დროს ზრდასრულს შესაძლოა მოუწიოს „ხარაჩოს მეთოდის“ გამოყენება. თუ ბავშვები ჯერ ვერ ახერხებენ დამოუკიდებლად შეთანხმებას, მაგალითად, თუ ჯერ არ შეუძლიათ „მარშრუტზე“ უკონფლიქტოდ შეთანხმება, ამ შემთხვევაში მასწავლებელს, შესაძლოა, წინასწარ ჰქონდეს მოფიქრებული „მარშრუტი“, რომლის შესახებაც მნიშვნელოვანია ბავშვების მრავალფეროვანი პერსპექტივის გაგება (მაგალითად, საბავშვო ბაღის უკანა ეზოს სივრცე). სივრცითი ტურები ბავშვებისთვის უფრო სახალისოა, ვიდრე უბრალოდ გასაუბრება და დისკუსია; ამ დროს ისინი უფროსს უბრალოდ კი არ პასუხობენ კითხვებზე, არამედ მეტი ძალაუფლება აქვთ, შეუძლიათ სურვილისამებრ წარმართონ „ექსკურსია“ და სწორედ იმაზე ისაუბრონ და იქით წავიდნენ, საითკენაც გული გაუწევთ.

ამავე დროს, „სივრცითი ტურები“ ბავშვებს საშუალებას აძლევს, უშუალოდ კონკრეტულ გარემოში დეტალურად გაიხსენონ და აღწერონ ამა თუ იმ ადგილთან დაკავშირებული თავიანთი გამოცდილება და გრძნობები. სივრცითი ტურების გამოყენება განსაკუთრებით ეფექტიანად შეგვიძლია საბავშვო ბაღის გარემოს გასაუმჯობესებლად, შენობასა და ეზოში სხვადასხვა სათამაშო თუ სხვა დანიშნულების სივრცის ბავშვებზე უკეთ მოსარგებად. სივრცითი ტურის დროს ბავშვ(ებ)ს დამატებით შეგვიძლია შევთავაზოთ მათთვის მნიშვნელოვანი ადგილებისთვის ფოტოების გადაღება (ფოტოაპარატით ან ტელეფონით), რაც ზოგიერთ ბავშვს უფრო წაახალისებს ისაუბროს საკუთარ გამოცდილებაზე სხვადასხვა ადგილებში. შედარებით უფროს ბავშვებთან ფოტოები შესაძლებელია ინფორმაციის დამატებით წყაროდაც გამოვიყენოთ, თუკი მოგვიანებით ფოტოებთან დაკავშირებით დისკუსიას გავმართავთ.

3. ვიზუალური მეთოდები

თავისუფალი გამოხატვის ვიზუალური მეთოდები



ვიზუალური მეთოდებით მოსაზრებების და გრძნობების გამოხატვა ბავშვებისთვის ბუნებრივი და სახალისოა. ამისათვის მათ შესაძლებელია შევთავაზოთ მრავალფეროვანი მასალა და მეთოდი - ხატვა, გამოძერწვა, აპლიკაციების დამზადება, ფოტოგრაფია, ვიდეოების, რუკების დამზადება და ა.შ., ისე, რომ მივცეთ სრული თავისუფლება სხვადასხვა ვიზუალური გამოსახულების შექმნის პროცესში. ბავშვის თვალთახედვის გასაგებად, ვიზუალური ნიმუშების შექმნის შემდეგ, მნიშვნელოვანია ნამუშევრების მათთან ერთად დათვალიერება და მნიშვნელობის დადგენა, რაც მეტყველი ბავშვის შემთხვევაში გულისხმობს ნამუშევრის განხილვას, გამოსახულების შესახებ კითხვების დასმას და მათი ინტერპრეტაციების მოსმენას, ხოლო ვერბალურად ნაკლებ კომპეტენტური ბავშვის შემთხვევაში - ინტერპრეტაციების შეთავაზებას და ნამუშევრის მნიშვნელობაზე შეთანხმებას.

სტრუქტურირებული ვიზუალის მეთოდები

სტრუქტურირებული ვიზუალური მეთოდები თავისუფალი თვითგამოხატვის მეთოდებისგან იმით განსხვავდება, რომ ამ შემთხვევაში ზრდასრულები წინასწარ განსაზღვრულ ფორმატებს/ჩარჩოს სთავაზობენ ბავშვებს რაიმე საკითხის შესახებ საკუთარი აზრების გამოსახატად. ეს შესაძლოა იყოს ცხრილები ან გრაფიკები, რომლებსაც ბავშვები ვიზუალური მინიშნებების გამოყენებით შეავსებენ; რუკები, სადაც უნდა მონიშნონ ადგილები გარკვეული პრინციპის მიხედვით; ვიზუალები, რომლებიც უნდა დაალაგონ სასურველის/პრიორიტეტის მიხედვით, და ა.შ. ფოტოებისა და ვიდეოს გამოყენება ამ შემთხვევაშიც შესაძლებელია, თუმცა თავისუფალი მეთოდებისგან განსხვავებით, როდესაც ბავშვები თავად ქმნიან ფოტო/ვიდეო მასალას, უფროსები, მათი მოსაზრებების გასაგებად, ბავშვებს თავად სთავაზობენ წინასწარ შერჩეულ რესურსებს (მაგალითად, სხვადასხვა ტიპის სათამაშოების ფოტოები).

ამ მეთოდების გამოყენების უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ერთგვაროვანი ვიზუალური „ფორმატის“ საშუალებით შეგვიძლია შევადაროთ ბავშვების სხვადასხვა ჯგუფების პერსპექტივა, მაგალითად, მოსწონთ თუ არა ერთი და იგივე წიგნები გოგონებს და ბიჭებს? რომელ ცენტრებში ურჩევნიათ თამაში შედარებით უმცროს და შედარებით უფროს ბავშვებს? და ა.შ. ამავ დროს, სტრუქტურირებული ვიზუალური მეთოდების გამოყენებისას გასათვალისწინებელია, რომ შეთავაზებული ვიზუალური „ჩარჩო“ არ იყოს ზედმეტად მოუქნელი, ისე რომ შეზღუდოს ბავშვის აზრის გამოხატვის შესაძლებლობა (მაგალითად, ზედმეტად დეტალური რუკა).

4. ნარატივი და პერფორმანსი



თვითგამოხატვის მეთოდების ამ ჯგუფში მოიაზრება, ერთი მხრივ, ნარატიული (ამბის სიტყვიერი თხრობა) და მეორე მხრივ, საშემსრულებლო (ამბის „თხრობა“ მოქმედებით) მეთოდები. თუმცა ხშირად ისინი ერთმანეთს გადაფარავს და სპექტრის სახით უფრო წარმოგვიდგება, ვიდრე ორი განსხვავებული მეთოდის სახით. ორივე შემთხვევაში შესაძლებელია დამატებითი მასალის გამოყენება გამოხატვის წასახალისებლად, მაგალითად, ნარატივის სტიმულირებისთვის ილუსტრაციების, ხოლო პერფორმანსისთვის - თოჯინებისა.

ამ მეთოდების გამოყენების დროს ძალზე მნიშვნელოვანია ბავშვთან (ბავშვებთან) კომუნიკაცია, რადგან ის საშუალებას გვაძლევს ჩავწვდეთ ნარატივის/პერფორმანსის მათეულ ინტერპრეტაციას და მნიშვნელობას. ამბის თხრობას შეიძლება ჰქონდეს დიალოგის ან ისტორიის თხრობის ფორმა, ისე რომ ბავშვს საშუალება ჰქონდეს გვიამბოს თავისი ამბავი, ყურადღება გაამახვილოს მისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე. ეს შეიძლება იყოს უშუალოდ მის თავს გადახდენილი ისტორია ან განზოგადებული ამბავი. მაგალითად, აღმზრდელი ბავშვებს აცნობს ორ თოჯინას, რომლებიც მათ შორეული ქვეყნიდან ესტუმრნენ და ბავშვებისგან მათი ისტორიები უნდა მოისმინონ ბაღში გატარებული ყველაზე საინტერესო დღეების შესახებ. პერფორმანსის დროს ბავშვები ამბავს მოქმედებით ყვებიან, განასახიერებენ საკუთარ თავს ან სხვა გმირებს და ნარატივისგან განსხვავებით, გამოხატვის უფრო მრავალფეროვან ხერხებს - სიტყვებს, სიმღერას, მოძრაობას, ჟესტებს, მიმიკას და ა.შ., იყენებენ.

5. თამაში

ადრეულ ასაკში თამაში ბავშვის ქცევის წამყვანი ფორმაა, შესაბამისად, ბავშვების მოსმენა ხშირად ყველაზე ბუნებრივად სწორედ თამაშის გზით ხდება. ამასთან, როგორც ზემოთ მიმოხილული სტრატეგიები გვიჩვენებს, თამაშის ელემენტებს მოიცავს ნებისმიერი მეთოდი. თამაშის ფორმით საკუთარი მოსაზრებების გამოხატვა, ამავე დროს, სახალისოც არის ბავშვებისთვის. ბავშვების მრავალფეროვანი პერსპექტივის დანახვის საშუალებას იძლევა ნებისმიერი ტიპის თამაში: ფიზიკური თამაშები, ნივთებით თამაში, სიმბოლური თამაში, სოციო-დრამატული თამაშები და წესებიანი თამაშები. მიზანშეწონილია, ბავშვების თვალთახედვის, მათივე ინტერპრეტაციის გადასამოწმებლად და დასადასტურებლად, ბავშვების მოსასმენად თამაშთან ერთად სხვა მეთოდებიც გამოვიყენოთ.

დამატებითი რესურსები:

1. ონლაინ თამაში, თემში მედეგობის ხელშეწყობა (ინგლისურ ენაზე) https://developingchild.harvard.edu/resilience-game/

2. ბავშვის პერსპექტივის გაგების მეთოდები და კონკრეტული მაგალითები (ინგლისურ ენაზე) https://bernardvanleer.org/app/uploads/2016/04/Steps-for-Engaging-Young-Children-in-Research-Volume-2-The-Researcher-Toolkit7591.pdf

3. თამაშის უფლება (მკვლევართა მოკლე და მარტივი განმარტებები თამაშთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებზე) https://bernardvanleer.org/app/uploads/2015/12/ECIF9_The-Right-to-Play.pdf

4. ბავშვის უფლებათა კონვენცია (ადაპტირებული ვერსია ბავშვებისთვის ქართულ ენაზე) http://unicef.ge/uploads/CRC_child_friendly-resized.pdf

3 კეთილდღეობა

ძირითადი ტერმინები

კეთილდღეობა - მდგომარეობა, რომელიც მოიცავს ბედნიერებისა და კმაყოფილების განცდას. ის გულისხმობს ინდივიდის ეფექტიან სოციალურ ფუნქციონირებასა და მიდრეკილებას ოპტიმიზმისადმი, ღიაობისადმი, ცნობისმოყვარეობისა და მედეგობისადმი.

მიკუთვნებულობა - მიკუთვნებულობის განცდა ბავშვის, როგორც პიროვნების, გარდაუვალი ნაწილია. ბავშვს მიკუთვნებულობის განცდა აქვს თავის ოჯახთან, მის ირგვლივ არსებულ სოციალურ და კულტურულ ჯგუფთან (სამეზობლო, თემი, საბავშვო ბაღი) და კიდევ უფრო ფართო საზოგადოებასთან მის შემდგომ ცხოვრებაში. ბავშვის მიკუთვნებულობის განცდა ურთიერთდამოკიდებულების საჭიროების აღიარებაა მის მიერ და მის მიმართ, აყალიბებს იდენტობას და ბავშვს აღაქმევინებს, თუ ვინ არის ის და როგორი შეიძლება იყოს/გახდეს (AGDE/EWRCAG, 2009).

პოზიტიური დისციპლინა - დისციპლინის მოდელი, რომელიც გამოიყენება მშობლების ან საგანმანათლებლო დაწესებულების თანამშრომელთა მიერ. მისი მიზანია ბავშვის განვითარება ორმხრივ პატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობის ფონზე. პოზიტიური დისციპლინა მიმართულია გამოსავალზე, პოზიტიური ქცევის შეთავაზება კი - დასწავლაზე და არა არასასურველი ან უარყოფითი ქცევის დასჯაზე.

3.1. შესავალი

კეთილდღეობა არის მდგომარეობა, როდესაც ბავშვი მშვიდად, ბედნიერად, დაცულად გრძნობს თავს. კეთილდღეობის შეგრძნებით ბავშვი დადებით ემოციას, კმაყოფილებას გამოხატავს, ის გრძნობს, ერთი მხრივ, ზრუნვას, ხოლო მეორე მხრივ, საშუალება აქვს დამოუკიდებლად გააკეთოს არჩევანი, მიიღოს გადაწყვეტილება.

არსებობს კვლევები, რომლებიც ადასტურებს, რომ ბავშვები, რომლებსაც კეთილდღეობის მაღალი შეგრძნება აქვთ, ათვისების მაღალი უნარითაც გამოირჩევიან და მეტად არიან მიდრეკილები ჩაერთონ გამაჯანსაღებელ აქტივობებში, უფრო სოციალურები არიან. ასეთი ბავშვები თავადაც ზრუნავენ როგორც საკუთარ, ისე სხვების კეთილდღეობაზე. ბავშვზე ორიენტირებული გარემოს უზრუნველყოფისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა სწორედ ბავშვთა კეთილდღეობის შეგრძნებაზე ზრუნვაა.

3.2. ფიზიკური გარემო კეთილდღეობისთვის

ფიზიკური გარემოს როლი გადამწყვეტია ბავშვის განვითარებაში. ის, თუ როგორაა ათვისებული და სტრუქტურირებული სივრცე ბავშვის ირგვლივ, განსაზღვრავს მის სააღმზრდელო პროცესში ჩართულობის, უფროსებსა და თანატოლებთან ინტერაქციის დონეს და შესაბამისად, განვითარების მიმართულებას და დინამიკას. ფიზიკურ გარემოში მოიაზრება როგორც შიდა, ისე გარე სივრცე (ეზო, შენობა და ა.შ.).

კარგად ორგანიზებული და სტრუქტურირებული გარემო ბავშვში ჯგუფისადმი მიკუთვნებულობის, ემოციური დაცულობის განცდას ბადებს, და აყენებს მუდმივი გამოწვევების წინაშე, რომელთანაც გამკლავება ბავშვისათვის კმაყოფილებისა და თავდაჯერებულობის განცდის წინაპირობაა.

გარემო ასევე უნდა სთავაზობდეს ბავშვს უსაფრთხო რისკის შესაძლებლობას, რათა ხელი შეუწყოს ინიციატივისა და დამოუკიდებლობის განვითარებას; განვითარების მასტიმულირებელ რესურსებსა და მასალებს (ორიენტირებული ყველა ბავშვის საჭიროებაზე). ბავშვის ინტერესებსა და უნარებზე დაფუძნებულ გამოცდილებას; მრავალფეროვან თვალსაჩინოებას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვებისათვის. ყველაფერი ეს ხელს უწყობს ბავშვის ჰარმონიულ და ჰოლისტურ განვითარებას.

მკაფიოდ გამოყოფილი ფუნქციური სივრცეები

განვითარების ხელმშემწყობი ფიზიკური გარემო იმით გამოირჩევა, რომ მასში არსებული ფუნქციური სივრცეები მკაფიოდაა გამიჯნული და მისი მომხმარებლისთვის - ბავშვებისა და უფროსებისთვის - დანახვისთანავე ცნობილი ხდება, რა ფუნქციას ატარებს ესა თუ ის სივრცე.

ასეთ სივრცეში ბავშვებმა ინტუიტიურად იციან, რას მოელიან მათგან უფროსები, სად რა უნდა გააკეთონ და როგორ მოიქცნენ, ეს ცოდნა კი მათ ემოციურ უსაფრთხოებას უქმნის, განაწყობს მოლოდინების დაკმაყოფილებისკენ და ხელს უწყობს ორგანიზებულობას, რის გამოც ასეთ გარემოში რთული ქცევა ნაკლებად ვლინდება.

ამგვარ სტრატეგიას ხშირად მივმართავთ სახლში, სადაც შემოსასვლელი ცალკე ოთახია, სამზარეულო, საძინებელი, საპირფარეშო და მისაღები კი - ცალკე ოთახები და თითოეული მათგანი განსხვავებული ფუნქციის მატარებელია. შემოსასვლელში ცალკე სივრცეა, სადაც შემოსულ ადამიანს შეუძლია გაიხადოს პალტო და ფეხსაცმელი.

სასწავლო გარემოს ორგანიზებისას ხშირად უპირატესობა ენიჭება ერთიანი სივრცის სასწავლო ცენტრებად (სივრცეებად) დაყოფას. სასწავლო ცენტრების რაოდენობა დამოკიდებულია სასწავლო პროგრამის არსზე, ფილოსოფიასა და ჯგუფში ბავშვების რაოდენობაზე. ყველა სასწავლო ცენტრს უნდა ჰქონდეს თავისი მიზანი, აღწერა - თუ როგორ, რა მეთოდების გამოყენებით ფუნქციონირებს ის. ეს ინფორმაცია ჯგუფში საჯაროდ უნდა იყოს გამოქვეყნებული, მშობლები და ბავშვები მარტივად რომ გაეცნენ.

სასწავლო ცენტრები უნდა პასუხობდეს ბავშვის საჭიროებებს და ინტერესებს, რადგან ბავშვი თანატოლებთან, უფროსებთან თუ სამყაროსთან ურთიერთობს გარკვეული გარემოს ჭრილში, რომელიც მისი განვითარების პროცესს აძლევს მიმართულებას. შესაბამისად, სასწავლო ცენტრების სწორად მოწყობა ძალიან მნიშვნელოვანია. სასწავლო რესურსები თემატურად უნდა შევარჩიოთ, იმის გათვალისწინებით, თუ რა შინაარსისაა ჩვენს მიერ დაგეგმილი აქტივობა.

მაგალითად, თუკი ბავშვებს ხელოვნების შესახებ ვესაუბრებით, უნდა გამოვიყენოთ ისეთი ნივთები, როგორიცაა: ქაღალდი, წებო, საღებავი, ფანქარი და ა.შ.

თუკი ჩვენი აქტივობა ბიბლიოთეკის სივრცეში მუშაობას მოიცავს, გარემო ისე უნდა მოვაწყოთ, რომ თითოეული მოსწავლისთვის კომფორტული იყოს აქ „თამაში“. ასეთ შემთხვევაში სხვადასხვა შინაარსის, და ილუსტრირებული წიგნები დაგვჭირდება.

მოტორიკის განსავითარებლად მოსწავლეებს უნდა შევთავაზოთ სიმაღლეზე ცოცვა, ბალანსის დაცვა. თუმცა სიმაღლეზე ცოცვის შეთავაზების შემთხვევაში, აუცილებელია, დავრწმუნდეთ, რომ უსაფრთხოების ყველა ნორმა დაცულია.



რაც შეეხება წერითი უნარების გამომუშავებას, დაგვჭირდება მერხები, სკამები, სტიკერები და კომპიუტერი.

სივრცე ცენტრებად უსაფრთხო გამყოფებით უნდა დაიყოს. ამ მიზნით შესაძლებელია გამოიყენოთ მაგიდები, დაბალი კარადები, თაროები და ა.შ. ნებისმიერ შემთხვევაში, ბავშვებს უსაფრთხო გადაადგილებაც უნდა შეეძლოთ და თან ყოველთვის რჩებოდნენ უფროსების მხედველობის არეში. ოთახის დაყოფის მიზნით გამოყენებულმა ნივთებმა მასწავლებელს და აღმზრდელს ხედვა არ უნდა შეუზღუდოს.

სივრცის ორგანიზება ძალიან მნიშვნელოვანია, ის საშუალებას იძლევა ბავშვები თავისუფლად გადაადგილდნენ ერთი სივრციდან მეორეში და შეიმეცნონ გარემო, აწარმოონ დაკვირვება, ძიება და შედარება და ა.შ.

ორგანიზებული გარემო პრევენციის როლსაც თამაშობს, ბავშვები სხვადასხვა სივრცეში რომ გადანაწილდნენ და ერთ სივრცეში არ მოგროვდნენ, რაც მათ თავისუფალ აქტივობას შეზღუდავდა.

სივრცის ათვისება მხოლოდ ავეჯის ოთახში განლაგებით არ შემოიფარგლება, ასევე მნიშვნელოვანია, რომ კედლები, იატაკი და ტიხრებიც, ბავშვის განმავითარებელ რესურსად გამოიყენებოდეს.

გარე სივრცე

გარე სივრცე ბევრად მეტია, ვიდრე სივრცე, სადაც ბავშვებს შეუძლიათ განივითარონ მსხვილი კუნთები: ივარჯიშონ, იხტუნონ და დახარჯონ საკუთარი ენერგია. კარგად ორგანიზებული გარე სივრცე ასევე უწყობს ხელს სოციალურ, კოგნიტურ და ენობრივ განვითარებას, სენსორულ შემეცნებას, ბუნების პატივისცემას და შემოქმედებით გამოხატვას.

გარე სივრცეში ბავშვებს უნდა შევთავაზოთ მულტიფუნქციური გარემო და აღჭურვილობა. მაგალითად, სხვადასხვა ზომის ბურთები, ლახტი, ველოსიპედები, სასრიალო და ასაძრომი მოწყობილობები, საქანელები და ა.შ. გარემო უსაფრთხო უნდა იყოს და კარგ ფუნქციურ მდგომარეობაში, რათა ხელი შეუწყოს ბავშვების დაინტერესებასა და თამაშში ჩართულობას.

გარე სივრცეში აუცილებელია საჩრდილობლებისა და ღია სივრცეების მოწყობაც. საჩრდილობლების მოსაწყობად შეიძლება გამოვიყენოთ ხეები, დიდი ზომის ქოლგები, კარვები და ა.შ.
ასევე სასურველია გამოიყოს სივრცე პატარა ბაღის გასაშენებლად, სადაც ბავშვს შეეძლება მცენარეებთან, ცხოველებთან ურთიერთობა, მათზე ზრუნვა და დაკვირვება.

ეზოს და გარე სივრცის მოწყობისას აუცილებელია გავითვალისწინოთ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვების მობილობისა და აქტივობის მხარდამჭერი ზომები. ადაპტაციისათვის უნდა გაკეთდეს პანდუსები და სპეციალური საყრდენები.

ბავშვზე ზრუნვის დაწესებულებებში ერთ-ერთი უმთავრესი და მნიშვნელოვანი საკითხია მისი მოწყობა და აღჭურვა უსაფრთხო და ეკოლოგიურად სუფთა მასალებით. იატაკი, კედლების საღებავები, ავეჯი, საპირფარეშო, სათამაშოები და სხვა მასალა არ უნდა შეიცავდეს ტოქსიკურ ნივთიერებებს და იოლად უნდა სუფთავდებოდეს.

ბავშვებისთვის განკუთვნილი სათამაშოები და სპეციალური აღჭურვილობები, უსაფრთხოებისა და სისუფთავის გარდა, მიმზიდველი, საინტერესო და გამძლე უნდა იყოს.

სათამაშოები და სასწავლო მასალები სივრცეში ისე უნდა განთავსდეს, რომ ბავშვებისთვის მაქსიმალურად ხელმისაწვდომი იყოს.
დიდი ნივთების კონტეინერები ისეთ სიმაღლეზე უნდა განთავსდეს, რომ უზრუნველყოს უსაფრთხოების წესების დაცვა.

ბავშვებმა, იოლად რომ გაარკვიონ, რომელ კონტეინერში რა დევს, მათ უნდა ჰქონდეთ წარწერები, იარლიყები, ნახატები. ამგვარად ორგანი-ზებული კონტეინერები ბავშვებს საშუალებას მისცემს, იზრუნონ სისუფთავესა და წესრიგზე და განივითარონ ელემენტარული ყოფითი ჩვევები.

ბავშვზე ორიენტირებული ფიზიკური გარემოს მახასიათებლები*:*

- ისეთი სასწავლო მასალებისა და ინსტრუმენტების მრავალფეროვნება, რომლებიც ხელს უწყობს ბავშვის ჰარმონიულ განვითარებას, პასუხობს მათ ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. რესურსების მრავალფეროვნება ხელს უწყობს ბავშვების როგორც კონკრეტული, ისე აბსტრაქტული სასწავლო გამოცდილების შეძენას;

- განახლებადი რესურსები: ბავშვებში ინტერესის შესანარჩუნებლად და მათთვის ხელის შესაწყობად, შეამჩნიონ და აღმოაჩინონ სიახლეები/ცვლილებები, განიცადონ წარმატება და კმაყოფილება, აღჭურვილობა და სასწავლო მასალები უნდა ახლდებოდეს და იცვლებოდეს პერიოდულად;

- თავისუფალი, შეუზღუდავი, შემოქმედებითი პოტენციალის ხელშეწყობა: ბავშვს უნდა შეეძლოს თვითონ დასახოს მიზანი და გამოიყენოს გარემო და არსებული მასალები არასტანდარტული, ახალი გზით.

- უპირობო პოზიტიური დამოკიდებულება: ბავშვი თავს თავისუფლად და მნიშვნელოვნად უნდა გრძნობდეს ყოველგვარი პირობების წაყენების გარეშე. მხარდაჭერას და წახალისებას უნდა გრძნობდეს მაშინაც, როდესაც რაღაც კარგად გამოუვა და მაშინაც, როდესაც რაღაც არ გამოსდის;

- თვითრეფლექსიის მხარდაჭერა: ბავშვებმა უნდა შეძლონ საკუთარი გრძნობებისა და მდგომარეობების, სხეულის სხვადასხვა პოზიციის გაანალიზება. ამისათვის შეიძლება სარკეების გამოყენება, რომლებიც მთელ კედელზე განთავსდება;

- მრავალფეროვნებისადმი ტოლერანტობა და მხარდაჭერა: ბავშვებს უნდა ჰქონდეთ საშუალება ეზიარონ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის კულტურასა და ღირებულებებს, ფასეულობებს, ტრადიციებს.

ზოგადი რეკომენდაციები ფიზიკური გარემოს მოსაწყობად

ფიზიკური გარემოს მოსაწყობად ასევე აუცილებელია ბალანსის დაცვა ქვემოთ მოცემული 5 კრიტერიუმის მიხედვით, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სკოლამდელ პერიოდში:

1 რბილი გარემო/მყარი გარემო

საბავშვო ცენტრებში არსებულ გარემოში სირბილე განსხვავებული ტაქტილური სენსორული სტიმულების სახესხვაობასთან ასოცირდება. შეხების სტიმულები დაკავშირებულია ყველა იმ საგანთან, რომელსაც ყოველდღიურად ვეხებით, იქნება ეს ქვიშა, წყალი, ბალახი, საქანელა, ხალიჩა, ბალიში, რბილი ავეჯი, ხელის საღებავები, პლასტილინი/თიხა.

მსგავსი საგნები ბავშვებს გარემოსგან სიამოვნების მიღებაში ეხმარება. მათ შეუძლიათ თავიანთი სურვილისამებრ მართონ სხეული. მაგალითად, ითამაშონ ქვიშაში, თიხისაგან გამოძერწონ სხვადასხვა ფიგურები. ასეთი აქტივობები დაკავშირებულია ბავშვების სურვილთან, მათ შეუძლიათ აკეთონ ის, რაც უნდათ და აკეთონ ისე, როგორც უნდათ.

მკვრივი და მაგარი ზედაპირები (მეტლახის იატაკი, ხის ავეჯი, ასფალტის სათამაშო მოედანი) განსხვავებულ შეგრძნებებთანაა დაკავშირებული. ამ დროს ნაკლებია კომფორტის განცდა და თამაშის სურვილი. მყარი სავარძელი იმაზე მიგანიშნებს, რა უნდა გააკეთო. ეს არის ერთგვარი შეტყობინება - „უმჯობესია, მოერგო გარემოს მოთხოვნებს“. ბავშვები კი მსგავსი გზავნილებისთვის მზად არ არიან. განსაკუთრებით დამღლელი დღის შემდეგ, ეს მათ დამატებით დაძაბულობას უქმნის.

შესაბამისად, ბავშვებს ისეთი გარემო უნდა შეუქმნათ, რომელიც ნაკლებად იქნება აღჭურვილი მყარი ნივთებით და არ შეუზღუდავს მათ თავისუფალ მოძრაობებს. რბილ ნივთებთან შეხება დადებით განწყობილებას იწვევს და სასწავლო პროცესს უფრო ნაყოფიერს ხდის.

2 ღია/დახურული

ღია (მოქნილი) სათამაშო აღჭურვილობა სხვადასხვაგვარად შეგვიძლია გამოვიყენოთ. ამ შემთხვევაში ერთი კონკრეტული მიმართულებით არ შემოვიფარგლებით. მაშინ, როცა დახურული სათამაშოების შემთხვევაში, ჩვენ გვაქვს შეზღუდვა, თუ რა გზით უნდა ვითამაშოთ. მაგალითად ავიღოთ ფაზლები, ან სხვა ნებისმიერი კოგნიტური სათამაშოები, ამ შემთხვევაში, ერთი კონკრეტული ნაწილი ზუსტად უნდა მოერგოს მეორეს ისე, რომ მთლიანობა შექმნას. ასეთი სათამაშო მოწყობილობები სასარგებლოა და უზრუნველყოფს თავდაჯერებულობას იმ შემთხვევაში, თუ შეესაბამება ბავშვის ასაკობრივ განვითარებას.

თუმცა, მეორე მხრივ, ბავშვს ინტერესი მარტივად გაუქრება, როგორც კი თამაშის ოპერაციას დაისწავლის. ამ სათამაშოების სწორად მიწოდება უზრუნველყოფს ბავშვის შემოქმედებით განვითარებას.

ამიტომაც, ბავშვთა ცენტრებში რესურსები ისე უნდა გადანაწილდეს, რომ ბავშვებს ყველანაირი გამოცდილების მიღების საშუალება ჰქონდეთ. მხოლოდ ფაზლებისა და კოგნიტური სათამაშოების სიმრავლე ბავშვის სათანადო განვითარებას ვერ უზრუნველყოფს, ამისათვის საჭიროა სათამაშოების ფართო სპექტრის შეთავაზება.

3 მარტივი/რთული, კომპლექსური თამაშები

სათამაშო მოწყობილობები ერთმანეთისგან განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რა მოცულობით ყურადღების კონცენტრირებას მოითხოვს დავალების შესასრულებლად. ეს აქტივობის შემადგენელი მასალებით განისაზღვრება. მაგალითისთვის, პლასტილინით ძერწვა თავისი არსით მარტივი სამუშაოა, თუმცა, თუ მას კბილის ჩხირს, ან საჭრელს დავუმატებთ, უკვე კომპლექსურ სათამაშოს მივიღებთ.

ასეთი კომპლექსური დავალებების შესრულებისას ბავშვი მეტად დაინტერესებულია, მას შეუძლია დავალებაზე ყურადღების ხანგრძლივად კონცენტრირება და დავალების შესრულების პროცესშიც მეტადაა ჩართული. ამიტომაც, დავალების ეტაპობრივად გასართულებლად, უმჯობესია, დროდადრო გაზარდოთ სათამაშოში შემავალი ნივთების რაოდენობა.

4 ჩართვა/იზოლაცია

ბავშვზე ზრუნვის ეს კომპონენტი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია. ურთიერთობა, აქტივობებში მაქსიმალური ჩართულობა ბავშვის განვითარების, განსაკუთრებით, სოციალური სფეროს განვითარების, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა. თუმცა არის შემთხვევები, როდესაც სოციალური სტიმულაცია ზედმეტია ბავშვისათვის და პირიქით, ჭარბი სტიმულაციისაგან დროებით განმუხტვა ესაჭიროება.

ამიტომ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი გარემო, სადაც ბავშვებს განმარტოება შეეძლებათ, ან მარტო დარჩენა საუკეთესო მეგობართან ერთად, ვისთან ერთადაც თავს უფრო დაცულად გრძნობენ. მათთვის მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ ზოგჯერ არსებობს ისეთი დრო, როცა შეუძლიათ სხვებს არ გაუზიარონ თავიანთი ემოციები.

5 აქტიური/პასიური მოძრაობა

აქტიური მოძრაობები, როგორიცაა სირბილი, ცოცვა და ველოსიპედის ტარება, უზრუნველყოფს ბავშვის სხეულით ფლობას. მეორე მხრივ, ფაზლების აწყობა ან სხვა კოგნიტური აქტივობები, მაგალითად, ჯდომა, მათგან ითხოვს პასიურ მოძრაობას.

ცენტრებში ბავშვებს ხშირად ხანგრძლივი დროით უწევთ მაგიდასთან ჯდომა. თუნდაც ორი საათით ერთ ადგილას გაჩერება ბავშვებისთვის რთულია. მთელი ეს დრო მასწავლებელი მოძრაობაშია, ამიტომ ის ვერ ხვდება, რამდენად პასიურ მდგომარეობაში არიან თავად ბავშვები. დღის აქტივობები სასურველია ისე გადანაწილდეს, რომ მოხერხდეს ბალანსის დაცვა პასიურ და აქტიურ ფაზებს შორის.

3.3. სოციალური გარემო და კეთილდღეობა

სოციალური გარემო, ფიზიკურ და დროით გარემოსთან ერთად, საგანმანათლებლო გარემოს ერთ-ერთი კომპონენტია და მნიშვნელოვან როლს თამაშობს კეთილდღეობის შეგრძნების ფორმირებაში. თუმცა ვიდრე სოციალური გარემოს მნიშვნელობაზე საუბარს შევუდგებოდეთ, განვსაზღვროთ, საერთოდ რას ნიშნავს სოციალური გარემო ადრეული და სკოლამდელი დაწესებულების ფარგლებში?

ეს არის ინტერაქცია, რომელიც ხორციელდება ბაღის სივრცეში ბავშვებს, ბაღის თანამშრომლებსა და ბავშვების ოჯახის წევრებს შორის. მზრუნველი, უსაფრთხო გარემოს ორგანიზება აღმზრდელ-პედაგოგისა და აღმზრდელის უმთავრესი ამოცანაა, მხოლოდ ასეთ გარემოშია შესაძლებელი ადრეული ასაკის ბავშთა ფსიქიკური კეთილდღეობის უზრუნველყოფა და მათი სრულფასოვანი და ჰარმონიული განვითარება. სწორედ ასეთი გარემოს არსებობის პირობაა პოზიტიური სოციალური გარემო, რომელიც ხელს უწყობს თანასწორი, დადებითი ურთიერთობების ჩამოყალიბებას პროგრამაში ჩართულ ბავშვებსა და უფროსებს შორის.

ასეთი გარემო უფროსებს საშუალებას აძლევს, დაეხმარონ ბავშვებს სოციალური კომპეტენციების გაზრდაში. პოზიტიური სოციალური გარემოს ფორმირებაში ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი აკისრიათ ბავშვებთან მომუშავე პრაქტიკოსებს. სწორედ მათი მოვალეობაა ასეთი გარემოს შექმნა ადრეული და სკოლამდელი დაწესებულების სივრცეში.

გარემოს უზრუნველყოფა

პოზიტიური სოციალური გარემოს ფორმირებას ბევრი ფაქტორი უწყობს ხელს - ბავშვების მიკუთვნებულობის განცდა, მათი და ჯგუფში მომუშავე უფროსების სოციალურ-ემოციური კომპეტენციები, უფროსებსა და ბავშვებს შორის არსებული ურთიერთობების ფორმები. ქვემოთ სწორედ ამ ფაქტორებს განვიხილავთ.

„...ირაკლი ბაღში პირველად მიმყავს... ისე ვნერვიულობ, სულ იმაზე ვფიქრობ, როგორი იქნება მისი პირველი დღე, როგორ შეხვდება მასწავლებელი, გაუღიმებს თუ არა, ეს ღიმილი რამდენად გულწრფელი იქნება, დაეკონტაქტება თუ არა ირაკლის, როგორი კომუნიკაცია შედგება მათ შორის, რამდენად იქცევა ირაკლისთვის ბაღი ისეთ ადგილად, სადაც დიდი სიხარულით გაატარებს დროს და ბედნიერი იქნება... ძალიან მეფიქრება ამ ყველაფერზე...“

როგორც უკვე ითქვა, პოზიტიური სოციალური გარემოს უზრუნველყოფის პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ბავშვებში მიკუთვნებულობის განცდის ფორმირება. რას ნიშნავს მიკუთვნებულობის განცდა? ეს არის ბავშვის მიერ საკუთარი თავის, საკუთარი ინდივიდის აღიარება ოჯახის, ჯგუფის, სოციუმის წევრად. მიკუთვნებულობის განცდა ბავშვისთვის ბედნიერების შეგრძნების, ფსიქიკური ჯანმრთელობის ერთ-ერთი წინაპირობაა, ეს განცდა ხელს უწყობს მოტივაციის ამაღლებას, სასწავლო უნარების განვითარებას.[1]

1. https://www.kidsmatter.edu.au/sites/default/files/public/Belonging-and-connectedness.pdf

...ჩვენ ახალი ნარინჯისფერი ფარდები გვაქვს და როცა მზე ძალიან ანათებს, გია მასწავლებელი ფარდას გადასწევს ხოლმე და ჩვენი ჯგუფი თითქოს ნარინჯისფერი ხდება. კიდევ, კედელზე ჩვენი ფოტოებია, ზოგი დედიკოსთან და მამიკოსთან ერთად, ზოგი - მარტო დედიკოსთან, ან ბებოსთან, ან მამასთან. მე ბებიკოსთან და მამიკოსთან და მარისთან ერთად ვარ, მარიც ჩემ ბაღში დადის და მანანა მასწავლებელი ჰქვია იმის მასწავლებელს. კიდე, ჯგუფში თევზი გვყავს და ვიცით, როგორ მოვუაროთ და ჩვენ თვითონ ვუყრით საჭმელს. კიდე, ბაღში ჩემი ყუთი მაქვს, იქ რასაც მინდა იმას ვინახავ, ხან ეზოში რომ ვიპოვი კენჭებს, ან ლოკოკინას, იმას ჩავსვამ ხოლმე... ჯგუფში რასაც გინდა, იმას ითამაშებ, თუ მინდა, ნიკასთან და ანისთან ერთად მანქანას ვატარებთ და კუბურებით ვაშენებთ, თუ მინდა, დავხატავ, თუ მინდა, თოჯინებს თმებს დავვარცხნი, თუ გინდა, სავარძელი გვაქვს და იქ ბევრი ბალიშია და რბილად ვხტებით ხოლმე... ჩვენს ჯგუფში დიდი ვეშაპის ნახატია, მე დავხატე და ჩემი მეგობარი ნინიც დამეხმარა, რომ ბრჭყვიალებით გამეფორმებინა, კედლებზე კიდევ ჩვენი სურათებია, გია მასწავლებელმა გვითხრა, მოიტანეთო და დავკიდოთო, მე ჩემი სურათი მოვიტანე მანანასთან და დათოსთან ერთად, ჩემი დედიკო და მამიკო არიან.

ზემოთ მოცემულ სიტყვებში ბავშვი სწორედ მიკუთვნებულობის განცდას გამოხატავს საკუთარი ჯგუფის მიმართ. მისი სიტყვებიდან ჩანს, ერთი მხრივ, მისი პოზიტიური დამოკიდებულება იმ გარემოს მიმართ, რომელშიც ის არის და მეორე მხრივ, ის, თუ როგორ ზრუნავენ ჯგუფში მომუშავე უფროსები ბავშვებისთვის მიკუთვნებულობის განცდის შესაქმნელად - მათ ჯგუფში ბავშვების ოჯახური ფოტოები მოათავსეს, სიმყუდროვის ელემენტები შეიტანეს ფარდების, რბილი ავეჯის სახით, ბავშვებს აქვთ ინდივიდუალური სათავსოები ნივთების შესანახად, მათ აქვთ საშუალება გააკეთონ არჩევანი და ჩაერთონ სხვადასხვა ტიპის საქმიანობაში, საკუთარი ინტერესების შესაბამისად.

კიდევ რა სტრატეგიები არსებობს ბავშვის მიკუთვნებულობის შეგრძნების უზრუნველსაყოფად? პირველ რიგში, როგორც ჯგუფში, ისე ბაღში, მნიშვნელოვანია ისეთი ატმოსფეროს შექმნა, რომ თითოეულმა ბავშვმა და მისმა ოჯახმა აღიარებულად და დაფასებულად იგრძნოს თავი. შეეცადეთ ახლოს გაიცნოთ ბავშვები და მათი ოჯახები, დაინახოთ მათი ინდივიდუალურობა, აღმოაჩინოთ რითი არიან განსაკუთრებულები.

შეგიძლიათ ბავშვებსა და მათი ოჯახის წევრებს სთხოვოთ მოიტანონ ჯგუფში ნივთები, რომლებიც მათი კულტურის ელემენტებს შეიცავს, ეს შეიძლება იყოს მუსიკალური ინსტრუმენტი, ეროვნულ სამოსში გამოწყობილი თოჯინა, საბავშვო წიგნი შესაბამისი ილუსტრაციებით და ა.შ. [2] ოჯახის წევრებმა, შესაძლოა, ბავშვებს გაუზიარონ ეროვნული ამბები, სიმღერები, ლექსები და სხვა, ან ბავშვებთან ერთად მონაწილეობა მიიღონ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ტიპის საქმიანობაში, მაგალითად, ბავშვებთან ერთად ხატონ, გამოაცხონ ღვეზელი, მოაწყონ სპორტული აქტივობები ბაღის ეზოში და ა.შ.

ასეთი საქმიანობები, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს მშობელთა ჩართულობას და რაც მთავარია, ბავშვებს დაანახვებს, რომ ბაღი ის ადგილია, სადაც მათი საყვარელი ადამიანები ასე კარგად გრძნობენ თავს, რომ ეს უსაფრთხო ადგილია, „მათი“ ადგილია.
კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობს პოზიტიური სოციალური გარემოს ფორმირებას, ბავშვებში სოციალურ-ემოციური კომპეტენციების განვითარებაა. თუმცა თავდაპირველად განვმარტოთ, რას ნიშნავს სოციალურ-ემოციური კომპეტენციები. ეს არის ინდივიდის უნარი:

2.https://www.kidsmatter.edu.au/sites/default/files/public/Belonging-and-connectedness.pdf

გამოამჟღავნოს ცოდნა და რწმენა საკუთარი თავისა და შესაძლებლობების მიმართ;

გამოხატოს საკუთარი დამოკიდებულებები საკუთარი თავისა და ახლო გარემოცვის მიმართ;

გაიგოს და გამოხატოს ემოციები;

გამოავლინოს პროსოციალური ქცევა. [3]

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბავშვებს, რომლებსაც აქვთ სოციალურ-ემოციური კომპეტენციები, შეუძლიათ თანამშრომლობითი ურთიერთობის დამყარება თანატოლებთან, მათთან პოზიტიური კომუნიკაცია, შეუძლიათ გარშემომყოფების მოსმენა, საჭიროების შემთხვევაში დახმარების აღმოჩენა, გაზიარება, აქვთ უნარი მართონ საკუთარი ქცევა და ემოციები. როგორ მოვახერხოთ ბავშვების სოციალურ-ემოციური კომპეტენციების განვითარება? ამაში შემდეგი სტრატეგიები დაგეხმარებათ:

- ემოციების სახელდება;
- კუს ტექნიკის გამოყენება;
- კონფლიქტების მოგვარება;

ემოციების სახელდება - ეს არის ემოციური კომპეტენციებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი უნარი, და გულისხმობს ბავშვის მიერ სხვისი და საკუთარი ემოციების ამოცნობას - ადრეული ასაკის ბავშვს ჩვენი დახმარება დასჭირდება ამ მიმართულებით:

დაეხმარეთ ბავშვს გაერკვეს საკუთარ ემოციებში, წაახალისეთ აღწეროს, დაარქვით ამ ემოციას კონკრეტული სახელი (ბრაზი, წყენა, სიხარული, აღტაცება და ა.შ.);

- ასწავლეთ ბავშვებს ამა თუ იმ ემოციის გამომხატველი სიტყვები;
- ემოციების სახელდების სწავლებისას შეგიძლიათ გამოიყენოთ ნახატებიანი ბარათები სხვადასხვა ემოციის ამოსახულებით, წიგნები შესაბამისი ილუსტრაციებით. ასეთი ვიზუალური მასალა ბავშვს ემოციის უკეთესად აღქმასა და მისი სახელის დამახსოვრებაში დაეხმარება;
- აღწერეთ საკუთარი გრძნობები და სახელი დაარქვით საკუთარ ემოციებს;

კუს ტექნიკა - ეს არის ტექნიკა, რომელიც ბავშვს თვითრეგულირებასა და ემოციების მართვაში ეხმარება. კუს ტექნიკა რამდენიმე ნაბიჯისგან შედგება და მათი გამოყენება ბავშვს დამშვიდებაში ეხმარება.

ნაბიჯი 1 – ემოციის სახელდება: „მე ახლა გაბრაზებული ვარ“;

ნაბიჯი 2 – საკუთარი თავის შეჩერება: ვამბობ - „შეჩერდი“;

ნაბიჯი 3 – დამშვიდება - შედიხარ ბაკანში და თავს იმშვიდებ: ღრმად სუნთქავ, ნელა ითვლი, თავს დამშვიდებასა და გამოსავლის მოფიქრებაში ეხმარები.

ნაბიჯი 4 – ბაკნიდან გამოსვლა - ბაკნიდან გამოსვლა და გამოსავლის მოფიქრება.

კონფლიქტების მოგვარება - სოციალურ-ემოციური კომპეტენციების განვითარების მიმართულებით ერთ-ერთი მნიშნელოვანი საკითხი სწორედ კონფლიქტების მოგვარებაა. ამ მიმართულებითაც მათი მხარდაჭერა დაგვჭირდება:

- პრობლემის იდენტიფიცირება - დაეხმარეთ ბავშვებს ჩამოაყალიბონ პრობლემა, მოუსმინეთ ყველა მხარეს, მოსმენისას კი, შეინარჩუნეთ ნეიტრალურობა;

- გადაჭრის გზების ძიება - მას შემდეგ, რაც ბავშვები ჩამოაყალიბებენ პრობლემის არსს, შესთავაზეთ მოიფიქრონ გამოსავალი. წაახალისეთ, სხვადასხვა გზები მოიძიონ და საბოლოოდ ერთად შეთანხმდნენ ყველასთვის მისაღებ გამოსავალზე.

ბავშვთა სოციალურ-ემოციური კომპეტენციების გარდა არანაკლებ მნიშვნელოვანია ბაღში მომუშავე პრაქტიკოსების სოციალურ-ემოციური კომპეტენციები. სწორედ ასეთი უფროსები შეძლებენ ბავშვებისთვის სოციალური უნარების განვითარებას, პრობლემის გადაჭრის, ემოციების სახელდების სწავლებას. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, პრაქტიკოსების მხრიდან თვითგანვითარებაზე ზრუნვა მათი პროფესიული საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია.

- მუდმივად გაეცანით თანამედროვე ლიტერატურას, სტატიებს, კვლევებს, ბაღში მომუშავე პრაქტიკოსის თვითგანვითარების საკითხებთან დაკავშირებით;

- აქტიურად ჩაერთეთ სხვადასხვა ტიპის ვორქშოპებსა და ტრენინგებში, რომლებიც დაგეხმარებათ, ერთი მხრივ, საკუთარი სოციალურ-ემოციური კომპეტენციების გამდიდრებაში და მეორე მხრივ, ბავშვების უნარების განვითარების ხელშეწყობაში;

- იყავით თვითრეფლექსური და მუდმივად კრიტიკულად შეაფასეთ თქვენი საქმიანობა, იფიქრეთ, რა გამოგივიდათ და რა - ნაკლებად. იფიქრეთ მიზეზებსა და სამომავლო გზებზე.

პოზიტიური სოციალური გარემოს, და შესაბამისად, კეთილდღეობის შეგრძნების ფორმირებაში ერთ-ერთი მნიშნელოვანი ადგილი უჭირავს უფროსისა და ბავშვის ურთიერთობას. ბავშვებთან მეგობრული, უშუალო ურთიერთობის ჩამოყალიბება, ამ მიმართულებით, პირველი წინგადადგმული ნაბიჯია. მეგობრული ურთიერთობის ჩამოსა-ყალიბებლად მნიშნელოვანია შემდეგი საკითხების გათვალისწინება:

- ურთიერთობის დამყარება თითოეულ ბავშვთან, ბავშვზე დაკვირვება და ამოცნობა, რითია იგი განსხვავებული და განსაკუთრებული;
- ბავშვის გაგება, მისთვის შესაბამისი უკუკავშირის მიცემა, მისი მხარდაჭერა;
- ბავშვის „დანახვა“, მისი როგორც პიროვნების პატივისცემა და შესაბამისი დამოკიდებულების გამომჟღავნება; ინტერესის გამოხატვა ბავშვის მიმართ, მისი პიროვნების, საქმიანობის, აზრების, ფიქრების მიმართ;
- ინდივიდუალური კონტაქტის დამყარება ბავშვებთან, ინდივიდუალური მისალმება და დამშვიდობება; მშობლებთან პოზიტიური ურთიერთობის ჩამოყალიბება, მისალმება, უკუკავშირის მიცემა;

ფსიქიკური კეთილდღეობისთვის ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ხელშეწყობა. ბავშვებს შესაძლოა თქვენი დახმარება დასჭირდეთ დამეგობრებასა და თამაშის ერთად გაგრძელებაში. ქვემოთ მოცემული სტრატეგიების გამოყენებით ბავშვებს სწორედ დამეგობრებაში დაეხმარებით:

- თავდაპირველად ბავშვებს შეუქმენით გარემო, რომელიც მათ მისცემს ურთიერთობის საშუალებას: ერთად სათამაშოდ, ერთად სახატავად, წიგნის დასათვალიერებლად, ანუ, რაიმეს ერთად გასაკეთებლად;
- დააწყვილეთ ბავშვები, შეეცადეთ, რომ ერთად საკეთებელი საქმეები პოზიტიურ ემოციებს იწვევდეს მათში და არა შეჯიბრს და ქიშპობას;
- კონფლიქტის წამოჭრის შემთხვევაში, დაეხმარეთ, მოიფიქრონ გადაჭრის სხვადასხვა გზა და ერთობლივად შეჯერდნენ ყველასთვის მისაღებ მოსაზრებაზე.

3.4 პოზიტიური დისციპლინის როლი კეთილდღეობაში

ბაღში მომუშავე პრაქტიკოსებისგან ხშირად გვესმის სიტყვათშეთანხმება „პოზიტიური დისციპლინა“. რას ნიშნავს პოზიტიური დისციპლინა? რატომ არის იგი მნიშვნელოვანი წარმატებული საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად? როგორ უნდა დავნერგოთ პოზიტიური დისციპლინა ბაღის გარემოში? ვიდრე ამ შეკითხვებს ვუპასუხებდეთ, მანამდე განვმარტოთ, რას ნიშნავს დისციპლინა.

სამოქალაქო განათლების ლექსიკონში ვკითხულობთ: „დისციპლინა არის მტკიცედ დადგენილი მოქცევის წესი, რომლის დაცვაც სავალდებულოა ამა თუ იმ საზოგადოების (კლასი, კოლექტივი, სკოლა, თემი, ჯგუფი და სხვ.) ყველა წევრისათვის“.[4] აქედან გამომდინარე, პოზიტიური დისციპლინა ისეთი დისციპლინაა, რომელიც გულისხმობს სასურველ ქცევად პოზიტიური ქცევის შეთავაზებას. პოზიტიური დისციპლინა ურთიერთპატივისცემაზე აგებული ურთიერთობაა, რომლის საფუძველსაც ბავშვის უფლებების, მისი როგორც პიროვნების აღიარება, მის განვითარებაზე ზრუნვა წარმოადგენს, პოზიტიური დისციპლინის უზრუნველსაყოფად.

პოზიტიური დისციპლინის დანერგვის მიმართულებით დაგეხმარებათ ქვევით მოცემული პირამიდა, რომელიც „სოციალურ-ემოციური კომპეტენციების განვითარების პირამიდის“ სახელით არის ცნობილი. პირამიდის საფუძველია უნივერსალური მიდგომა, როცა აღმზრდელი ისეთ გარემოს ქმნის, სადაც გათვალისწინებული და ასახულია ყველა ბავშვის საჭიროება და წახალისებულია შესაბამისად. პირამიდის შუა ნაწილს წარმოადგენს მეორადი პრევენცია, როცა აღმზრდელ-პედაგოგი ცდილობს სოციალურ-ემოციური უნარების განვითარების ხელშეწყობას, ხოლო პირამიდის მწვერვალია ინტენსიური ინტერვენცია, ანუ ჩარევა.

4.http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=11515

ჯგუფის გარემოში პოზიტიური დისციპლინის დანერგვის მიზნით, სასურველია განვახორციელოთ შემდეგი სტრატეგიები[5]:

- თავდაპირველად დარწმუნდით, რომ ის ფიზიკური გარემო, რომელშიც ბავშვები არიან, მათთვის უსაფრთხოა - შექმენით ისეთი ფიზიკური გარემო, რომელშიც ბავშვებს მაქსიმალურ თავისუფლებას მიანიჭებთ, სადაც გაგიადვილდებათ თვალყურის დევნება, სადაც თავად გარემო არ „უბიძგებს“ ბავშვს წესების დარღვევისკენ. შექმენით სივრცეები, სადაც ბავშვებს საშუალება ექნებათ ითამაშონ მცირე ჯგუფებში, სადაც საჭიროების შემთხვევაში განმარტოვდებიან და ა.შ.

- შეეცადეთ, დაინახოთ ბავშვების ძლიერი მხარეები და მათთან ურთიერთობისას სწორედ ამ ძლიერ მხარეებზე გააკეთეთ აქცენტი, „გამოიყენეთ“ მათი უნარები, ან შექმენით ისეთი გარემო, სადაც ბავშვებს საშუალება ექნებათ გამოამჟღავნონ საკუთარი უნარები;

- იყავით მისაბაძი მაგალითი ბავშვებისთვის, ბავშვები ხშირად იმეორებენ ჩვენს ქცევებს, ამიტომ თავად მიეცით პოზიტიური ქცევის მაგალითი;

- აუცილებლად ჩართეთ ბავშვები წესების შემუშავებაში და დარწმუნდით, რომ ეს წესები მათთვის გასაგები და ნათელია. ნუ შემოიღებთ ძალიან ბევრ წესს;

- მუდმივად მიეცით ბავშვებს არჩევანის საშუალება, შექმენით გარემო, სადაც ისინი დაკავდებიან მათთვის საყვარელი საქმიანობით, სადაც იგრძნობენ, რომ მნიშვნელოვნები, კომპეტენტურები არიან;[6]

5. http://www.durham.ca/departments/health/family_health/parenting/positiveDiscipline/sections/3-5yrs.pdf
6. https://www.extension.umn.edu/family/school-success/professionals/tools/positive-discipline/docs/positive-discipline-guide-english.pdf

პოზიტიური დისციპლინის ფორმირების საკითხში ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ბავშვის მიმართ მიდგომა ბაღსა და სახლში ერთნაირი იყოს. მნიშვნელოვანია, რომ მშობლებიც მიჰყვებოდნენ იმ ხაზს, რომელსაც თქვენ ატარებთ თითოეული ბავშვის მიმართ. ამ მხრივ მშობლებს აუცილებლად დასჭირდებათ თქვენი დახმარება.

მართალია, ვრცლად ოჯახთან ურთიერთობის შესახებ, ამ წიგნის მე-7 თავში ვისაუბრებთ, მაგრამ აქ მოკლედ მაინც ჩამოვაყალიბებთ იმ სტრატეგიებს, რომელთა მშობლებისთვის შეთავაზებითაც, ერთი მხრივ, მათ დაეხმარებით პოზიტიური დისციპლინის ფორმირებაში სახლის პირობებში და მეორე მხრივ, ბავშვისთვის ჯგუფში მიმდინარე პროცესები განმტკიცდება. რა შეიძლება ვურჩიოთ მშობლებს სახლში პოზიტიური დისციპლინის დანერგვის თვალსაზრისით?

- ბავშვი „ცუდად“ იმიტომ არ იქცევა, რომ უბრალოდ ასე სურს, ამას თავისი გამომწვევი მიზეზები აქვს, ამიტომაც, როდესაც ბავშვის ქცევა მშობლებისთვის მიუღებელია, კონცენტრირდნენ არა იმდენად „ცუდ ქცევაზე“, რამდენადაც მის გამომწვევ მიზეზებზე, დაფიქრდნენ, რატომ იქცევა ბავშვი ამგვარად, ხომ არ აქვს ამ ქცევას კონკრეტული საფუძველი;

- ბავშვებისთვის ადვილი არ არის უფროსების „გაგება“, ჩვენ ხშირად ვესაუბრებით მათ რთულ ენაზე, ან მათთვის გაუგებარ მინიშნებებს ვაძლევთ, არ ვითვალისწინებთ მათ ასაკს. აუხსენით მშობლებს, რომ ბავშვს აუცილებლად უნდა განუმარტონ მისაღები ქცევა და ეს უნდა იყოს პოზიტიურად ფორმულირებული წინადადებები, მაგალითად, იმის ნაცვლად, რომ უთხრან - „არ დახატო საღებავებით ხალიჩაზე“, უმჯობესია უთხრან - „საღებავებით ვხატავთ მაგიდასთან, პრიალა იატაკზე“ და ა.შ.

- ბავშვებისთვის ძალიან მნიშნელოვანია გარკვეული რუტინის არსებობა, ამიტომ ურჩიეთ მშობლებს სახლში ყოფნისას ეს რუტინა შეინარჩუნონ. მაგალითად, ბაღის შემდეგ ვახშამი სახლში და შემდეგ გასეირნება ახლო მდებარე ეზოში, ან ძილის წინ კითხვა და ა.შ.

პოზიტიური დისციპლინისა და ზოგადად, პოზიტიური გარემოს უზრუნველსაყოფად ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვებს ჰქონდეთ საკუთარი მნიშვნელოვნებისა და კომპეტენტურობის განცდა. ამისათვის ურჩიეთ მშობელს: ჰკითხონ ბავშვს აზრი მასთან დაკავშირებულ თემებზე - როგორ ფიქრობ, ეს სათამაშო დაგჭირდება სეირნობისას? გააკეთებინონ არჩევანი - რომელ მაისურს ჩაიცვამ დღეს, ლურჯს თუ წითელს ზოლებით? და ა.შ.[7]

3.5 ბავშვების ურთიერთობა - ბულინგი და მისი პრევენცია

ბულინგი (ინგ. Bullying) სიტყვა სიტყვით დაშინებას ნიშნავს და გულისხმობს წინასწარგამიზნულ, განმეორებად აგრესიულ ქცევას, რომელსაც ერთი ინდივიდი (ან ჯგუფი) მეორეს მიმართ ახორციელებს მისი დატერორების, დაჩაგვრის, მასზე ფიზიკური, ან ფსიქოლოგიური ზიანის მიყენების მიზნით[8].

ბულინგი შესაძლოა იყოს:

ფიზიკური ბულინგი - ხელის კვრა, წიხლის კვრა;

ვერბალური ბულინგი - მეტსახელის მოფიქრება, ყვირილი;

ურთიერთობრივი ბულინგი - დაცინვა, ფსიქოლოგიური ზეწოლა, გარიყვა.

7.http://store.msuextension.org/publications/homehealthandfamily/mt200413hr.pdf
9. http://preventingbullying.promoteprevent.org/what-bullying

ბულინგს, როგორც წესი, სამი მოქმედი პირი ჰყავს, თავად „ბულერი“ ანუ მჩაგვრელი, მისი მსხვერპლი და ამ პროცესის მაყურებლები. ძალიან ხშირად ისეც ხდება, რომ გარკვეულ გარემოებებში როლები იცვლება და მსხვერპლი თავად ხდება მოძალადე.[9]

ბავშვებთან მომუშავე უფროსებს დიდი ყურადღება გმართებთ, რომ არ გამოგრჩეთ ბულინგის ფაქტები და მყისიერი რეაგირება გქონდეთ მათზე. პირველ რიგში, მნიშვნელოვანია მსხვერპლს თავდაცვა ვასწავლოთ. ბავშვს ზოგჯერ შეიძლება ჩვენი ვერბალური დახმარებაც დასჭირდეს, მორიდებული მსხვერპლისთვის შეიძლება რთული იყოს საჭირო სიტყვების გამოძებნა, ამიტომ დაეხმარეთ მას წინადადებების ფორმულირებაში - „უთხარი თინიკოს, რომ არ მოგწონს ასე რომ მოგმართავს, გაიმეორე, მე არ მომწონს, ასე რომ მომმართავ“ და ა.შ.

ბულინგის პრევენციისთვის (თავიდან ასარიდებლად) მნიშვნელოვანია, რომ შევქმნათ ისეთი სოციალური გარემო, სადაც ბავშვებს არ ექნებათ ერთმანეთის მიმართ ქიშპობის, დაცინვის სურვილი. წაახალისეთ პოზიტიური ურთიერთობები, ხელი შეუწყვეთ მზრუნველი გარემოს ფორმირებას, სადაც თავს თანაბრად კარგად იგრძნობს ყველა შესაძლებლობის ინდივიდი.

ბულინგის პრევენციის მიმართულებით მნიშვნელოვანია:

უფროსების მხრიდან სასურველი ქცევის მოდელირება;

ბავშვებისთვის სოციალურ-ემოციური კომპეტენციების განვითარება;

პოზიტიური ქცევის წახალისება და მხარდაჭერა;

9.http://preventingbullying.promoteprevent.org/what-bullying

- თუმცა მიუხედავად ჩვენი ძალისხმევისა, შესაძლოა ბულინგი მაინც მოხდეს ჯგუფში. მნიშვნელოვანია, რომ ბულინგის შემთხვევის გამოვლენისას, დაუყოვნებლივ ჩავერიოთ. აუცილებლად ყველა მხარეს (მჩაგვრელი და დაჩაგრული) უნდა მივცეთ საშუალება, გამოთქვას საკუთარი მოსაზრება, ემოციები, დამოკიდებულებები. თქვენი მხარდაჭერა უპირველესად დაჩაგრულ ბავშვს სჭირდება: მშვიდი ტონით სთხოვეთ აგიხსნათ, რა მოხდა, გამოხატეთ თქვენი მხარდაჭერა, თანადგომა მომხდართან დაკავშირებით;

- ასწავლეთ თავის დაცვა, დაეხმარეთ ვერბალიზებაში: უთხარი ნინის, მე არ მომწონს როცა ასე მექცევი“; დაეხმარეთ დამშვიდებაში, წაახალისეთ, მოგმართოთ დახმარებისთვის, თუ ასეთი შემთხვევა განმეორდება; აუცილებლად უნდა მივმართოთ მოძალადეს:

- მისი პერსპექტივა რომ დაინახოთ, მასაც ასევე მშვიდი ტონით სთხოვეთ, აგიხსნათ, რა მოხდა;

- წაახალისეთ, ისაუბროს ჯერ საკუთარ ემოციებზე, ხოლო შემდეგ განუმარტეთ დაჩაგრული ბავშვის ემოციები; ასწავლეთ საკუთარი ემოციების მართვა და პრობლემის გადაჭრა არაძალადობრივი გზით.

- ბულინგის მონაწილე კიდევ ერთი მხარე ის ბავშვები არიან, რომლებიც ბულინგს შეესწრნენ. მათ აუცილებლად უნდა აუხსნათ, თუ რას გრძნობს დაჩაგრული ბავშვი, და პრობლემის გადაჭრაც ასწავლოთ.

3.6 ზეიმები - მათი გავლენა ბავშვის კეთილდღეობაზე

...არ მიყვარს ზეიმი, ზეიმი საშიშია, იმიტომ, რომ ბევრი ხალხია და ყველამ უნდა მიყუროს და ყველა როცა მიყურებს, მეშინია და ყველაფერი მავიწყდება. კიდევ იმიტომ არ მიყვარს, რომ როცა ზეიმია, მაია მასწავლებელი სულ წითელია და ძალიან სწრაფად დადის. და რაღაცნაირი ხმა აქვს, სხვა დროს ასეთი ხმა არა აქვს. არ მომწონს, როცა ასეთი ხმა აქვს, და ცოტა საშიში ხდება ამ დროს...

რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებული სამწუხარო პრაქტიკის გამო, არაძალადობრივ გარემოზე საუბრისას ზეიმების თემატიკა განსაკუთრებით აქტუალური ხდება, და კიდევ უფრო რომ დავაკონკრეტოთ, ზეიმები და არაძალადობრივი გარემო პირდაპირ არის ერთმანეთთან დაკავშირებული.

სწორედ ჩვენში დამკვიდრებული სამწუხარო პრაქტიკის შედეგია ის, რომ ბავშვების ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დღე, რომელიც სინამდვილეში დღესასწაულად უნდა იქცეს და სასიამოვნო და ბედნიერი ემოციები უნდა მოუტანოს მას, ხშირ შემთხვევაში ისეთ დღედ გადაიქცევა, როცა ბავშვს ძალადობისგან დაცვა სჭირდება. რატომ ხდება ასე? რატომ იქცა „ზეიმი“ ნეგატიური შინაარსის მატარებლად, რატომ არის სწორედ ძალადობასთან ასოცირებული არა მხოლოდ კონკრეტულად ეს დღე, არამედ მისი სამზადისი, ამ დღესთან დაკავშირებული ნებისმიერი პროცესი?

სამწუხაროდ, ამას თავისი მიზეზები აქვს. „ზეიმმა“ დაკარგა თავისი ჭეშმარიტი მიზანი, იყოს განსაკუთრებული, დასამახსოვრებელი და საზეიმო დღე ბავშვის ცხოვრებაში და იქცა „მასწავლებლის მუშაობის წარმოჩენის“, ბაღის წარმატების შეფასების, შეჯიბრის, შედარების დღედ. როგორ მოვიქცეთ, რა სტრატეგიები გამოვიყენოთ იმისათვის, რათა ზეიმი ბედნიერების მომტანი იყოს ბავშვებისთვის? პირველ რიგში, დავუბრუნოთ ზეიმს მისი თავდაპირველი მიზანი - ეს არის განსხვავებული დღე, დღესასწაული, რომელსაც ბავშები აღნიშნავენ, შესაბამისად, ისინი მისი დაგეგმვის უშუალო მონაწილეები უნდა იყვნენ. ზეიმზე ფიქრისას მიზნად უნდა დავისახოთ ბავშვების გაბედნიერება, მათი გახარება, მათი კეთილდღეობის ხარისხის ამაღლება, თითოეული მათგანის ინტერესების, საჭიროებების, ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინება.

„ბაღში ძალიან დიდი ხანია ვმუშაობ, მთელი ჩემი ცხოვრება ბაღში ვარ, არ მახსოვს ზეიმების ჩატარება როდიდან დავიწყე, ან რატომ, თითქოს ასეთი წესია, შეთანხმებული.“

ზეიმზე თითოეულ ბავშვს უნდა ჰქონდეს თავის გამოვლენის საშუალება იმ ფორმით, რა ფორმითაც თავად მოისურვებს. დაუშვებელია ამ დღის „ძლიერ“ ბავშვებზე აგება და დანარჩენი ბავშვების უნარებისა და შესაძლებლობების იგნორირება, არდანახვა.

დაუშვებელია ბავშვების დაყოფა „ნიჭიერ“, „საშუალო“ და „სუსტ“ ბავშვებად. არადა, ჩვენში დამკვიდრებული ზეიმების ფორმა სწორედ ამისკენ გვიბიძგებს. ასეთი იარლიყები ბავშვს ბედნიერების განცდას უქრობს და სამუდამო კვალს ამჩნევს მის ფსიქიკას.



...მე პირადად, ბაღში როცა დავდიოდი, საშინლად ვერ ვიტანდი ზეიმებს, უშველებელ ლექსებს ვიზუთხავდით, მერე ნაწილს ავიწყდებოდა, მერე იყო ტირილი, აქეთ მშობლები გვეჯაჯგურებოდნენ, არიქა, რა გატირებთ, ლექსი თქვითო, ამაზე უფრო ვტიროდით და ა.შ. თითქოს როგორი სიტყვაა „ზეიმი“, დღესასწაულთან, სიხარულთან და ბედნიერებასთან ასოცირებული, არადა, რამდენჯერ მიფიქრია იმაზე, რომ არცერთი ჩემი ბაღის ზეიმი არ მახსენდება, როგორც დღესწაული და სიხარული. შიში მახსოვს, სირცხვილის გრძნობა მახსოვს, შფოთი და უხერხულობა მახსოვს, მაგრამ სიხარული არც ერთხელ. ჩემი ანა 3 წლისაა, წელს პირველი ზეიმი ექნება, იმედია, მას ეს ზეიმი სულ სხვა მოგონებებს დაუტოვებს.



5 წესი ზეიმების შესახებ

I წესი - ზეიმი არის დღესასწაული, სიხარულის და ბედნიერების მომტანი დღე;

II წესი - ზეიმი ყველასთვის ზეიმია, ბავშვებისთვისაც და უფროსებისთვისაც;

III წესი - თუ ზეიმზე ბავშვები ნერვიულობენ, ტირიან, ეშინიათ, ეს ზეიმი აღარ არის;

IV წესი - ზეიმისთვის მზადება ისეთივე ბედნიერების მომტანი უნდა იყოს, როგორც თავად ეს დღე;

V წესი - ზეიმი ბავშვების დღეა, ეს დღე მათ უნდა დაგეგმონ და განახორციელონ.

დაუშვებელია ბავშვების დაყოფა „ნიჭიერ“, „საშუალო“ და „სუსტ“ ბავშვებად. არადა, ჩვენში დამკვიდრებული ზეიმების ფორმა სწორედ ამისკენ გვიბიძგებს. ასეთი იარლიყები ბავშვს ბედნიერების განცდას უქრობს და სამუდამო კვალს ამჩნევს მის ფსიქიკას.



რა არის ზეიმი?

- როცა ყველა მე მიყურებს, მე კიდევ ეს არ მინდა
- როცა მეჩხუბებიან
- როცა მიყვირიან
- როცა ვნერვიულობ
- როცა რაღაცას ითხოვენ ჩემგან
- როცა იმას ვაკეთებ, რაც არ მინდა
- როცა ვიღლები

- როცა მათ გვერდზე ვარ, ვინც მიყვარს
- როცა ბედნიერი ვარ
- როცა ვგრძნობ, რომ ჩემზე ზრუნავენ
- როცა იმას ვაკეთებ, რისი კეთებაც მიყვარს
- როცა მიხარია
- როცა არ მეშინია
- როცა კარგ ხასიათზე ვარ



თამრიკო 4-5 წლიანების აღმზრდელ-პედაგოგია, თავის კოლეგასთან, მანანასთან ერთად, წლის ბოლოს ზეიმის ჩატარებას გეგმავს. თამრიკომ წინასწარ შეადგინა სცენარი, მოიძია ლექსები, რომლებიც ბავშებს გაუნაწილა. თამრიკო შეეცადა, რომ „სუსტი“ ბავშვები ნაკლებად დაეტვირთა და აქცენტი იმ ბავშვებზე გაეკეთებინა, რომლებიც ლექსებს „კარგად გამოთქმით“ კითხულობდნენ. დანარჩენები უკან უნდა დამდგარიყვნენ და ფონი შეექმნათ. სამაგიეროდ, მოგვიანებით, ჯგუფურ ცეკვაში მიიღებდნენ მონაწილეობას. სიმღერებისთვის თამრიკომ რამდენიმე „სმენიანი“ ბავშვი შეარჩია და გადაწყვიტა, მუსიკის მასწავლებელთან ერთად რამდენიმე სოლო სიმღერა დაემუშავებინა.

იმის გამო, რომ პროგრამა საკმაოდ ვრცელი იყო, ზეიმისთვის მზადება ორი თვით ადრე დაიწყო. ტექსტების განაწილებისას გიორგიმ და მარიამმაც გამოთქვეს ზეიმზე ლექსის წაკითხვის სურვილი. თამრიკომ ბავშვებს აუხსნა, რომ ეს გრძელი ლექსები იყო და ამხელა ლექსების დამახსოვრება გაუჭირდებოდათ, სამაგიეროდ იცეკვებდნენ სხვებთან ერთად. მარიამს ცეკვა არ უნდოდა, ლექსები უნდოდა, ამიტომ გაიბუტა და არც ცეკვის რეპეტიციაში მიიღო მონაწილეობა, რისთვისაც მასწავლებელმა უთხრა, რომ დაისაჯა და ეზოში ყოფნის დროს სკამზე მჯდომი გაატარებდა. ცეკვა არც გიორგის, თორნიკეს, მაკას და ანანოს უნდოდათ, მაგრამ დასჯის შეეშინდათ და აღარაფერი თქვეს. ორმა თვემ თამრიკოსთვისაც და ბავშვებისთვისაც ძალიან რთულად ჩაიარა, ხან ბავშვებს ტექსტი არ ახსოვდათ, ხან მუსიკას ვერ უწყობდნენ ფეხს ცეკვისას.

ზეიმის დღეს ყველა ბავშვი სადღესასწაულო სამოსში იყო გამოწყობილი. მართალია, ყველას ძალიან სცხელოდა და ბავშვები საშინელ დისკომფორტს განიცდიდნენ სადღესასწაულო სამოსის გამო, მაგრამ სხვა გზა არ იყო. ზეიმის წინ თინიკოს კაბა დაესვარა, რის გამოც ჯერ აღმზრდელმა უსაყვედურა, ხოლო შემდეგ დედამ უყვირა, რადგან კაბა ნათხოვარი იყო. თინიკოს ზეიმი უნდა გაეხსნა და დაბნეულობისგან ტექსტი დაავიწყდა. აკაკის და მარის კი, ისე ეშინოდათ, სცენაზე ყოფნის დროს ამდენი ადამიანი რომ უყურებდათ, რომ ლექსის თქმისას სიტყვები აერიათ. თამრიკო მასწავლებელი და მშობლები თვალებს უბრიალებდნენ დარბაზიდან...“

ამგვარი მაგალითები, სამწუხაროდ, ბევრი ბაღისთვის ტიპურია. ამ მაგალითიდან ჩანს, როგორ ირღვევა ბავშვების უფლებები ასეთი ტიპის ზეიმის დაგეგმვისა და განხორციელებისას.

აღმზრდელ-პედაგოგს არცერთ ეტაპზე არ გაუთვალისწინებია ბავშვების ინტერესები, საჭიროებები, ამის ნაცვლად, თავად გადაწყვიტა, ზეიმზე ვინ რას გააკეთებდა. ბავშვი, რომელმაც აღმზრდელს საკუთარი სურვილი გაუზიარა, დაისაჯა, ხოლო დანარჩენი ბავშვებისთვის ეს ფაქტი დამთრგუნველი აღმოჩნდა.

ზეიმის დაწყებამდე თინიკო, დასვრილი სამოსის გამო, ძალადობის მსხვერპლი აღმოჩნდა, ხოლო სტრესში მყოფი ბავშვები ვეღარ ახერხებდნენ კონცენტრირებას. ასეთი ტიპის ზეიმები ბავშვთა უფლებების უხეში დარღვევით მიმდინარეობს, თუმცა ამას ხანდახან ვერც ბაღში მომუშავე პრაქტიკოსები აცნობიერებენ და ვერც მშობლები.

იმისათვის, რათა ზეიმი ნამდვილი ზეიმი იყოს ბავშვისთვის, მნიშვნელოვანია მათი აქტიური ჩართვა ზეიმის დაგეგმვის ყველა ეტაპზე.

ბავშვებთან ერთად გადაწყვიტეთ, რას იზეიმებთ, ერიდეთ თავსმოხვეულ, ნაძალადევ ზეიმებს. მნიშვნელოვანია ეს რეკომენდაცია გაითვალისწინონ როგორც პრაქტიკოსებმა, ისე ბაღის ადმინისტრაციამ და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა, აღმზრდელ-პედაგოგებს ზეიმები რომ არ „დაუკვეთონ“;

ბავშვებთან ერთად მოიფიქრეთ ზეიმის ფორმატი - ერთად გადაწყვიტეთ, სპექტაკლს დადგამთ, გამოფენას მოაწყობთ, თუ უბრალოდ შეიკრიბებით და მშობლებს დილას გამომცხვარ ორცხობილებს გაასინჯებთ. ერიდეთ პომპეზურ, ფართომასშტაბიან წარმოდგენებს, რომლებზეც ბავშვები იღლებიან და ისტრესებიან;

ბავშვებმა თავად აირჩიონ მონაწილეობის ფორმა - იცეკვებენ, იმღერებენ, თუ დეკორაციებს დაამზადებენ. მიეცით მათ თავისუფალი არჩევანის საშუალება და იმუშავეთ მშობლებთან, რომ მათაც პატივი სცენ საკუთარი შვილების არჩევანს.

4 ჯანსაღი ცხოვრება

ძირითადი ტერმინები

ჯანსაღი ცხოვრების წესი - ცნობიერი გადაწყვეტილებებისა და ყოველდღიური ჩვევების ერთობლიობა, რომელიც განაპირობებს ჯამრთელობასა და კეთილდღეობას და ამცირებს დაავადებების რისკს.

4.1. შესავალი

ამ თავში ვისაუბრებთ ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპებზე, იმაზე, თუ როგორ უნდა დავამკვიდროთ ეს პრინციპები დაწესებულებაში, რა კომპონენტებისგან შედგება ჯანსაღი ცხოვრება, როგორია უფროსების როლი ჯანსაღი გარემოს უზრუნველყოფაში. ჯანსაღი ცხოვრება ადამიანის ისეთი ცხოვრების სტილია, როცა იგი ცდილობს ხანგრძლივად შეინარჩუნოს ფიზიკური, ფსიქიკური და სოციალური კეთილდღეობა.

ჯანსაღი ცხოვრება საკუთარ ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ზრუნვას ნიშნავს: ჯანსაღად კვებას, ძილისა და დასვენების რეჟიმის მოწესრიგებას, ფიზიკურ აქტივობას, მავნე ჩვევების აღმოფხვრას. ჯანსაღი ცხოვრების წესის ჩვევად საქცევად, მნიშვნელოვანია, მუშაობა ადრეული ასაკიდან დავიწყოთ. ეს პროცესი ორი მიმართულებით უნდა წარიმართოს, ერთი მხრივ, საჭიროა ბავშვებს ჯანსაღი გარემო შევუქმნათ ბაღში და მეორე მხრივ, მათ ჯანსაღი ცხოვრების პრინციპები გავაცნოთ.

4.2. ჯანსაღი ფიზიკური გარემო

როგორც მოგახსენეთ, ჯანსაღი ცხოვრება სხვადასხვა კომპონენტებისგან შედგება, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ჯანსაღი ფიზიკური გარემო, რომლის მახასიათებლებსაც ქვემოთ წარმოგიდგენთ.

შენობის ვენტილაცია

აუცილებელია საბავშვო სივრცე კარგად ნიავდებოდეს, ეს ხელს შეუწყობს კომფორტული და ჯანსაღი სააღმზრდელო გარემოს შექმნას, რაც თავის მხრივ, დადებითად აისახება ბავშვის განვითარებაზე. ეს არა მხოლოდ სავენტილაციო სისტემის, ან კონდიცირების საშუალებით უნდა ხდებოდეს, არამედ ყველა ოთახს უნდა ჰქონდეს ფართო ფანჯრები, რომელთა გაღებაც შესაძლებელია. ასევე სასურველია ფანჯრების განთავსება ბავშვის თვალის დონეზე, რათა მათ შეძლონ გარეთ გახედვა და გარემოზე დაკვირვება.

განათება

განათების ხარისხი ბავშვებისა და უფროსების განწყობასა და ხასიათზეც მოქმედებს და ბავშვის ფიზიკურ და კოგნიტურ განვითარებაზეც მნიშვნელოვნად აისახება,

მაგალითად, ცუდი განათების პირობებში ბავშვს მეტი კონცენტრაცია სჭირდება ხატვისას ან ნატიფი მოტორული თამაშებისას, წიგნების თვალიერებისას, რაც, თავის მხრივ, იწვევს კუნთურ დაძაბულობას, მხედველობის დისკომფორტს და ა.შ.

ოთახში მეტი სინათლისათვის ზრუნვა, რეკომენდებულია, კედლების ფერიდან დავიწყოთ. კედლები უნდა იყოს ნეიტრალურ ფერებში, ყურადღება უნდა მიექცეს ფარდების ფერსაც. ფარდები კარგი საშუალებაა განათების სხვადასხვა ხარისხის უზრუნველსაყოფადაც. სასურველია შენობაში ბუნებრივ განათებასთან ერთად იყოს სხვადასხვა ტიპის ხელოვნური განათება, რათა საშუალება გვქონდეს, ოთახში განათება, სათამაშო სივრცეებისა და აქტივობების შესაბამისად, საჭიროებისამებრ ვარეგულიროთ.

ხმაური

საბავშვო სივრცეში ხმაური მნიშვნელოვანი ფაქტორია და გავლენას ახდენს როგორც ბავშვების, ისე უფროსების განწყობასა და კონცენტრაციის დონეზე. ქაოსსა და ხმაურში ბავშვებს უჭირთ კონცენტრაცია და ყურადღების მობილიზება თუნდაც მათი ინტერესის ფარგლებში.

ბავშვებს იოლად ეფანტებათ ყურადღება, ამიტომ, რეკომენდებულია: საბავშვო ოთახებში ხმაურის დონე მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი სპეციალური ხმის დამხშობი მასალების საშუალებით.

შეეცადეთ სივრცის ორგანიზებისას გაითვალისწინოთ, რომ თანაბარი ხმაურის დონის სივრცეები ერთმანეთთან ახლოს განათავსოთ. მაგალითად, კუბურების კუთხე შეიძლება დრამატული თამაშების სივრცესთან განათავსოთ, და რაც შეიძლება შორს - წყნარი კუთხისგან, წიგნიერების ცენტრისგან.

როდესაც სივრცე საკმარისი არ არის და სპეციალური ზონების გამოყოფის საშუალებას არ იძლევა, აქტივობები ხმაურის დონის მიხედვით, ხმაურიანი და წყნარი თამაშების მონაცვლეობით უნდა დაიგეგმოს. ასევე რეკომენდებულია ძალიან ხმაურიანი თამაშების დარბაზში ან გარეთ, ეზოში ჩატარება.

ეზოში

ბაღის ეზო ის ადგილია, სადაც ჯანსაღი ცხოვრების ნორმების დაცვა ასევე ძალიან მნიშვნელოვანია. რაში გამოიხატება ეს? ბავშვების უსაფრთხოების დასაცავად, მნიშვნელოვანია, რომ ინვენტარი, რომელიც ეზოში გვაქვს, გამართული იყოს და მუშა მდგომარეობაში.

ასევე მნიშვნელოვანია ეზოში არსებული საქვიშეების გადახურვა, რათა იმ დროს, როცა ბავშვები არ თამაშობენ, ქვიშა ცხოველებმა და ფრინველებმა არ დააბინძურონ. ზოგადად, ბაღის ეზო ისე უნდა იყოს შემოღობილი, რომ საკმარისად დაცული იყოს ქუჩის ცხოველებისგან.

საყურადღებოა ეზოს მცენარეებიც. დაუშვებელია ეზოში გვქონდეს ისეთი მცენარეები, რომელთა ნაყოფი, ყვავილის მტვერი, ან სუნი მომწამლავია. ასევე გასათვალისწინებელია ზოგიერთი ბავშვის ალერგიული ფონი ეზოს მცენარეების მიმართ.

4.3. ბავშვის ჯანმრთელობაზე ზრუნვა

ბავშვზე ორიენტირებული, ჯანსაღი გარემოს შესაქმნელად, ბავშვისთვის ჯანსაღი ცხოვრების პრინციპების გასაზიარებლად, მნიშვნელოვანია, რომ თავდაპირველად ჩვენვე ვიზრუნოთ ბავშვის ჯანმრთელობაზე, და ქვემოთ მოცემული ჯანსაღი ცხოვრების შემადგენელი კომპონენტების უზრუნველყოფაზე.

კვება

ჯანსაღი ცხოვრება, რა თქმა უნდა, ჯანსაღ კვებას გულისხმობს. მნიშვნელოვანია, რომ საკვები, რომლითაც ბავშვი ბაღში იკვებება, უვნებელი, ჯანსაღი, მრავალფეროვანი და ვიტამინებით მდიდარი იყოს.

ბავშვებს საკვები მათი ასაკის შესაბამისი კალორაჟის გათვალისწინებით უნდა მიეწოდებოდეთ.

საკვების ბაღის გარემოში დამზადების შემთხვევაში, აუცილებელია დაწესებულებამ დაიცვას პროდუქტის შენახვისა და მომზადების ნორმები. ჯანმრთელობის მდგომარეობის დამადასტურებელი ცნობა უნდა ჰქონდეს სამზარეულოში მომუშავე პერსონალს.

„კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების ტექნიკური რეგლამენტი საბავშვო ბაღებისთვის“ - ის დოკუმენტია, რომელიც სკოლამდელ დაწესებულებებში კვებასთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს. სწორედ ამ დოკუმენტით განისაზღვრება ბაღის ბავშვების საკვების ულუფები თითოეულ ბავშვზე, კალორაჟი და სარეკომენდაციო მენიუ.

ძილი/დასვენება

ძილი და დასვენება ჯანსაღი ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. გამოუძინებელი, დაღლილი ბავშვი გაღიზიანებულია და უჭირს ყურადღების კონცენტრირება, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ბავშვს ბაღში ყოფნისას, საჭიროების შემთხვევაში, ჰქონდეს ძილის ან დასვენების საშუალება.
თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ძილის საჭიროება ინდივიდუალურია და თუ ბავშვს არ სურს დაძინება, იძულება და ძალდატანებით ლოგინში ჩაწვენა ბავშვზე ორიენტირებული გარემოს პრინციპებს ეწინააღმდეგება. ამიტომ, თუ ბავშვს არ სჭირდება ძილი მაშინ, როცა მისი ჯგუფელები იძინებენ, უბრალოდ, მეგობრების გაღვიძებამდე, თავის შესაქცევად მშვიდი თამაშები შესთავაზეთ.

ფიზიკური აქტივობა

ჯანსაღი ცხოვრების ერთ-ერთი კომპონენტია ფიზიკური აქტივობა. ბავშვებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ აქტიური თამაშების, მოძრაობის, ხტუნვის, ძრომიალის და ა.შ. საშუალება, დაწესებულების შენობაშიც და ეზოშიც.

მუდმივად წაახალისეთ ბავშვები ჩაერთონ ფიზიკურ აქტივობებში, დაგეგმეთ მხიარული თამაშები ბურთით, ჰულაჰუპით, მუსიკალური თამაშები, ან უბრალოდ ჩართეთ მუსიკა და მიეცით ბავშვებს ცეკვის საშუალება. თუმცა აქაც ზომიერება გმართებთ, ბავშვები ზედმეტად რომ დაიტვირთონ.

სუფთა ჰაერი

ჯანსაღი ცხოვრების ხელშესაწყობად, სუფთა ჰაერზე ყოფნა, საუკეთესო საშუალებაა. შეეცადეთ, რაც შეიძლება ბევრი დრო გაატარონ ბავშვებმა ჰაერზე. კარგ ამინდში შეგიძლიათ სასწავლო პროცესი მთლიანად ეზოში გადაიტანოთ. დაგეგმეთ გასვლითი აქტივობები ტყეში, გაიყვანეთ ბავშვები ბუნებაში, ბევრი ესაუბრეთ სუფთა ჰაერის მნიშვნელობაზე ადამიანის ჯანმრთელობისთვის.

ჯანსაღი ცხოვრების წესის სწავლება

იმისათვის, რათა ჯანსაღი ცხოვრების წესი ადამიანს ცხოვრების განმავლობაში მართლაც წესად ექცეს და ჯანმრთელობაზე ზრუნვა, ჯანსაღი საკვების, ძილის, ფიზიკური აქტივობის სასარგებლოდ არჩევანის გაკეთება ჩვევაში გადაეზარდოს, ამ მიმართულებით მუშაობა, როგორც არაერთხელ ითქვა, ადრეული ასაკიდან უნდა დაიწყოს.

არ არის სწორი, დაველოდოთ ბავშვის „გაზრდას“ და მერე ვასწავლოთ, რას ნიშნავს ჯანსაღი ცხოვრება, მერე გამოვუმუშაოთ ჯანსაღი ცხოვრების ჩვევები, ბავშვმა სწორედ ადრეული ასაკიდან უნდა შეიძინოს ეს ჩვევები და ამაში ძალიან დიდია ბაღის როლი.

ამ მიმართულებით მუშაობა მხოლოდ ჯანმრთელი საკვების შეთავაზებას და დასვენების შესაძლებლობის შექმნას არ გულისხმობს, ამ მიმართულებით მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია საგანმანათლებლო პროცესში ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდა სხვადასხვა სტრატეგიებით:

ბავშვებისთვის ჯანსაღი ცხოვრების წესის სწავლების საუკეთესო საშუალებაა მოდელირება. მათ მნიშვნელოვანია დაინახონ, რომ ჩვენ თავად ვზრუნავთ საკუთარ ჯანმრთელობაზე: ჯანსაღ საკვებს ვანიჭებთ უპირატესობას და ტკბილეულით არ ვსადილობთ, არ ვეწევით, ვცდილობთ სისტემატურად დავკავდეთ ფიზიკური აქტივობებით და ა.შ. ჯანსაღი საკვების შეთავაზებასთან ერთად, მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებს გავაცნოთ ჯანსაღი კვების პრინციპებიც;

ავუხსნათ, რატომ არის მნიშვნელოვანი ზოგიერთი პრო-დუქტი ჩვენი ჯანმრთელობისთვის, ზოგიერთი კი - საზიანო; განვუმარტოთ, რომ ზომიერად კვება ძალიან მნიშვნელოვანია, სასარგებლო საკვებიც კი ზომიერად უნდა მივიღოთ;

ერთად მოვამზადოთ ჯანსაღი საკვები - ეს შეიძლება იყოს ხილის ან ბოსტნეულის მარტივი სალათები, ან ჯანსაღი ტკბილეული;

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისას და განხორციელებისას მუდმივად ფიქრი იმაზე, თუ როგორ მოვახერხოთ პროგრამის ფარგლებში ჯანსაღი ცხოვრების პრინციპების გატარება; დღის განრიგში ეზოსა და ფიზიკური აქტივობებისთვის დროის გამოძებნა;

მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებმა ადრეული ასაკიდანვე იცოდნენ, რომ არსებობს ე.წ. მომწამლავი ნივთიერებები, რომლებსაც უნდა ვერიდოთ, ბავშვებს ასევე უნდა გავუზიაროთ მათი ასაკისთვის შესაბამისი ცოდნა თამბაქოსა და ალკოჰოლის მოხმარების სავალალო შედეგებთან დაკავშირებით.

5 ჩვენს გარშემო ძალადობის ადგილი არ არის

ძირითადი ტერმინები

ძალადობა – პირის მიერ ბავშვის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევა ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ზემოქმედებით ან იძულებით, აგრეთვე უგულებელყოფით (დაუდევარი მოპყრობით), რომელიც პირდაპირი განზრახვით ან/და განზრახვის გარეშე განხორციელდა ხორციელდება.

5.1 შესავალი

ძალადობის გავრცელება ბავშვებში მსოფლიოს მასშტაბით ძალიან მაღალია. ნავარაუდებია, რომ 1 ბილიონი, ანუ ბავშვების ნახევარი, ძალადობის მსხვერპლია; მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ინფორმაციით, ბავშვების 23% აცხადებს, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი გახდა, 36% - ემოციური ძალადობის, 16% ბავშვების - უგულებელყოფის, 26% კი - სექსუალური ძალადობის. ეს მსოფლიოს მაჩვენებლებია, საქართველოში კი აღმოჩნდა, რომ სხვადასხვა ფორმის ძალადობა ბიჭებისა და გოგონების 80%-ს აქვს განცდილი (UNICEF, 2007-2008).

მარტივად ვთანხმდებით, რომ ბავშვები ყველანაირი ძალადობისგან უნდა დავიცვათ; არავის გვინდა, ბავშვი უმწეოდ დარჩეს მოძალადის პირისპირ და ყველა ზრდასრული ადამიანის მოვალეობად მივიჩნევთ, რომ იმოქმედოს უსამართლობის წინააღმდეგ. თუმცა, ამის მიუხედავად, სამწუხაროდ, დღევანდელ რეალობაში ხშირად ვაწყდებით ძალადობას, გამომჟღავნებულს სხვადასხვა ფორმით და გზით. ამ რეალობას სხვადასხვა მიზეზი აქვს. ძალადობასთან ეფექტიანად საბრძოლველად, მნიშვნელოვანია აღნიშნული საკითხის სიღრმისეულად გააზრება და საკუთარი, როგორც ინდივიდის, ისე ორგანიზაციის ნაწილის როლის განსაზღვრა. საბავშვო ბაღი, როგორც ორგანიზაცია და მასში მომუშავე ადამიანების ერთობლიობა, მნიშვნელოვანი მოთამაშეა ბავშვის მიმართ ძალადობის აღმოფხვრის პროცესში. ამ თავში საუბარი გვექნება ძალადობის მნიშვნელობაზე და მის ფორმებზე; განვიხილავთ საბავშვო ბაღის თანამშრომლების მოვალეობებს ბავშვის დაცვის საკითხში; და გავეცნობით ძალადობის გამოვლენისა და შესაბამისი რეაგირების პრევენციულ და რეაქციულ სტრატეგიებს.

5.2 ძალადობა: რა არის და რას იწვევს?

ძალადობისგან თავისუფალი გარემოს შესაქმნელად, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ ძალადობის მნიშვნელობა, მისი გამომჟღავნების გზები და ფორმები. ეს ცოდნა შესაძლოა ძალადობის თავიდან ასარიდებლადაც გამოვიყენოთ და მის გამოსავლენადაც. ძალადობაა ყველა ის ქცევა/ქმედება, რომელიც ბავშვს ვნებს და მისთვის ზიანის მომტანია მიუხედავად იმისა, მოძალადე განზრახ არღვევს ბავშვის უფლებებსა და თავისუფლებებს, თუ უნებლიეთ. მოძალადე შესაძლებელია იყოს ბავშვის ოჯახის წევრი, ბაღის თანამშრომელი, ბავშვის თანატოლი ან ნებისმიერი სხვა გარე პირი.

ნებისმიერი მათგანი შეიძლება იყენებდეს ძალადობის ექვსი ფორმიდან ერთ-ერთს ან რამდენიმეს ერთდროულად:

ფიზიკური ძალადობა

ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, მათ შორის, ბავშვის ფიზიკური დასჯისკენ მიმართული მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას.

ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს ბავშვის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს;

სექსუალური ძალადობა

ბავშვთან სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით. სრულწლოვნის მიერ წინასწარი შეცნობით 16 წლამდე ბავშვთან ძალადობის გარეშე სქესობრივი კავშირი, სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება ბავშვის მიმართ;

ფსიქოლოგიური ძალადობა

შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, მათ შორის, ოჯახის წევრის მიერ/მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის 111-ე მუხლში მითითებული ან/და 1261 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისას ბავშვის მიერ განცდილი ძლიერი ემოციური სტრესი, რომელიც იწვევს ბავშვის პატივისა და ღირსების შელახვას ან დაშინებას;

ეკონომიკური ძალადობა

ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებლით და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე, თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას;

იძულება

ბავშვის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს ქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებაა; საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნებასურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება, მათ შორის, იძულებითი ქორწინება, ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაბმა ან/და თანამონაწილეობა; ნივთიერებათა ავად მოხმარება, მოწყალების თხოვნა, აგრეთვე ბავშვის ჩართვა შრომით საქმიანობაში, მათ შორის, წვრილმან ვაჭრობაში, რომელიც იწვევს მისი საბაზისო უფლებების (გა-

ნათლების, ფიზიკურ და მენტალურ განვითარებას) შეზღუდვას.

იძულებად ჩაითვლება ბავშვის შრომის შედეგად მოპოვებული თანხის მთლიანი ან/და ნაწილობრივი მითვისება;

უგულებელყოფა

მშობლის/მშობლების, სხვა კანონიერი წარმომადგენლის ან და სხვა პასუხისმგებელი პირის მიერ ბავშვის ფიზიკური (მათ შორის, კვება, ჰიგიენა, საცხოვრისი), ფსიქოლოგიური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა, საბაზისო განათლების უფლების შეზღუდვა, საფრთხისაგან დაუცველობა, დაბადების რეგისტრაციის ან/და ბავშვისათვის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოსაწესრიგებელი, აგრეთვე, სამედიცინო და სხვა მომსახურებით სარგებლობისათვის აუცილებელი მოქმედებების განუხორციელებლობა, თუკი მშობელს (მშობლებს), სხვა კანონიერ წარმომადგენელს ან/და სხვა პასუხისმგებელ პირს აქვს (აქვთ) სათანადო ინფორმაცია, შესაძლებლობა და შესაბამის მომსახურებაზე ხელი მიუწვდება (მიუწვდებათ);

ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას არგუმენტები არ სჭირდება. მის არსში და განმარტებაშივე ჩანს, რას იწვევს იგი - ტანჯვას, განვითარების შეფერხებას, ძლიერ ემოციურ სტრესს და სხვ. ამის მიუხედავად, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, ბავშვზე ძალადობა როგორ აისახება ინდივიდისა და საზოგადოების მომავალზე.

კვლევებმა დაასაბუთეს, რომ ძალადობა ძალადობას წარმოშობს. ბავშვობაში ძალადობის განცდა ამყარებს ხედვას, რომ ეს ნორმაა და ხშირად, ბავშვობაში ნანახ ქმედებებს უფროს ასაკში იმეორებენ; არასრულწლოვანთა დანაშაულებისა და უფროს ასაკში ძალადობის შემცირება ბავშვობაში ძალადობის თავიდან აცილებით და მასზე რეაგირებით არის შესაძლებელი. ინდივიდის დონეზე, ძალადობის შედეგი შესაძლებელია გამოვლინდეს უფროსობაში ფიზიკურ ჯანმრთელობასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ რისკიან ქცევებზე (ადიქციები), ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე (დეპრესია, თვითმკვლელობა), განათლებასა და დასაქმებაზე უარყოფითი გავლენით. ბავშვზე ძალადობა მაღალი ეკონომიკური ხარჯია

(სამედიცინო, იურიდიული, უმუშევრობა) საზოგადოებისათვის, მას შეუძლია შეაფერხოს ქვეყნის ეკონომიკური ზრდა და სოციალური განვითარება.

5.3 საბავშვო ბაღის და მისი თანამშრომლების მოვალეობები

„საქართველოს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ კანონი ადასტურებს ბავშვზე ძალადობის საკითხის მნიშვნელოვნებას საბავშვო ბაღებისათვის და ბავშვთა დაცვას მის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზნად აყალიბებს.

საბავშვო ბაღი არის დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს არა მხოლოდ თითოეული ბავშვის ჰოლისტურ განვითარებას, არამედ ბავშვის ძალადობისგან დაცვასაც. კანონი დაწესებულებისა და მისი თანამშრომლების ვალდებულებად განსაზღვრავს ძალადობის პრევენციასა და მასზე რეაგირებას; მეექვსე მუხლში ჩამოყალიბებულია რამდენიმე სტრატეგია ძალადობასთან საბრძოლველად.

ბავშვთა მიმართ ძალადობის თავიდან აცილებასა და ბავშვთა ძალადობისგან დაცვაზე პასუხისმგებელი პირი

თითოეული დაწესებულება ვალდებულია საბავშვო ბაღში გამოყოს ბავშვთა მიმართ ძალადობის თავიდან აცილებასა და ბავშვთა ძალადობისგან დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. ის პასუხისმგებელი იქნება უზრუნველყოს იმ სისტემების ეფექტიანი ფუნქციონირება, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვთა დაცვას. მოვალეობების სრულფასოვნად შესასრულებლად, შერჩეული ადამიანი უნდა ფლობდეს საკმარის ცოდნასა და კომპეტენციებს, შესაბამისად, დაწესებულების მოვალეობა უნდა იყოს მისი გადამზადება ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით. პასუხისმგებელი პირი დაწესებულების სხვა თანამშრომლებისთვის ერთდროულად რეკომენდატორიც უნდა იყოს და სუპერვიზორიც. აღნიშნული მოვალეობა ბაღის დირექტორმა ან მეთოდისტმა, შესაძლოა, ფსიქოლოგმაც შეითავსოს, თუმცა თუ ბაღი დიდი ზომის არის, უმჯობესია ბაღში არსებობდეს ადამიანი, რომელიც მხოლოდ ამ საქმიანობაზე იქნება პასუხისმგებელი და საკუთარ სამუშაო დროს სრულად გამოიყენებს ახალი პრევენციული ინტერვენციების მოსაფიქრებლად. ამ პირის საქმიანობის ეფექტიანობისათვის, მნიშვნელოვანია, რომ ბაღს ჰქონდეს კარგად გაწერილი უფლება/მოვალეობები ამ პირისთვის და

პროცედურები, რომელიც ბაღის ყველა თანამშრომელს ეცოდინება. მკაფიო წესები გაუგებრობებს შეამცირებს და ბაღის საქმიანობას უფრო ეფექტიანს გახდის.

ბავშვზე ძალადობის საკითხებზე განათლება და ინფორმირება

დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს საკუთარი თანამშრომლების ინფორმირება. აღნიშნული ვალდებულების შესრულება შესაძლებელია როგორც სპეციფიკურად ბავშვის ძალადობისგან დაცვის საკითხთან დაკავშირებული ტრენინგების, კურსების, საჯარო ან/და სამუშაო შეხვედრების და დისკუსიების ორგანიზებით, ასევე, შესაბამის რესურსებზე ხელმისაწვდომობის გამარტივებით, მაგალითად, რესურს ცენტრებში/სამასწავლებლოებში შესაბამისი ლიტერატურის შეტანით. მეორე მხრივ, დაწესებულებამ შესაძლებელია მოითხოვოს, რომ ნებისმიერი ტიპის ინსერვის ტრენინგი, რომელსაც დაუკვეთავს საგანმანათლებლო დაწესებულებას, ირიბად ან პირდაპირ შეეხოს ბავშვზე ძალადობის, ბავშვთა უფლებების და მისი დაცვის საკითხებს.

მნიშვნელოვანია დაწესებულების ადმინისტრაცია აცნობიერებდეს, რომ საბავშვო ბაღში შეუძლებელია ბავშვზე ორიენტირებული და ძალადობისგან თავისუფალი გარემოს შექმნა, თუ ყველა თანამშრომელი, მათ შორის ისინიც, ვინც ბავშვებთან არ მუშაობს, არ იზიარებს საერთო ხედვას და არ იცის როგორ შექმნას ბავშვზე ორიენტირებული გარემო. მნიშვნელოვანია ისეთი ადამიანების გათვალისწინება და ამდაგვარი გარემოს შექმნაში მათი მონაწილეობა, რომლებიც ბაღთან თანამშრომლობენ, ესენი შეიძლება იყვნენ გარე მონიტორები, დისტრიბუტორი კომპანიის მძღოლი, დაქირავებული ხელოსანი და სხვ.

მშობლების ინფორმირებულობა ძალადობის შანსს ამცირებს ოჯახშიც, რადგან მშობელი უფრო გაცნობიერებული ხდება და შესაძლებლობა ეძლევა შეცვალოს საკუთარი ქცევები და მეორე მხრივ, ამცირებს ძალადობას ნებისმიერ სხვა გარემოში, რადგან იგი თავისი შვილის ყველაზე კარგი ადვოკატია. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, საბავშვო ბაღმა იზრუნოს მშობლების კომპეტენტურობაზე ბავშვის ძალადობისგან დაცვის საკითხებში. კონკრეტული სტრატეგიებისთვის იხილეთ მეექვსე თავი - „მშობლებთან თანამშრომლობა“. აღნიშნულ პროცესში გასათვალისწინებელია ბავშვის ოჯახის სხვა წევრებიც, მაგალითად ბებია და ბაბუა, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც ისინი მნიშვნელოვნად არიან ჩართულნი ბავშვის აღზრდის პროცესში.

უსაფრთხო და არაძალადობრივი საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველყოფა.

დაწესებულების მოვალეობაა უზრუნველყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესის პრინციპზე დაფუძნებული სწავლების მეთოდების გამოყენება, სოციალურ-ემოციური კომპეტენციების განვითარების საფუძველზე პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბება და უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს შექმნა. აღნიშნულ პროცესში მთავარ როლს საგანმანათლებლო პერსონალი ასრულებს - აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი (იმას, თუ რას გულისხმობს აღნიშნული მეთოდები, ქვეთავში, „პრევენციული ქმედებები“, განვიხილავთ). თუმცა აუცილებელია საბავშვო ბაღის ყველა სხვა თანამშრომელიც ხედავდეს და აცნობიერებდეს თავის როლს ამ სტრატეგიის განხორციელებაში. ამ პროცესის მონაწილე და გულშემატკივარია, მეტნაკლებად ყველა უფროსი, რომელსაც შეუძლია მხარი დაუჭიროს და გვერდში ამოუდგეს საგანმანათლებლო პერსონალს ამ რთულ საქმიანობაში.

დაწესებულების ადმინისტრაცია გადამწყვეტ როლს თამაშობს ამ სტრატეგიის ეფექტიანად განხორციელებაში, რადგან სწორედ ის ქმნის გარემოს, რომელშიც საგანმანათლებლო პერსონალი მოახერხებს ან ვერ მოახერხებს არაძალადობრივი მეთოდების გამოყენებას. ადმინისტრაციას სხვადასხვაგვარი სტრატეგიის შემუშავება შეუძლია, თუმცა შეუცვლელი წინაპირობებია: პატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობების მოდელირება; საბავშვო ბაღის თანამშრომლებს შორის გუნდური და თანამშრომლობითი დამოკიდებულებების ხელშეწყობა; საკუთარი და სხვების ცნობიერებისა და კომპეტენციების ზრდაზე ზრუნვა;

საგანმანათლებლო პერსონალის გაძლიერება (empowering) - მეტი კონტროლის საშუალებისა და თავისუფლების მინიჭებით.

ძალადობაზე რეაგირება

დაწესებულების თანამშრომლები ვალდებულნი არიან, რეფერირების დოკუმენტის შესაბამისად იმოქმედონ (იხ. თავი 1). თითოეული თანამშრომელი, არ აქვს მნიშვნელობა თანამდებობას, ვალდებულია ბავშვზე ძალადობის შესახებ ნებისმიერ ეჭვზე მოახდინოს რეაგირება. რეაგირება რეფერირების დოკუმენტში აღწერილ საფეხურებს უნდა შეესაბამებოდეს. შესაბამისად, ამ დოკუმენტის ზედმიწევნით ცოდნა ყველა თანამშრომლის ვალდებულებაა.

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ძალადობაზე რეაგირება არ გულის-

ხმობს მხოლოდ ძალადობის გამოვლენას და შესაბამისი მხარეების საქმის კურსში ჩაყენებას, მასში მოიაზრება დაზარალებული ბავშვის რეაბილიტაციაც. საბავშვო ბაღი ვალდებულია, ძალადობის ფაქტის გამოვლენის შემდეგ შესაბამისი ყურადღება მიაქციოს ბავშვს და ხელი შეუწყოს მის რეაბილიტაციას. უფრო დეტალურად ეს საკითხი იხილეთ მომდევნო ქვეთავებში.

კანონის შეუსრულებლობა და რეფერირების დოკუმენტის გამოუყენებლობა საქართველოს კანონის მიხედვით, დასჯადია.

5.4 ძალადობის ამოცნობა

საქართველოში ბავშვთა მიმართ ძალადობის წილიც მაღალია და ამასთანავე, კიდევ უფრო მაღალია ძალადობის მიმართ ტოლერანტობის დონე (UNICEF, 2013). სამწუხაროდ, ხშირად შეიძლება შევესწროთ ბავშვის მიმართ უფროსების მხრიდან ძალადობას; მის ამოსაცნობად საჭიროა ვიცოდეთ, რა არის ძალადობა და ვიცნობდეთ მის ფორმებს. თუმცა ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევები მხოლოდ ჩვენს თვალწინ არ ხდება და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ შემთხვევების გამოვლენაც შეგვეძლოს. ამისთვის უნდა შეგვეძლოს იმ საყურადღებო ნიშნების ამოცნობა, რომელსაც შესაძლოა ბავშვი ავლენდეს. შედარებით ადვილი დასადგენია, ფიზიკური ძალადობის შემთხვევები, რადგან ამ დროს გარეგნული ნიშნები ჭარბობს, მაგრამ ძალიან რთულია მაგალითად, ემოციური ძალადობის ამოცნობა. სწორედ ამიტომ, მეტი ყურადღება გმართებთ ძალადობის ნიშნების მიმართ, დიდი გულისყურით უნდა მოეკიდოთ ბავშვს, რომელიც ამ ნიშნებს ამჟღავნებს. გახსოვდეთ, რაც უფრო ადრე გამოვლინდება ძალადობის ესა თუ ის ფორმა, მით უფრო მარტივია რეაგირება და პრობლემის მოგვარება.

ძალადობის მსხვერპლი ბავშვის მიერ სავარაუდოდ გამოვლენილი ნიშნები:

ძილის სირთულეები - ხშირი გამოღვიძება, კოშმარები, დაძინების შიში		სომატური ჩივილები - თავის, მუცლის ან სხვა ტკივილები სამედიცინო მიზეზის გარეშე
ჰიპერსიფრთხილე - შფოთი, შიშები, ძლიერი რეაქცია მაღალ ხმასა და უეცარ მოძრაობებზე	აგრესიული ქცევის სიხშირისა და ინტენსივობის ზრდა	რეგრესი - უკვე შეძენილი უნარებისა და კომპეტენციების დაკარგვა
თამაშში ცვლილებები განმეორებით გაითამაშებს ძალადობრივ მომენტებს თამაშისას, უჭირს სპონტანურად და შემოქმედებითად თამაში	განშორების შფოთვის ზრდა - ბაღში წასვლაზე უარის თქმა	თვითიზოლაცია - მეგობრების, ბაღის, აქტივობების მიმართ ინტერესის დაკარგვა

ძალადობის ამოცნობა ძალიან რთული პროცესია, რადგან მხოლოდ ერთი ნიშნის არსებობა საკმარისი არ არის დავასკვნათ, რომ ბავშვზე ძალადობენ. ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, ძალადობის და სხვა ნიშნების რეგულარულობის დასადგენად, მნიშვნელოვანია ბავშვზე დაკვირვება, დაკვირვების შედეგად კი, ეჭვების გაღრმავების შემთხვევაში - სიტუაციის სიღრმისეული ანალიზი საფუძვლიანი ეჭვის დასადგენად.

რეფერირების დოკუმენტის თანახმად, საფუძვლიანი ეჭვი შესაძლებელია წარმოიშვას, თუ არსებობს შემდეგი გარემოებები:

- ბავშვის განცხადება, რომ მასზე იძალადეს ან ძალადობენ;
- ბავშვის მიერ ტრავმის მიზეზების ახსნის შეუძლებლობა;
- მოწმის განცხადება, რომ იგი შეესწრო ძალადობის ფაქტს;
- მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის/სხვა პასუხისმგებელი პირის

არაადეკვატური ქცევა, როგორიცაა:



- ბავშვის ტრავმის სიმძიმის შეუსაბამობა ტრავმის მიღების შესახებ მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის/სხვა პასუხისმგებელი პირის მონათხრობთან;
- ბავშვის ტრავმის სიმძიმის შეუსაბამობა ტრავმის მიღების შესახებ სხვადასხვა პირთა მონათხრობებს შორის;
- მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის/სხვა პასუხისმგებელი პირის მონათხრობის დეტალების მუდმივად შეცვლა;
- მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის/სხვა პასუხისმგებელი პირის არაადეკვატური რეაგირება ბავშვის ტრავმაზე;
- ბავშვის მიერ ტრავმის მიზეზის აუხსნელობა;

სხვა გარემოებები, რომლებიც მაღალი ალბათობით ქმნის საფუძველს ვარაუდისათვის, რომ ბავშვზე განხორციელდა ძალადობა.

სიტუაციის სიღრმისეული ანალიზი მოიცავს როგორც ბავშვზე დაკვირვებას, ისე მშობლებთან თანამშრომლობას, საეჭვო/ხიფათის შემცველი სიტუაციების მიმართ მომეტებულ სიფრთხილეს და დაწესებულების, ძალადობის საკითხებში პასუხისმგებელი პირის საქმის კურსში ჩაყენებას. ეჭვის გაჩენის შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ ყველაფერი გააკეთოთ ძალადობის უმოკლეს დროში აღსაკვეთად.

საფუძვლიანი ეჭვის ქონის შემთხვევაში კი, ვალდებული ხართ წამოიწ-ყოთ რეფერირების პროცედურები, როგორც ეს კანონით არის განსაზ-ღვრული.

სამწუხაროდ, ადმინისტრაციაც და აღმზრდელებიც, ხშირად, დროულად არ რეაგირებენ ძალადობაზე და არც ზემოხსენებულ უწყებებთან თანამ-შრომლობენ იმ მიზეზით, რომ მოძალადე მშობლების ან კოლეგების ეში-ნიათ, ან ერიდებათ მათი; ხშირად ისეც ხდება, რომ მოძალადე აღმ-ზრდელ-პედაგოგის ან ახლობელია, ან მეზობელი და ასეთ შემთხვევაში მისი დასმენა საპატრულო პოლიციაში უხერხულად მიიჩნევა; ასეთი საქ-ციელით ნებისმიერი ადამიანი დანაშაულის თანამონაწილე ხდება.

5.5 რეაბილიტაცია

ძალადობის ამოცნობა და რეფერირება, საბავშვო ბაღისთვის, ძალადო-ბის წინააღმდეგ ბრძოლის მხოლოდ პირველი ეტაპია. ძალადობის შეჩე-რების შემდეგ ბავშვს დახმარება სჭირდება და ამ პროცესში აღმზრდე-ლებს გადამწყვეტი როლი ენიჭებათ.

რა შემიძლია გავაკეთო ბავშვის დასახმარებლად?

პოზიტიური და გულისხმიერი ურთიერთობები თავისთავად თერაპიულია. ნდობასა და პატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობა, თავისთავად დაეხმარება ბავშვს რეაბილიტაციაში. ამიტომ, გამოავლინეთ ჩვეული გუ-ლისხმიერება და ყურადღება.

უსაფრთხოების განცდა ძალიან მნიშვნელოვანია. შექმენით სტრუქტური-რებული და მარტივად წინასწარმეტყველებადი საგანმანათლებლო გა-რემო. უზრუნველყავით, რომ ბავშვმა იცოდეს, რას უნდა მოელოდეს და რას მოელიან მისგან. მაქსიმალურად შეამცირეთ მოულოდნელობები და განუსაზღვრელი და ცვალებადი სიტუაციები.

სოციალურ-ემოციური კომპეტენციები, მედეგობა და თვითშეფასება ბავშვის შიგნიდან მოქმედი დამცავი ფაქტორებია. ბავშვში მიზანმიმარ-თულად განაგრძეთ სოციალურ-ემოციური კომპეტენციების განვითარე-ბა. მუდმივად იზრუნეთ მის თვითშეფასებასა და მედეგობაზე. გახსოვ-დეთ, რომ საუკეთესო სწავლების სტრატეგია მოდელირებაა. იყავით ბავშვებისთვის მაგალითი საკუთარი ფსიქიკური ჯამრთელობის მოვლისა და არაძალადობრივი ქცევების გამოყენებაში.

ლაპარაკი მნიშვნელოვანია. მიეცით საშუალება გაგიზიარონ თავიანთი აზრები და გამოცდილება. მოუსმინეთ ბავშვებს, არ დაგავიწყდეთ, რომ მათ თავიანთი უნიკალური ხედვა აქვთ. წყნარად და მშვიდად ესაუბრეთ.

პროფესიონალის დახმარება ყველას სჭირდება. ძალადობის მსხვერპლებთან საკმაოდ ბევრი ორგანიზაცია მუშაობს და ძალიან მნიშვნელოვანია, ხელი მიგიწვდებოდეთ მათ დახმარებაზე. პროფესიონალის დახმარება კონტექსტუალური რჩევების მისაღებად დაგჭირდებათ, საჭიროების შემთხვევაში კი, აუცილებლად გადაამისამართეთ ბავშვი და ოჯახი შესაბამის სერვისთან.

მშობლების დახმარება ეფექტიანი გზაა ბავშვის დასახმარებლად. ყოველთვის შეინარჩუნეთ პოზიტიური და საქმიანი ურთიერთობა მშობლებთან. მხარში დაუდექით და დაეხმარეთ საჭირო ინფორმაციის გაგებაში, გაცნობიერებასა და ადეკვატურ რეაგირებაში.

ადრეული და სკოლამდელი განათლების დაწესებულებაში ყოველთვის არაძალადობრივი გარემო რომ იყოს, საჭიროა, რომ ამაზე თითოეულმა თანამშრომელმა ყოველდღიურად იზრუნოს; გახსოვდეთ, ძალადობრივი გარემო მხოლოდ მოძალადე მშობლები და ოჯახის წევრების გამო არ იქმნება. ხშირად ბავშვები სწორედ ბაღში მომუშავე პერსონალის ძალადობის მსხვერპლნი ხდებიან. ასევე ხშირია ბავშვებს შორის ძალადობაც. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, საგანმანათლებლო დაწესებულებაში მომუშავე თითოეულ პირს კარგად ესმოდეს, რომ დაუშვებელია ბავშვების მიმართ და ასევე ერთმანეთის მიმართ ძალადობრივი ფორმების გამოყენება, ხმამაღლა ყვირილი და ა.შ.

6 მშობლებთან თანამშრომლობა

ძირითადი ტერმინები

აღზრდის სტილი - ძირითადი სტრატეგიები, რომლებსაც მშობლები ბავშვის აღზრდისას იყენებენ. ბაუმრინდის მიხედვით, ოთხი ძირითადი სტილი არსებობს: ავტორიტეტული, ავტორიტარული, ლიბერალური (მომთმენი) და ინდიფერენტული (უყურადღებო).

6.1 შესავალი

წინამდებარე თავში შეიტყობთ, თუ რა სტრატეგიები არსებობს სახლში ბავშვზე მორგებული გარემოს შესაქმნელად, როგორ უნდა ვიმუშაოთ მშობლებთან, რათა შეძლონ ასეთი გარემოს უზრუნველყოფა. ამ თავში ვისაუბრებთ განსხვავებული აღზრდის სტილზე და იმაზეც, თუ რა გავლენას ახდენს აღზრდის სხვადასხვა სტილი ბავშვის განვითარებაზე, როგორ ვიმოქმედოთ, ხელი რომ შევუწყოთ ბავშვის განვითარებას. ამ თავში ასევე შეიტყობთ, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი მშობელთა ჩართულობა და მათი ჩართვის რა სტრატეგიები არსებობს.

6.2 მშობლებთან ურთიერთობის/მუშაობის სტრატეგიები - მშობლის ჩართულობა

მშობელთან მუშაობის ერთ-ერთი წარმატებული სტრატეგიაა მისი ჩართვა საგანმანათლებლო პროცესში. მშობლის ჩართულობა საგანმანათლებლო პროცესში მნიშვნელოვანია სხვადასხვა მიზეზის გამო და ამ ჩართულობით სარგებელს იღებს საგანმანათლებლო პროცესის მონაწილე ყველა რგოლი - პირველ რიგში ბავშვი, მასთან მომუშავე პრაქტიკოსი და თავად მშობელი.

სარგებელი ბავშვს	სარგებელი ბაღს	სარგებელი მშობელს
ბავშვები უკეთესად სწავლობენ; ამჟღავნებენ უკეთეს სოციალურ უნარებს; ნაკლებად ავლენენ პრობლემურ ქცევას.	საშუალებას გვაძლევს, ვიყოთ თანმიმდევრულები ბავშვზე ორიენტირებული მიდგომების განხორციელებისას; საშუალებას გვაძლევს, გავუზიაროთ მშობელს ინფორმაცია ბავშვზე მორგებული ადრეული განათლების პრინციპებთან დაკავშირებით.	ეცნობა ადრეული განათლების პრინციპებს; ეცნობა ბავშვზე მორგებული საგანმანათლებლო პროცესის პრინციპებს; თავს გრძნობს თავდაჯერებულად და კომპეტენტურად; საშუალება აქვს მიიღოს ახალი ინფორმაცია საკუთარი შვილის უნარებისა და შესაძლებლობების შესახებ.

❝...ადრე, 4-5 წლიანების ჯგუფში რომ იყო თორნიკე, სხვა აღმზრდელი გვყავდა... რაღაცნაირად ვერ დავუახლოვდი... კი, კარგი ქალბატონი იყო თითქოს, მაგრამ რაღაც ვერ შედგა კონტაქტი ჩვენს შორის... მისვლისას თითქოს თავაზიანად მესალმებოდა, მერე ირაკლის ეტყოდა, შემოდიო და იქ მთავრდებოდა ჩვენი ურთიერთობა. კრებაზეც ოფიციალური იყო, მშრალად გაგვაცნობდა მიმდინარე პროცესის შესახებ ინფორმაციას, მერე სამომავლო გეგმებს და თუ რამე სჭირდებოდა, იმას გვეტყოდა. ეს იყო და ეს. ამიტომ მეც რაღაცნაირად თავს ვიკავებდი, ვცდილობდი, დიდად არ შემეწუხებინა და როცა რამეზე მომმართავდა, მარტო მაშინ ვპასუხობდი. მე კი არა, მგონი ყველა მშობელი ასე იყო... წელს ახალი აღმზრდელი გვყავს და ისე შეიცვალა ყველაფერი, მთელი ჩემი ფიქრები ბაღისკენაა, ია მასწავლებელმა ყველა „მოგვწამლა“ ბაღით. ხშირად გვხვდება, მუდმივად დეტალურად გვიზიარებს ინფორმაციას იმის შესახებ, რა ხდება ჯგუფში, მშობელთა დაფაზე სულ სიახლეებია, მშობლები ლამის რიგში ვდგავართ საღამოობით, რომ წავიკითხოთ (არადა ადრე კვირა ისე გავიდოდა, ზედაც არ ვუყურებდით). ისე ჩავერთეთ ბაღის ცხოვრებაში, ვაგროვებთ პლასტმასის ბოთლებს, მაღაზიებიდან ყუთებს ვეზიდებით, სადმე რომ ვარ, ყველაფერს უკვე ისეთი თვალით ვუყურებ, ბაღში ხომ არ გამოადგებათ.❞

მშობელთა ჩართვა საგანმანათლებლო პროცესში თავისთავადი მოვლენა არ არის, ეს კი იმას ნიშნავს, რომ არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ მშობლები ნებისმიერ შემთხვევაში ჩაერთვებიან. დროის უქონლობა, გადატვირთული სამუშაო გრაფიკი, ან ბაღთან დაკავშირებული საკუთარი არასასიამოვნო გამოცდილება, თავად აღმზრდელის პასიურობა, გულგრილობა მშობელთან კომუნიკაციის პროცესში, ან მისი უგულებელყოფა - ეს ფაქტორები შეიძლება შემაფერხებელ წინაღობად გვექცეს ჩვენც და მშობელსაც. როგორ დავეხმაროთ მშობელს ამ ბარიერების გადალახვაში? როგორ „მოვიყვანოთ“ ბაღში? ქვემოთ მოცემული სტრატეგიები დაგეხმარებათ მშობელთა ჩართულობის უზრუნველყოფაში:

შეადგინეთ კალენდარი, რომელშიც მეტ-ნაკლებად გათვალისწინებული იქნება თითოეული მშობლის სამუშაო განრიგი, ასეთი კალენდარი დაგეხმარებათ მშობელთა კრების, ან მათთან ინდივიდუალური შეხვედრების დაგეგმვისას;

დაგეგმეთ მშობლებთან სხვადასხვა ტიპის შეხვედრები: ეს შეიძლება იყოს (1) მშობელთა კრება - სადაც მშობლებს ბაღის პროგრამის, საგანმანათლებლო პროცესის შესახებ ესაუბრებით, გააცნობთ სიახლეებს, გაუზიარებთ გამოცდილებას, (2) ინდივიდუალური შეხვედრა - რომელზეც მშობლებს ინდივიდუალურად შეხვდებით და გაუზიარებთ ბავშვის მიღწევებს ან (3) არაფორმალური, სალონური ტიპის შეხვედრა - რომლის მიზა-

ნიც მშობლების გაცნობა, მათთან არაფორმალური კომუნიკაციის დამყარებაა;

დაამყარეთ მშობლებთან კომუნიკაცია სხვადასხვა გზით: შეხვედრები, ღია ბარათები, საინფორმაციო დაფა, ბუკლეტები;

დატვირთული მშობლებისთვის საუკეთესო გამოსავალი შეიძლება იყოს ურთიერთობა ინტერნეტის საშუალებით, ამიტომაც, მათთან კომუნიკაციის დასამყარებლად იქონიეთ მშობელთა ელექტრონული მისამართები;

აგრძნობინეთ მშობლებს თქვენი კეთილგანწყობა, ეს შეიძლება გამოიხატებოდეს ჯგუფის შესასვლელთან მშობლებისთვის მცირე კუთხის მოწყობაში, რათა მათ იგრძნონ, რომ მათზეც ზრუნავთ - რბილი სავარძლით, მაგიდით, საგანმანათლებლო ჟურნალებით, წარწერებით რომელთა ადრესატები მშობლები არიან და ა.შ. ასეთ სივრცეში მშობლები ბავშვებს დაელოდებიან, ერთმანეთს გაესაუბრებიან და ა.შ.



„...გუშინ ბაღში ჩემი ბაბუ იყო, ბაბუ ისეთ სამსახურში მუშაობს, სადაც ხისგან რაღაცეებს აკეთებენ, ბაბუკა დურგალია. ბაბუმ თავისი ინსტრუმენტები წამოიღო და ჩემს ჯგუფელებს აჩვენა, ყველას დააჭერინა ჩაქუჩიც, კიდევ - მზომი, თარაზო და შალაშინიც. მერე ვითომ დურგლები ვიყავით, დურგლობანა ვითამაშეთ. ბაბუკამ ხის ნაჭრებიც მოგვიტანა და ისინი ნამდვილი ლურსმნებით დავაჭედეთ. ბაბუმ ნინუცას შალაშინის სწორად დაჭერა ასწავლა, მე აღარ მასწავლა, იმიტომ, რომ უკვე ვიცი, ჩემი ბაბუკაა და სახლში მასწავლა. გიორგიმ ბაბუს უთხრა, პატარა სკამი გამომივიდაო... ბავშებს ისე მოეწონათ ჩემი ბაბუ... ნუნუკა მასწავლებელმა ბაბუს უთხრა, კიდევ მობრძანდითო.“

ქვემოთ გთავაზობთ იდეებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეიძლება ჩაერთონ მშობლები საგანმანათლებლო პროცესში, რა საქმიანობები შეიძლება დაიგეგმოს მათთან ერთად:

- მშობელი, როგორც მოხალისე - სხვადასხვა ტიპის აქტივობების განხორციელება ბაღის ჯგუფში და ეზოში: ხატვა, კითხვა, ექსპერიმენტის ჩატარება, დრამატულ თამაშში მონაწილეობა და ა.შ. ეზოში სირბილი, ესტაფეტა, ბურთით თამაში, მცენარეების დარგვა, ცარცით ხატვა, ღობის მოხატვა და ა.შ.

- მშობელი, როგორც ექსპერტი - საკუთარი ნიჭისა და უნარების გაზიარება: მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრა, მასალების დამზადება ჯგუფისთვის (თოჯინების დამზადება, წიგნების შეკეთება), სპექტაკლების დადგმა ბავშვებთან ერთად, და ა.შ.

- მშობელი, როგორც დამხმარე - საორგანიზაციო საკითხებში დახმარება: დახმარება ექსკურსიის დროს, მეორადი მასალის შეგროვებაში, ჯგუფში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესის შესაბამისად, არტეფაქტებით უზრუნველყოფაში, შემოწირულობის მოძიებაში;

- მშობელი, როგორც მმართველი - ბაღის მართვაში მონაწილეობა: საკონსულტაციო საბჭოში მონაწილეობა.

6.3 ბავშვზე მორგებული გარემო სახლში.

ბავშვზე მორგებული გარემო უნდა იყოს ყველგან, სადაც ბავშვს უწევს ყოფნა. მას ყველგან ინდივიდად უნდა აღიქვამდნენ, უნდა ზრუნავდნენ მასზე და პატივს სცემდნენ როგორც დამოუკიდებელ პიროვნებას. ყველგან უნდა ცდილობდნენ ბავშვის გარშემო ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც უსაფრთხო და განმავითარებელი იქნება, სადაც მას საშუალება ექნება სრულად გამოამჟღავნოს, გამოიყენოს თავისი უნარები, და თან ახალი უნარებიც შეიძინოს. შეიძლება იკითხოთ, როგორ უნდა მოახერხოს სკოლამდელმა დაწესებულებამ, გნებავთ აღმზრდელმა და აღმზრდელ-პედაგოგმა, რომ ბავშვზე მორგებული გარემო მას სახლშიც ჰქონდეს? ამ მხრივ ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი მუშაობა მშობელთან, მისი ინფორმირება, მხარდაჭერა, წახალისება და ა.შ. რა რეკომენდაციები შეიძლება მივცეთ მშობელს ამ მიმართულებით?

ქვემოთ გთავაზობთ ზოგიერთ მათგანს:

- ბავშვის ინდივიდუალური სივრცე - მნიშვნელოვანია, რომ ბავშვს სახლში ჰქონდეს ინდივიდუალური სივრცე, ეს შეიძლება იყოს ცალკე ოთახი, ან საერთო ოთახის ცალკეული ნაწილი, რომელიც საგანგებოდ მისთვის იქნება მოწყობილი. დაბალი, ბავშვის ზომის საწოლი, ბავშვის ზომის სკამი და მაგიდა, პატარა ხალიჩა, სათამაშოები, ბავშვის წიგნები დაბალ თაროზე, ან იატაკზე მოთავსებულ ყუთში - ეს ის ატრიბუტებია, რომლითაც შესაძლებელია ბავშვისთვის განკუთვნილი ინდივიდუალური სივრცის მოწყობა;

- ბავშვის ზომის შესაბამისი დეტალები მთელ სახლში - მნიშვნელოვანია, რომ არა მხოლოდ ბავშვისთვის განკუთვნილ ინდივიდუალურ სივრცეში, არამედ მთელ სახლში იყოს ბავშვზე მორგებული გარემო. პატარა სავარძელი, ან პუფი სასტუმრო ოთახში, ჩარჩოში ჩასმული და გამოფენილი ბავშვის ნახატები, პატარა ფეხსადგომი სკამი სააბაზანოს ნიჟარასთან, ასეთივე ფეხსალაგი სკამი სამზარეულოს ნიჟარასთან - ეს დეტალები ბავშვს აგრძნობინებს, რომ სახლი ის ადგილია, სადაც ის გათვალისწინებულია;

- სათამაშო, განმავითარებელი რესურსი სახლში - აუხსენით მშობლებს, რამდენად მნიშვნელოვანია სხვადასხვა სახის რესურსის არსებობა და ბავშვისთვის ამ რესურსის ხელმისაწვდომობა. რომ არ შეეშინდეთ, აუხსენით, რომ რესურსში სულაც არ გულისხმობთ ძვირადღირებულ სათამაშოებს. ძირითადი აქცენტი ღია რესურსზე (ბუნებრივი მასალები, მეორადი მასალები) და ბავშვისთვის მის ხელმისაწვდომობაზე გააკეთეთ. ასწავლეთ მშობლებს, როგორ დაამზადონ ხელნაკეთი, მასტიმულირებელი სათამაშოები, ყურადღება გაამახვილეთ საბავშვო წიგნების მნიშვნელობაზეც; თუ ბავშვს ძალიან ბევრი სათამაშო აქვს, რომლითაც აღარ თამაშობს, ურჩიეთ მშობელს, რომ დროებით შეინახოს და მხოლოდ ისინი დატოვოს, რომელსაც ბავშვი აქტიურად იყენებს, ხოლო როდესაც ესენი მობეზრდება, შენახული სათამაშები შესთავაზოს. ასევე შეიძლება ურჩიოთ მშობლებს, წაახალისონ ბავშვები, გააჩუქონ სათამაშოები ან მეგობრებს ათხოვონ.

- საქმიანობები ბავშვთან ერთად - განუმარტეთ მშობლებს, რამდენად მნიშვნელოვანია სახლის პირობებში ბავშვებთან ერთად საქმიანობების დაგეგმვა, შეგიძლიათ ასწავლოთ სხვადასხვა ტიპის თამაშები, შესთავაზოთ აქტივობების იდეები, ურჩიეთ, მინიმუმამდე დაიყვანონ ბავშვისთვის ეკრანთან გატარებული დრო. ტელევიზორი და კომპიუტერი ბავშვთან ერთად ხატვის, კითხვის, წიგნების თვალიერების, ცხობის ალტერნატივა არ უნდა იყოს.

სახლში ბავშვზე მორგებული გარემოს უზრუნველსაყოფად მშობლებთან მუშაობა შემდეგი მიმართულებით შეგიძლიათ წარმოიდგინოთ:

სახლში ბავშვზე მორგებული გარემოს ორგანიზებისთვის აუცილებელია შემდეგი ნაბიჯების გადადგმა: თავდაპირველად მშობლისთვის იმისი ახსნა, თუ რას ნიშნავს ბავშვზე მორგებული გარემო, როგორია ეს გარემო, ანუ, ბავშვზე მორგებული გარემოს განმარტება. შემდეგი ნაბიჯია მშობლისთვის ბავშვზე მორგებული გარემოს მნიშვნელობის ახსნა, იმისი განმარტება, თუ რა გავლენას ახდენს ასეთი გარემო ბავშვის სრულყოფილ პიროვნებად ჩამოყალიბებაზე. დაბოლოს, აუცილებელია მშობლისთვის რეკომენდაციების მიცემა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მოაწყოს ბავშვზე მორგებული გარემო სახლში.

ბავშვზე მორგებული გარემო სახლში



- მშობლისთვის ბავშვზე მორგებული გარემოს განმარტება
- მშობლისთვის ბავშვზე მორგებული გარემოს მნიშვნელობის ახსნა/განმარტება
- მშობლისთვის რეკომენდაციების მიცემა ბავშვზე მორგებული გარემოს უზრუნ-ველსაყოფად

როგორ მოვიქცეთ:

- ხელი შეუწყვეთ, რომ იყოს თვითდაჯერებული, ლაღი, მეგობრული;
- მოუსმინეთ ბავშვს, რას განიცდის, რისი მოთხოვნილება აქვს;
- გაატარეთ მეტი დრო ბავშვებთან ერთად ისე, რომ ეს დრო სასიამოვნო იყოს მათთვის;
- დაეხმარეთ, როდესაც ბავშვი გთხოვთ;
- გადაჭერით კონფლიქტები არაძალადობრივი გზით;
- ხშირად უთხარით ბავშვს, რომ ის ძვირფასია თქვენთვის და გიყვართ, ხშირად მოეფერეთ და აკოცეთ;
- მოსთხოვეთ საკუთარ თავს იგივე, რის შესრულებასაც შვილებს სთხოვთ; შეეცადეთ, თავად იყოთ ისეთები, როგორებიც გსურთ, რომ თქვენი შვილები იყვნენ;

ბავშვი დამოკიდებულია თქვენზე, მას მუდმივად უწევს უფროსის აზრის გათვალისწინება, გახსოვდეთ ეს და ზედმეტად ნუ შეზღუდავთ მის თავისუფლებას.

ნუ შეეცდებით ბავშვის სრულყოფას, შეეცადეთ, სრულყოფილი ურთიერთობის დამყარებას მასთან

unicef

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

პოზიტიური ურთიერთობა

უფროსებსა და ბავშვებს შორის

სკოლამდელი განათლება

შეუძლენით ბავშვს სახლში დაცული და უსაფრთხო გარემო, სადაც მას პატივს სცემენ, უსმენენ, არ ატყუებენ და არაფრის ეშინია.

- იყავით სამაგალითო თქვენი შვილისთვის. გახსოვდეთ, ის გბაძავთ თქვენ და სამყაროს, განსაკუთრებით კი უფროსებისას, თქვენი ქცევის საშუალებით აღმოაჩენს. იყავით ისეთი უფროსი, როგორიც გსურთ, თქვენი შვილი გახდეს, როცა გაიზრდება.
- ყოველთვის შეინარჩუნეთ სიმშვიდე. ჩხუბითა და ყვირილით ვერაფერს ასწავლით ბავშვს, არასდროს უპასუხოთ იმპულსურად ბავშვის ქცევას, გახსოვდეთ, ბავშვს სჭირდება სიყვარული, განსაკუთრებით მაშინ, როცა ამას თითქოს „არ იმსახურებს“.
- ბავშვის ქცევა ზოგჯერ ძალიან გამაღიზიანებელია და ჩვენ ეს გვაბრაზებს, მაგრამ სცადეთ თქვენი ემოციების მართვა – ყვირილის ნაცვლად, დამშვიდდით, თუ საჭიროა, სხვა ოთახშიც გადით. მხოლოდ ამის შემდეგ მიმართეთ ბავშვს, ესაუბრეთ ხმადაბლა, მაგრამ დამაჯერებელი ტონით.
- დაფიქრდით, რატომ იქცევა ბავშვი „ცუდად“. იქნებ, მას თქვენი ყურადღების მიქცევა უნდა ან რალაც აწუხებს. იფიქრეთ „ცუდ ქცევაზე“ და დააკვირდით „ცუდი ქცევის“ მიზეზებს. ყოველთვის ეცადეთ, აღნიშნოთ და ყურადღება გაამახვილოთ ბავშვის კარგ საქციელზე, ხშირად შეაქეთ.
- განუვითარეთ ბავშვს საკუთარი შესაძლებლობების რწმენა. მიეცით დამოუკიდებლად მოქმედებისა და შეცდომების დაშვების საშუალება. ნუ გააკეთებთ მის ნაცვლად იმას, რისი გაკეთებაც თავად შეუძლია, უბრალოდ, დაეხმარეთ და ნაახალისეთ, რომ თვითონ სცადოს. ხშირად გააკეთებინეთ არჩევანი, მიეცით საშუალება, იყოს დამოუკიდებელი;
- აჩვენეთ ბავშვს თქვენი უპირობო სიყვარული. ყოველთვის დაანახეთ, რომ იგი გიყვართ ისეთი, როგორიც არის.
- აღიარეთ ბავშვი, როგორც პიროვნება, მოექეცით პატარას ისე, როგორც უკვე ზრდასრულს მოექცეოდით.
- იყავით გულნრფელი ბავშვთან, ნუ მოატყუებთ, ნუ შეუქმნით მცდარ მოლოდინს, აუხსენით მოვლენები მისთვის გასაგებ ენაზე.
- დაიცავით ბავშვი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისგან სახლში და გარეთ.

ძალადობაა: ბავშვის ცემა, ყურის აწევა, შეჯანჯღარება, ჩქმეტა, ყვირილი, მუქარა, დაშინება, დამცირება, დაცინვა და სხვა ბავშვებთან შედარება.

ძალადობის შედეგები:

- ფიზიკური ჯანმრთელობის პრობლემები;
- ადამიანებთან ურთიერთობის პრობლემები;
- სწავლის პრობლემა;
- საკუთარი თავის გამოხატვის პრობლემა;
- ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები (შფოთვა, დეპრესია, აგრესია);
- მიდრეკილებები მავნე ჩვევების მიმართ (ნარკომანია, ალკოჰოლიზმი).

პრევენციული სტრატეგიები:

ყოველივე ამის მისაღწევად, მნიშვნელოვანია შეიმუშაოთ სტრატეგიები, თუ როგორ, რა ფორმით არის შესაძლებელი ბავშვზე მორგებული გარემოს პრინციპების მშობლებისთვის გაცნობა. გთავაზობთ რამდენიმე საშუალებას, რომლებიც მშობელთა ცნობიერების ამაღლებაში დაგეხმარებათ:

საინფორმაციო ბროშურები - მოამზადეთ მოკლე ტექსტი ბავშვზე მორგებული გარემოს შესახებ, მისი განმარტებით და დანერგვის სტრატეგიებით. შეგიძლიათ გამოიყენოთ ტექსტები ამ სახელმძღვანელოს შესაბამისი თავებიდან. ამობეჭდეთ ეს ტექსტი და დაურიგეთ მშობლებს ინდივიდუალურად;

პლაკატები - ბავშვებს სთხოვეთ, დახატონ მათთვის საოცნებო გარემო, დახატონ ის, რაც ახარებთ, რაც აბედნიერებთ. ჩაიწერეთ ბავშვების კომენტარები. დააწებეთ ნახატები და ტექსტები დიდ ფორმატზე და დაამზადეთ ინდივიდუალური პლაკატები. მშობლებს სთხოვეთ, ეს პლაკატი სახლში გააკრან, რადგან მუდმივად ახსოვდეთ, რას ნიშნავს ბავშვზე მორგებული გარემო და რამდენად მნიშვნელოვანია მათი როლი ასეთი გარემოს შექმნაში.

მშობელთა სკოლა - თქვენს კოლეგებთან ერთად შეიმუშავეთ საგანმანათლებლო პროგრამა მშობელთათვის, რომლის მიზანიც მათთვის ბავშვზე მორგებული გარემოს არსის გაცნობა იქნება, დაგეგმეთ სესიები სისტემატურად, გარკვეული სიხშირით, ოღონდ მშობელთა სამუშაო განრიგის გათვალისწინებით.

ეზოში თამაშისას
ბალახზე დაეცარდი,
ოღონდ ისე, რომ ძალიან
არ მეტკინა
ლურჯი საღებავით
დაეხატე ხელა
დღეს ხახვის ბოლქვები
მიწაში ჩავრგეთ,
უნდა ვნახოთ, როგორ
გაიზრდება
სადილზე ახალი
წენიანი გავსინჯე
დღეს მე ქვიშაში
ვითამაშე,
ძალიან გავერთე

ინტერვენციული სტრატეგიები:

თემატური არაფორმალური შეხვედრები - მოაწყვეთ არაფორმალური შეხვედრები მშობლებთან, სადაც მშობლები თავად ისაუბრებენ და გამოთქვამენ მოსაზრებებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ წარმოუდგენიათ ბავშვზე მორგებული გარემო, შემდეგ კი სხვადასხვა სახალისო აქტივობით თავად განუმარტავთ ბავშვზე მორგებული და მზრუნველი გარემოს არსს, ასეთი გარემოს როლს, მისი დანერგვის გზებს;

ინდივიდუალური შეხვედრები ცალკეულ მშობელთან - ბავშვთან წამოჭრილი პრობლემის შემთხვევაში, ამ ბავშვის მშობლებს ინდივიდუალურად შეხვდით. გაიარეთ პრობლემური პუნქტები და მშობლებს კონკრეტული რეკომენდაციები მიეცით, თუ როგორ მოაგვარონ ბავშვთან დაკავშირებული ესა თუ ის პრობლემა.

6.4 აღზრდის სტილი

სახლის სივრცეში ბავშვზე მორგებული გარემოს უზრუნველსაყოფად, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია აღზრდის ის სტილი, რომელიც მშობლებს აქვთ. თავდაპირველად განვმარტოთ, რას ნიშნავს აღზრდის სტილი - ეს არის იმ მეთოდების ერთობლიობა, რომელსაც იყენებენ მშობლები ბავშვის გაზრდისას. მართალია, სხვადასხვა მეცნიერები აღზრდის სტილის სხვადასხვა კლასიფიკაციას გვთავაზობენ, შეგვიძლია გამოვყოთ ერთ-ერთი კლასიფიკაცია:

- ავტორიტარული სტილი - ეს სტილი გამოირჩევა მაღალი კონტროლით, მკაცრი, შეიძლება ითქვას, ხისტი წესებით, რომელსაც ბავშვები უსიტყვოდ უნდა დაემორჩილონ;

- ავტორიტეტული სტილი - ამ სტილისთვის დამახასიათებელია ბავშვზე ცენტრირება, მისი პოზიციის გათვალისწინება, წესები არ არის ხისტი და მორგებულია ბავშვის ასაკობრივ თავისებურებებსა და საჭიროებებზე;

- პერმისიული სტილი - ეს სტილი ხასიათდება დაბალი კონტროლის ხარისხით, ბავშვისთვის მეტი თავისუფლების მიცემით;

- ინდიფერენტული სტილი - ამ სტილს ახასიათებს დაბალი კონტროლის ხარისხი და ასევე დაბალი ინტერესი ბავშვის ინდივიდის, მისი საჭიროებების მიმართ.



”დედა და მამა ყველგან მატარებენ, სანამ სადმე წავალთ, მე და ჩემ ძამიკოს გვეკითხებიან, რისი წაღება გვინდა თან, მერე ერთად ვარჩევთ ტანსაცმელს და ვიცვამთ. მე ძალიან მიყვარს დედიკოსთან და მამიკოსთან ერთად ყოფნა. საღამოს ერთად ვსვამთ ჩაის და მერე მაგიდას ვალაგებთ. ხან დედა, ხან მამა წიგნს გვიკითხავენ. ძილის წინ ჩვენს სათამაშო ხალიჩასაც ვალაგებთ მე და გიო და მერე ვბანაობთ.“

გავლენა ბავშვზე	**თვითშეფასება**	**ემოციური კომპეტენციები**	**სოციალური კომპეტენციები**	**აკადემიური უნარები**
ავტორიტარული სტილი	დაბალი თვითშეფასება	ემოციური კომპეტენციების ნაკლებობა	სოციალური კომპეტენციების ნაკლებობა	დაბალი აკადემიური მოსწრება
ავტორიტეტული სტილი	მაღალი თვითშეფასება ასერტულობა	თვითრეგულაციის მაღალი ხარისხი თვითკონტროლის მაღალი ხარისხი	პასუხისმგებლობის გრძნობა დამოუკიდებლობის ხარისხი	მაღალი აკადემიური მოსწრება
პერმისიული სტილი	მაღალი თვითშეფასება	გაუწონასწორებლობა	მეგობრების შენარჩუნების სირთულე	უინტერესობა
ინდიფერენტული სტილი	დაბალი თვითშეფასება	ემპათიის დაბალი ხარისხი	ანტისოციალური ქცევა და დეპრესიისკენ მიდრეკილება	დაბალი აკადემიური მოსწრება

ბავშვი იმის შესაბამისად ვითარდება, რომელი აღზრდის სტილსაც მისი მშობელი იყენებს. მიეცით მშობელს რეკომენდაციები ზემოთ აღნიშნული აღზრდის სტილის შესახებ, განუმარტეთ, რომ როგორც ავტორიტარული, მაღალ კონტროლზე ორიენტირებული სტილი, რომელიც საერთოდ არ ითვალისწინებს ბავშვის ინტერესებს, ისე ინდიფერენტული სტილი, რომელიც ინტერესს არც ბავშვის მიმართ იჩენს და არც კონტროლის, ბავშვისთვის ერთნაირად დამაზიანებელია. ასეთი სტილის შემთხვევაში რთულია სახლში ბავშვზე მორგებული გარემოს დანერგვა. ასეთ გარემოს მხოლოდ მაშინ მივიღებთ, როდესაც ბავშვზე ზრუნავენ, ითვალისწინებენ, ზრდიან დამოუკიდებელ ინდივიდად, რომელსაც შეუძლია პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება.

თუ მშობლებს სურთ, უფრო მეტი იცოდნენ აღზრდის სტილის შესახებ, შემდეგი ბმული შეგიძლიათ ურჩიოთ: http://mastsavlebeli.ge/?p=2332.

7 თანამშრომლობითი გარემო ადრეული და სკოლამდელი განათლების დაწესებულებაში

ძირითადი ტერმინები

თვითრეფლექსია - საკუთარი ქცევის, მოსაზრებებისა და დამოკიდებულებების ანალიზისა და შეფასების პროცესი, რომელიც ინდივიდს საკუთარი ხედვის კრიტიკულად და განსხვავებული პერსპექტივიდან შეფასებაში ეხმარება.

თემი - საზოგადოების ნაწილი, გარკვეულ ტერიტორიაზე მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობა, რომელსაც აერთიანებს ადგილობრივი ნორმები, კულტურა, საზოგადოებრივი რესურსები.

7.1 შესავალი

თანამშრომლობითი გარემო სკოლამდელ დაწესებულებაში მოიაზრებს პოზიტიურ ურთიერთობებს დაწესებულების თანამშრომლებს შორის, აგრეთვე დაწესებულებასა და თემს შორის, რაც ერთობლიობაში ხელს უწყობს ბავშვზე მორგებული გარემოს შექმნას როგორც საბავშვო ბაღში,

ისე მის გარეთ. წინამდებარე თავში განვიხილავთ თანამშრომლობითი გარემოს შექმნასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სტრატეგიას, თემში არსებული რესურსის გამოყენების მნიშვნელობას და გზებს, ადვოკატირების სტრატეგიებსა და ადმინისტრაციის როლს თანამშრომლობითი გარემოს შექმნის პროცესში.

7.2 თანამშრომლობითი გარემოს შექმნა საბავშვო ბაღში

თანამშრომლობითი გარემოს შექმნა სკოლამდელ დაწესებულებაში თითოეული თანამშრომლის პასუხისმგებლობაა. ერთმანეთის მიმართ უარყოფითად განწყობილ პერსონალს გაუჭირდება ბავშვზე ორიენტირებული გარემოს შექმნა. ბავშვებისთვის მათ ირგვლივ ზრდასრულთა შორის არსებული ურთიერთობები მაგალითის მიმცემია; ისინი ადვილად ხვდებიან, რა არის ამ თვალსაზრისით ნორმა, ანუ მისაღები ქცევა, რომელიც ზეგავლენას ახდენს ბავშვებს შორის ურთიერთობების ფორმირებაზე. საბავშვო ბაღის ადმინისტრაცია (დირექტორი, დირექტორის მოადგილე და სხვა ძირითადი ადმინისტრაციული პერსონალი) განსაკუთრებულ როლს ასრულებს თანამშრომლობითი გარემოს შექმნის პროცესში. ეფექტიანი თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბებას ადმინისტრაციის მხარდაჭერა და მიზანმიმართული ძალისხმევა სჭირდება. ადმინისტრაციას შეუძლია ხელი შეუწყოს თანამშრომელთა მოტივაციას, მათ კეთილდღეობას და სამუშაო პირობების გაუმჯობესებას, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა თანამშრომლებს შორის ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული პოზიტიური ურთიერთობის ჩამოყალიბებისთვის.

სტრატეგიები საბავშვო ბაღის ადმინისტრაციისთვის

საბავშვო ბაღის ადმინისტრაციას, თანამშრომლობითი გარემოს ჩამოსაყალიბებლად, შეუძლია გამოიყენოს შემდეგი სტრატეგიები:

პოზიტიური კლიმატის ხელშეწყობა

საბავშვო ბაღის მმართველს (დირექტორი, დირექტორის მოადგილე, მეთოდისტი და საბავშვოს ბაღის მართვაში მონაწილე სხვა პერსონალი) კარგად უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული პერსონალის პოზიტიური ურთიერთობების მნიშვნელობა ხარისხიანი სკოლამდელი განათლების უზრუნველყოფისთვის. მმართველი თითოეული თანამშრომლისთვის პოზიტიური ურთიერთობის მაგალითია. თანამშრომლები უნდა გრძნობდნენ, რომ საჭიროების შემთხვევაში, ამა თუ იმ პრობლემის გადასაჭრელად, შეუძლიათ ჰქონდეთ ადმი-

ნისტრაციის იმედი. საბავშვო ბაღის მმართველი ხელს უნდა უწყობდეს თითოეული თანამშრომლის კეთილდღეობასა და ინტერესების დაცვას; შესაბამისად, პერსონალს შორის არსებული უთანხმოებისა თუ კონფლიქტის შემთხვევაში, მმართველმა, მნიშვნელოვანია, რომ ყველა მხარეს მოუსმინოს და მაქსიმალური ობიექტურობის დაცვით შეასრულოს მედიატორის როლი, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

დემოკრატიული მართვის პრინციპების დანერგვა

თანამშრომლობითი ურთიერთობების ჩამოყალიბებისთვის, მნიშვნელოვანია, დაწესებულების პერსონალს ჰქონდეს შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღოს დაწესებულების მართვაში. ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს თანამშრომელთა ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, იქნება ეს ყველასათვის მნიშვნელოვანი, თუ შედარებით წვრილმანი საკითხები. თანამშრომელთა მრავალფეროვანი მოსაზრებების მოსმენა და ერთობლივი მსჯელობა წაახალისებს პერსონალის აქტიურობას და გააღრმავებს პროფესიული ღირსების შეგრძნებას, რაც დადებითად აისახება თანამშრომლებს შორის ურთიერთობებზეც.

დაწესებულების სტრატეგიის შემუშავება და დანერგვა პერსონალის მართვასა და განვითარებასთან დაკავშირებით

ადმინისტრაციის ხელმძღვანელობითა და თანამშრომელთა მონაწილეობით მნიშვნელოვანია შემუშავდეს დაწესებულების სტრატეგია პერსონალის მართვასთან, კეთილდღეობის დაცვასთან და განვითარებასთან დაკავშირებით. სტრატეგია, ერთი მხრივ, განსაზღვრავს დაწესებულების შესაბამის ვალდებულებებს, რომლებიც მნიშვნელოვანია პერსონალის მოტივაციისა და პროფესიული განვითარებისთვის (მაგალითად, შესვენებების რაოდენობა და ხანგრძლივობა, კვირის განმავლობაში არასაკონტაქტო საათების რაოდენობა აღმზრდელებისა და აღმზრდელ-პედაგოგებისთვის, პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის აქტივობების უზრუნველყოფა, თანამშრომლობის წამახალისებელი ღონისძიებების განხორციელება პერსონალისთვის და ა.შ.). მეორე მხრივ, სტრატეგია ხელს შეუწყობს თანამშრომლობითი გარემოს შესაქმნელად, პერსონალის მიმართ არსებული მოლოდინების მკაფიოდ განსაზღვრას (მაგალითად, თანამშრომელთა ვალდებულება მონაწილეობა მიიღონ პერსონალის პერიოდულ შეხვედრებში დაწესებულებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების განსახილველად და ა.შ.).

განვითარებაზე ორიენტირებული შიდა მონიტორინგის სისტემის დანერგვა

საბავშო ბაღის ადმინისტრაცია კანონმდებლობის შესაბამისად, ვალდებულია უზრუნველყოს დაწესებულების შიდა მონიტორინგი. შიდა მონიტორინგი მოიაზრებს დაწესებულების მმართველის (ან მართვაზე პასუხისმგებელ პირთა ჯგუფის) მიერ საბავშვო ბაღში მიმდინარე ნებისმიერი პროცესის და გარემოს რეგულარულ შეფასებას სახელმწიფო სტანდარტებსა და მოთხოვნებთან მიმართებით, მათ შორის, პერსონალის მიერ პროფესიული სტანდარტების, ეთიკისა და ქცევის ნორმების დაცვის მონიტორინგს. ეფექტიანი შიდა მონიტორინგის სისტემა განვითარებაზე უნდა იყოს ორიენტირებული. მონიტორინგის მიზანი ვინმეს დასჯა კი არა, სკოლამდელი განათლების პროცესის და გარემოს განვითარება და გაუმჯობესებაა. შესაბამისად, მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირები უნდა ითვალისწინებდნენ პერსონალის ქცევაზე მოქმედ სხვადასხვა ფაქტორს, მათ თვალთახედვას და ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე გეგმავდნენ განათლების პროცესისა და გარემოს გასაუმჯობესებელ ღონისძიებებს (მათ შორის, ადმინისტრაციის მიერ მისაღები ზომები და ღონისძიებები, რეკომენდაციები და მითითებები თანამშრომლებისთვის და სხვ.).

რეკომენდაციები საბავშვო ბაღის თითოეული თანამშრომლისთვის

როგორც უკვე აღინიშნა, საბავშვო ბაღში თანამშრომლობითი გარემოს შექმნა და შენარჩუნება თითოეული თანამშრომლის მოვალეობაა, იქნება ის აღმზრდელი, მნე, მზარეული თუ დაწესებულების დირექტორი. ქვემოთ ჩამოთვლილი მარტივი რეკომენდაციების გათვალისწინებით შესაძლებელია თითოეულმა თანამშრომელმა საკუთარი, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს დაწესებულებაში პოზიტიური თანამშრომლობითი გარემოს შექმნაში:

- ყოველდღიური პოზიტიური კომუნიკაცია თითოეულ თანამშრომელთან - მისალმება, დამშვიდობება, ყურადღებისა და ინტერესის გამოჩენა, დახმარების შეთავაზება/მიღება საჭიროების შემთხვევაში და ა.შ.

- თანასწორობის პრინციპის დაცვა თითოეულ თანამშრომელთან ურთიერთობის დროს - პატივისცემის გამოხატვა და პოზიტიური დამოკიდებულების შენარჩუნება ნებისმიერი თანამშრომლის მიმართ, მიუხედავად დაკავებული თანამდებობისა, პიროვნული თუ სხვა მახასიათებლებისა;

- მოსმენის კულტურის დამკვიდრება - თანამშრომელთა მოსმენა მნიშვნელოვანია პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებისთვის. თითოეული ჩვენგანისთვის მნიშვნელოვანია, რომ ჩვენს კოლეგებს შეეძლოთ ჩვენთვის მნიშვნელოვანი საკითხების მოსმენა და მათზე მსჯელობა; ხშირად ეს საკითხები შესაძლოა ერთდროულად ბევრ კოლეგას აწუხებდეს (მაგალითად, პირველი ცვლის აღმზრდელ-პედაგოგების შესვენების ხანგრძლივობა) და სხვადასხვა გარემოების გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანი იყოს თქვენი მხარდაჭერა.

- სკოლამდელი დაწესებულების ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა - თანამშრომლობითი გარემო ბუნებრივად მოიაზრებს კოლეგებს შორის უწყვეტ კომუნიკაციას და აქტიურ ჩართულობას საბავშვო ბაღში მიმდინარე მოვლენებში, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რომლებიც ზეგავლენას ახდენს დაწესებულების მუშაობაზე, ბავშვების და პერსონალის კეთილდღეობაზე. აქტიური მონაწილეობის გარეშე ჩვენი ხმა და პოზიცია ყურადღების მიღმა დარჩება და შესაბამისად, შეიზღუდება ჩვენი წვლილი გარემოს, მათ შორის, ჩვენი და ჩვენი კოლეგების სამუშაო პირობების გაუმჯობესებაში.

- კოლეგების ხელშეწყობა და მხარდაჭერა - დაწესებულების ძლიერი გუნდი ბევრად მეტია, ვიდრე მხოლოდ ცალკეული კარგი პროფესიონალების ერთობლიობა; ამიტომ თითოეული კოლეგის მხარდაჭერა, მათი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, კონკრეტული კოლეგის გასაძლიერებლად, მეორე მხრივ კი, დაწესებულებაში ხარისხიანი, ბავშვზე მორგებული განათლების უზრუნველსაყოფად.

- პროფესიული და ეთიკური ვალდებულებების შესრულება - თანამშრომლობით გარემოში თითოეული თანამშრომელი სრულად უნდა აცნობიერებდეს, პატივს სცემდეს და ასრულებდეს მასზე დაკისრებულ პროფესიულ და ეთიკურ ვალდებულებებს და პატივს სცემდეს კოლეგების სამუშაოს და კომპეტენციებს.

- თვითკრიტიკულობა და თვითრეფლექსია - კოლეგებთან პოზიტიური თანამშრომლობა რომ შევძლოთ, მნიშვნელოვანია არ უგულებელვყოთ განსხვავებული აზრი და დამოკიდებულებები. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენს ცოდნასა და დამოკიდებულებებს დიდწილად განაპირობებს ჩვენს ირგვლივ არსებული გარემოებები, დრო და კულტურა. განსხვავებული აზრის მიმართ ღიაობა საკუთარი დამოკიდებულებების, მოსაზრებების, გრძნობების, ცოდნის კრიტიკულ შეფასე-

ბას მოითხოვს. თვითკრიტიკული დამოკიდებულება იმას კი არ გულისხმობს, რომ აუცილებლად განსხვავებულ მოსაზრებას უნდა მივემხროთ, არამედ რეფლექსიის პროცესს (დაფიქრებას და გაანალიზებას) საკუთარ დამოკიდებულებებზე: რატომ ვფიქრობ ისე, როგორც ვფიქრობ? რატომ მიმაჩნია ჩემი ხედვა უფრო ობიექტურად/ ჭეშმარიტად, ვიდრე სხვისი? რატომ ვფიქრობთ განსხვავებულად და ა.შ. თვითრეფლექსიის შედეგად ჩვენი პოზიციები და არგუმენტები უფრო ნათელი და მყარი ხდება (მიუხედავად იმისა, შევიცვლით თუ არა აზრს).

კონფლიქტების მოგვარება ურთიერთთანამშრომლობის გზით - თანამშრომლობით გარემოში ნაკლებად ხდება კონფლიქტები, თუმცა სკოლამდელი დაწესებულება ცოცხალი ორგანიზმია: ის მუდმივად იცვლება, ვითარდება, შედგება ერთმანეთისგან განსხვავებული ადამიანებისგან; შესაბამისად, ამ პროცესში, ბუნებრივია, თანამშრომლებს შორის წარმოიშვას გარკვეული უთანხმოებები, რომელთა მოგვარებაზეც, დიალოგის გზით, კონფლიქტის თითოეული მხარეა პასუხისმგებელი. ამ პროცესში მნიშვნელოვანია პირდაპირი კომუნიკაცია მხარეებს შორის და, საჭიროების შემთხვევაში, კოლეგების ჩართვა დიალოგის პროცესში. დაუშვებელია რომელიმე კო--ლეგის მიმართ ღიად ან ფარულად ღირსების შემლახველი, დამამცირებელი შეფასებების გაკეთება.

7.3 თანამშრომლობა თემთან

სკოლამდელი დაწესებულებები ადგილობრივი თემის შემადგენელი ნაწილია. თემსა და საბავშვო ბაღს შორის თანამშრომლობა მნიშვნელოვანია ორივე მხარისთვის, რადგან სწორედ თანამშრომლობა იძლევა შესაძლებლობას, თემმა მიიღოს მისი საჭიროებების შესაბამისი სკოლამდელი მომსახურება, ხოლო საბავშვო ბაღმა - მოიპოვოს თემის მხარდაჭერა, რომელიც მეტად მნიშვნელოვანია დაწესებულების განვითარებისთვის. თემთან თანამშრომლობა გულისხმობს შემდეგ ძირითად მიმართულებებს:

თემის საჭიროებების განსაზღვრა და გათვალისწინება დაწესებულების ფუნქციონირების პროცესში

თემის საჭიროებებზე მორგება მნიშვნელოვანია იმისათვის, რათა სკოლამდელი განათლების შინაარსი, ფორმა და ორგანიზაციული საკითხები შეესაბამებოდეს როგორც ადგილობრივ მოთხოვნილე-

ბებს, ისე ეროვნულ კანონმდებლობასა და სტანდარტებს. მაგალითად, ასეთი საკითხები შეიძლება იყოს საბავშვო ბაღის სამუშაო საათები, არდადეგების პერიოდები, კურიკულუმის მიზნები, სწავლების ენა, საბავშვო ბაღში რეგისტრაციის მექანიზმები და ა.შ. თემში არსებული ამა თუ იმ საჭიროების გამოვლენაში, ადმინისტრაციასთან ერთად, მნიშვნელოვანი როლი შეუძლიათ ითამაშონ დაწესებულების რიგით თანამშრომლებს: თემისთვის მნიშვნელოვანი სხვადასხვა პრობლემატური საკითხი, თემის წარმომადგენლებთან, შესაძლოა არაფორმალური თუ ფორმალური ურთიერთობების დროს განიხილონ (მშობლები, მეზობლები, სოფლის რწმუნებული, სკოლის მასწავლებლები და ა.შ).

თემში არსებული რესურსების გამოყენება და დაკავშირება სკოლამდელ განათლებასთან

საგანმანათლებლო პროცესის გასამდიდრებლად, აგრეთვე, თემში არსებული რესურსების ეფექტიანად გამოსაყენებლად, მეტად მნიშვნელოვანია, სკოლამდელი დაწესებულება მუდმივად აგროვებდეს ინფორმაციას თემში არსებული რელევანტური რესურსების შესახებ. თემის რესურსით შესაძლებელია თავად დაწესებულებამ ისარგებლოს ან წაახალისოს მშობლები და თანამშრომლები, ისარგებლონ ამ რესურსით. თემში არსებული რესურსი მოიაზრებს:

- ღია საჯარო სივრცეებს (სკვერები, სათამაშო მოედნები, პარკები და სხვ.);
- ადრეული ასაკის ბავშვებისთვის შესაბამის სხვადასხვა ტიპის სათემო დაწესებულებებს (მუნიციპალური ბიბლიოთეკა, მუზეუმი, გალერეა, საბავშვო სახელოვნებო ცენტრები და ა.შ.)
- ადრეული ასაკის ბავშვებზე მორგებულ და მათთვის საინტერესო სხვადასხვა ტიპის კერძო დაწესებულებებს (წიგნის მაღაზია, საცურაო კომპლექსი, გალერეა, კაფე და ა.შ.); ამასთანავე, საგანმანათლებლო პროცესისა და ბავშვების გამოცდილების გასამდიდრებლად, შესაძლებელია თემში არსებული ნებისმიერი ლოკაციის გამოყენება, სადაც შეგვიძლია მოვაწყოთ ექსკურსიები და დავგეგმოთ სხვადასხვა ტიპის აქტივობები (მაგალითად, საპარიკმახერო, ფერმა, ვენახი, კაფე, სამშენებლო კომპანიის ოფისი და ა.შ.).

თემში არსებულ სერვისებთან და სხვადასხვა სამსახურთან კავშირის უზრუნველყოფა

თემში არსებული სერვისების შესახებ ინფორმაციის ფლობა და შესაბამის სერვისებთან და უწყებებთან თანამშრომლობის დამყარება მნიშვნელოვანია თითოეული ბავშვის და მათი ოჯახების კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. ასეთი სერვისებია:



- ადრეული განვითარების პროგრამები
- ადრეული ინტერვენციის პროგრამები სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებისთვის
- დღის ცენტრები
- ადგილობრივი ჯანდაცვის სერვისები, კლინიკები, პოლიკლინიკები
- სოციალური მომსახურების სააგენტოს ადგილობრივი წარმომადგენლობა და სხვ.

სხვადასხვა სერვისს/უწყებას შორის თანამშრომლობა უზრუნველყოფს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას, ისე რომ ბავშვებს ჰქონდეთ შესაძლებლობა ისარგებლონ მათთვის მნიშვნელოვანი მომსახურებით. სერვისებს შორის ბავშვის შესახებ ინფორმაციის გაცვლა (კონფიდენციალობის დაცვით) მოგვცემს შესაძლებლობას, მაქსიმალურად გავითვალისწინოთ ბავშვის ინდივიდუალური გამოცდილება, საჭიროებები, შესაძლებლობები და ინტერესები ყველა დაწესებულებაში/გარემოში, რომლითაც ბავშვი სარგებლობს.

გარკვეული სერვისების სამიზნე ჯგუფი შესაძლოა ბაღის თანამშრომლები იყვნენ (მაგალითად, ადგილობრივი უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული სერტიფიცირებული კურსი ბავშვთა პირველადი დახმარების შესახებ, ადგილობრივი ბიბლიოთეკა, მედიათეკა და სხვა). ამასთანავე, მნიშვნელოვანია, თუ თანამშრომლები ისარგებლებენ ისეთი სივრცით/სერვისით (არსებობის შემთხვევაში), სადაც სკოლამდელი დაწესებულებების თანამშრომლებს შესაძლებლობა ექნებათ ისარგებლონ სხვადასხვა ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიით. ეს საშუალებას მისცემს მათ: მონაწილეობა მიიღონ ონლაინ ტრენინგებში, დაამყარონ პროფესიული კავშირები ქვეყნის თუ მსოფლიოს მასშტაბით, გაუზიარონ კოლეგებს საკუთარი გამოცდილება და ა.შ.

თემში არსებულ სკოლებთან თანამშრომლობა

საბავშვო ბაღიდან სკოლაში წარმატებული ტრანზიციისთვის მეტად მნიშვნელოვანია სკოლამდელ დაწესებულებასა და სკოლას შორის უწყვეტი, მჭიდრო თანამშრომლობის ჩამოყალიბება. სკოლის წარმატებით დაწყება ხელს უწყობს სკოლისა და სწავლისადმი ბავშვის პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, რაც ბავშვის შემდგომ განვითარებასა და სკოლაში აკადემიურ წარმატებაზე აისახება. საბავშვო ბაღსა და თემში არსებულ სკოლებს შორის ურთიერთთანამშრომლობა შესაძლებელია დამყარდეს სპეციალურად დაგეგმილი ღონისძიებების საშუალებით, ინფორმაციის გაცვლით (მაგალითად, კურიკულუმის შესახებ, გარემოს შესახებ), ექსკურსიებით სკოლაში. თანამშრომლობის მიზანია, რომ ბაღიდან სკოლაში გადასვლა მაქსიმალურად უმტკივნეულო და სახალისო პროცესი იყოს თითოეული ბავშვისთვის. ამისთვის:

- ბავშვებს ვუქმნით სწორ წარმოდგენებსა და მოლოდინებს მომავალ ცვლილებებთან დაკავშირებით
- სკოლები ითვალისწინებენ ბავშვების გამოცდილებას საბავშვო ბაღში, განსაკუთრებით, სკოლის დაწყების პირველ პერიოდში (მაგალითად, რთავენ თამაშის ნებას, კლასის გარემოს აწყობენ ბაღის გარემოს მსგავსად და ა.შ.)
- სკოლის მასწავლებელი ინფორმირებულია თითოეული ბავშვის ინტერესების, საჭიროებებისა და შესაძლებლობების შესახებ; ამ ინფორმაციას სასწავლო პროცესის ინდივიდუალიზებისთვის იყენებს.

თემის დაინტერესება სკოლამდელი განათლების საკითხებით - ადვოკატირება

„ადვოკატირება“ მოიაზრებს მიზანმიმართულ ღონისძიებებს ამა თუ იმ საკითხის შესაცვლელად ან პრობლემის მოგვარებისთვის. ადვოკატირების პროცესში დაინტერესებული პირები (მაგალითად, საბავშვო ბაღის თანამშრომლები) მათთვის მნიშვნელოვანი პრობლემის გარშემო (მაგალითად, საბავშვო ბაღის ჯგუფებში ბავშვების დიდი რაოდენობა) აქტიურად მუშაობენ სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან (მაგალითად, მშობლები, მედია, მუნიციპალიტეტი), რათა დაარწმუნონ გადაწყვეტილების მიმღები პირები

(მაგალითად, მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა, პარლამენტი), რათა შეიცვალოს/გაუმჯობესდეს/გამკაცრდეს მიდგომა/წესები აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით (მაგალითად, მუნიციპალიტეტმა არ დაუშვას კანონით განსაზღვრულ რაოდენობაზე მეტი ბავშვის რეგისტრაცია თითოეულ ჯგუფში). ადვოკატირების პროცესში თემთან თანამშრომლობა მნიშვნელოვანია, რადგან შესაძლებლობას იძლევა, სკოლამდელ განათლებაში არსებული პრობლემატური საკითხით დავაინტერესოთ ადგილობრივი მოსახლეობა, აგრეთვე, თემის ლიდერები (მაგალითად, კულტურის, მეცნიერების ან რელიგიის სფეროდან). გადაწყვეტილებების მიმღებთათვის, როგორც წესი, მნიშვნელოვანია ისეთი პოლიტიკის დანერგვა, რომელსაც მხარს უჭერს თემი, შესაბამისად, ადგილობრივ დონეზე სკოლამდელი განათლების გასაუმჯობესებლად, თემის წარმომადგენლები, მათი ინფორმირებითა და მხარდაჭერის მოპოვების გზით, სხვადასხვა საკითხებით უნდა დავაინტერესოთ. ეფექტიანი ადვოკატირებისთვის მნიშვნელოვანია, რომ მარტივი და ყველასათვის გასაგები ენით ჩამოვაყალიბოთ:

- რაში მდგომარეობს პრობლემა/გამოწვევა?
- რატომ არის ეს საკითხი მნიშვნელოვანი?
- როგორ შეიძლება მოგვარდეს/გადაიჭრას ეს საკითხი/ პრობლემა?

ჩვენთვის მნიშვნელოვანი საკითხები შეგვიძლია არა მხოლოდ ვერბალური კომუნიკაციის გზით გავააქტიუროთ, არამედ ვიზუალური და აუდიო-ვიდეო საშუალებებიც გამოვიყენოთ (მაგალითად, ფლაერები, პოსტერები, ვიდეოკლიპები და სხვ.).

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ადვოკატირების გზით სასურველი ცვლილებების მიღწევას შესაძლოა ხანგრძლივი დრო დასჭირდეს, ეს კი დაინტერესებული ადამიანების მხრიდან მუდმივ აქტიურობასთან, ნებისმიერ შესაფერის მომენტში პრობლემატური საკითხების წამოჭრასა და დაცვასთან არის დაკავშირებული. წარმატებული ადვოკატირება აუცილებლად მოითხოვს მოთმინებას და დიდ ძალისხმევას.

გამოყენებული ლიტერატურა

Hard, L. Jónsdóttir, A. (2013) 'Leadership is not a dirty word: Exploring and embracing leadership in ECEC', European Early Childhood Education Research Journal, 21 (3), pp. 311-325.

Heikka, J. Waniganayake, M. (2011) 'Pedagogical leadership from a distributed perspective within the context of early childhood education', International Journal of Leadership in Education, 14 (4), pp. 499-512.

Kivunja, C. (2015). Leadership in early childhood education contexts: looks, roles and functions. Creative Education 6, 1710-1717.

NAEYC. (2004). Advocacy Toolkit. ჩამოტვირთულია 10/10/2017
https://www.naeyc.org/files/naeyc/file/policy/toolkit.pdf

Siraj-Blatchford, I. L. Manni. (2006). Effective leadership in the early years sector (ELEYS) Study. ჩამოტვირთულია 10/10/2017
https://www.researchgate.net/publication/267839273_Effective_Leadership_in_the_Early_Years_Sector_ELEYS_Study_Authors

UN Committee on the Rights of the Children. UNCRC General Comment 14 on the Right of the Child to have his or her best interests taken as a primary consideration. (2013).
http://www2.ohchr.org/English/bodies/crc/docs/GC/CRC_C_GC_14_ENG.pdf

Johnson, V., R. Hart & J. Colwell. (2014). Steps to engaging young children in research. Volume 1: The Guide. University of Brighton, Bernard van Leer Foundation. Downloaded on 01/10/2017 from
https://bernardvanleer.org/app/uploads/2016/04/Steps-for-Engaging-Young-Children-in-Research-Volume-1-The-Guide0b91.pdf

Giménez-Dasí, M., Quintanilla, L., &Daniel, M. F. (2013). IMPROVING EMOTION COMPREHENSION AND SOCIAL SKILLS IN EARLY CHILDHOOD THROUGH PHILOSOPHY FOR CHILDREN. childhood& philosophy, 9(17).
http://www.e-publicacoes.uerj.br/index.php/childhood/article/viewFile/20669/14996

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია (1989/ქართული თარგმანი)
http://unicef.ge/uploads/CRC_georgian_language_version.pdf

საქართველოს პარლამენტი. (2016) საქართველოს კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/3310237

საქართველოს მთავრობა. (30/10/2017). დადგენილება No 488 ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების დამტკიცების შესახებ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/3838798?publication=0

საქართველოს მთავრობა (30/10/2017). დადგენილება No 487 ტექნიკური რეგლამენტის- „ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების“ დამტკიცების შესახებ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/3838370?publication=0

საქართველოს მთავრობა (27/10/2017). დადგენილება No 485 ტექნიკური რეგლამენტის - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დამტკიცების შესახებ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/3837694

საქართველოს მთავრობა (27/10/2017). დადგენილება აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ. https://matsne.gov.ge/document/view/3837404?publication=0

(ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო) ტექნიკური რეგლამენტი ადრეული და სკოლამდელი დაწესებულების შენობა-ნაგებობის ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და შენობა-ნაგებობის მოწყობის შესახებ (ტექნიკური რეგლამენტი სახელმძღვანელოს შემუშავების პროცესში არ არის დამტკიცებული. შესაბამისად, გამოყენებულია სამუშაო ვერსია)

საქართველოს მთავრობა (12/09/2016). დადგენილება №437 ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) დამტკიცების თაობაზე. https://matsne.gov.ge/ka/document/view/3394478
http://unicef.ge/uploads/CRC_child_friendly-resized.pdf

Heckman, J.J. & D.V. Masterov. (2007). The productivity argument for investing in young children. NBER Working Paper Series. Cambridge, MA: National Bureau of Economic Research.

Karoly, L.A., M.R. Kilburn, J.S. Cannon. (2005). Early childhood interventions. Proven results, future promise.

Sylva, K., E. Melhuish, P. Sammons, I. Siraj-Blatchford, B. Taggart. (2004). The effective provision of pre-school education (EPPE) project: final report. A longitudinal study funded by DfES 1997-2004. London: University of London.

UNICEF.Basic Education and Gender Equality. Quality of Education. Downloaded on 10/10/2017 from https://www.unicef.org/education/index_quality.html

UNICEF. (2009). Using the human rights framework to promote the rights of children with disabilities: Discussion paper. An analysis of the synergies between CRC, CRPD and CEDAW.
https://www.unicef.org/disabilities/files/Synergies_paper_V6_Web_REVISED(1).pdf

UN Committee on the Rights of the Child. (2005). General Comment 7 on Implementing Child Rights in Early Childhood. Downloaded on 05/10/2017 from http://www2.ohchr.org/english/bodies/crc/docs/AdvanceVersions/GeneralComment7Rev1.pdf

The Office of the United Nations High Commissioner for Human Rights (OHCHR). (2016). Convention on the Rights of Persons with Disabilities- General Comment №4: Article 24 – Right to Inclusive Education. ჩამოტვირთულია 08/10/2017
/http://tbinternet.ohchr.org/_layouts/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CRPD/C/GC/4&Lang=en

The Office of the United Nations High Commissioner for Human Rights (OHCHR). (2006). Convention on the Rights of Persons with Disabilities. ჩამოტვირთულია 08/10/2017
http://www.ohchr.org/EN/HRBodies/CRPD/Pages/ConventionRightsPersonsWithDisabilities.aspx

კონვენციის ქართული ვერსია ჩამოტვირთულია 10/10/2017
http://disability.ge/images/stories/pdfs/konvencia.doc.pdf

საქართველოში ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ, გაროს ბავშვთა ფონდი, 2007-2008.
http://unicef.ge/uploads/The_National_Study_on_Violence_against_Children_in_Georgia__in_Georgian.pdf

ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში, გაროს ბავშვთა ფონდი, 2013. http://unicef.ge/uploads/Unicef_VAC_GEO_Final3_02_09.pdf

Child Witness to Violence Project. (n.d.). Retrieved April 19, 2018, from http://www.childwitnesstoviolence.org